

საერთო გაზეთი

№40 (307) • 19 ნოემბერი, 2014 წელი • გამომცემი: ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირსი 1 ლარი

სანდრო გრეგუაძე:



**ნახევარი საქართველო
ქვეყნის გარეთაა
გასული და დიასპორის
სამინისტროს უფლება
არ აქვს ეს ნახევარი
საქართველო
უყურადღებოდ დატოვოს**

სოსო ანდრონიანი:

**სააკაშვილო,
ნუ ბლატაობ,
შე მართლა
ჩემო
და ბანკო**



ჰანტანო ხაჩილაძე:

**ვინ წაართვა ნამდვილ
აფხაზებს აფხაზობა და
მასთან ერთად აფხაზეთი?**

— ჩვენ უნდა დავიბრუნოთ აფხაზები! —
ადრეც სშირად გაიგონებდით და ახლაც
სშირად გაიგონებთ ამ ფრაზას.

არადა, ჩვენ უკვე „დავიბრუნეთ“ აფხაზე-
ბი, დაახლოებით სამასი ათასი კაცი, „და-
ვიბრუნეთ“ და ლტოლვილებად ჩამოვარი-
გეთ მიტოვებულ სახლებსა თუ ბარაკებში.

კობა აჩაბელი:

„სამშობლომისჯილები“,
ანუ მოღით, გამოვასხადოთ
ერთთვიანი მოკავშირეობი
ნათოვას, ევროკავშირზას,
რუსეთს და ამ ერთ თვეს
მხოლოდ საქართველოზე
ვილაპარაკოთ!

ბოგობა მუხსხვანაძე:

**ვინ ამოთხრის
პარლამ არაპიქას
და მე ამოვთხრი!**

დავით ხიზანიშვილი:

ირაკლი ღარიბაშვილის
მხარდამჭერი ვიყავი,
ვარ და მომავალშიც
ვიქნები, თუმცა
ორგანიზაციის შექმნის
იდეა ხალხმა მიკარნახა

„მარაპ და ყვირიან, საქართველო, მე ვარ შენთან...“
ილია

პატრიოტთა

ორი გაზეთი ერთ გაზეთში

„საერთო გზები“ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს სანდრო ბრეზაძეს ესაუბრა.

– ბატონო სანდრო, თქვენ ახლახან დაინიშნეთ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ, რა მდგომარეობა დაგხვდათ სამინისტროში, რა პროექტებზე მუშაობთ და რა გეგმები გაქვთ?

– ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სფერო, რაც კი შეიძლება საერთოდ იყოს. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენს სამწესობარო და ახლოებით მილიონ ნახევარ მილიონად არის საქართველოს ფარგლებს გარეთ გასული და საკმაოდ დიდი დიასპორა გვაქვს ჩვენ საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომელთა პოტენციალიც მთელი ამ წლების განმავლობაში, განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობის 9 წლიანი მმართველობის პერიოდში, სათანადოდ არ იყო გამოყენებული, მეტიც, არანაირი მუშაობა არ მიმდინარეობდა ქართულ დიასპორასთან. ჩვენ რომ გადავხედოთ ჩვენ მეზობელ ქვეყნებს, განსაკუთრებით სომხეთს, დავინახავთ, რომ სომხეთში ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული სფერო არის დიასპორასთან მუშაობა და ფაქტობრივად, სომხეთის ეკონომიკის საკმაოდ დიდი ნაწილი დიასპორებს, ანუ დიასპორულ ინვესტიციებს ეკუთვნის. ჩვენთან, სამწესობაროდ, როგორც ბიუჯეტის მხრივ, ასევე პოლიტიკური კუთხით სააკაშვილის მმართველობის დროს არანაირი სერიოზული ყურადღება ამ თემას არ ეთმობოდა. ცნობისათვის შემიძლია გითხრა, რომ მაგ: აზერბაიჯანში დაახლოებით ნახევარ მილიარდ დოლარამდე აქვს ჩვენს კოლეგა სამინისტროს, ხოლო სომხეთში 240 მილიონი დოლარი აქვს დიასპორის სამინისტროს. საქართველოს ახალმა ხელმძღვანელობამ და ახალმა ხელისუფლებამ სერიოზულად მოკიდა ხელი დიასპორებთან ურთიერთობას, ბიუჯეტზე შეიძლება საგრძნობლად არა, მაგრამ გაიზარდა და ჩვენც ვაწარმოებთ გარკვეული სერიოზული პროგრამები იმისთვის, რომ დიასპორებთან ურთიერთობა ბევრად უფრო ინტენსიური გამხდარიყო. ამ მიზნით ჩატარდა გლობალური დიასპორის კვირეული, სადაც თითქმის ყველა დიასპორის წარმომადგენელი იყო მოწვეული, აგრეთვე იყო „აიდიას“ ასეთი ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც გახლავთ ქალბატონი ჰილარი კლინტონი და რომელიც დიასპორებთან ურთიერთობაზე მუშაობს. იუსტიციის მინისტრის თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი და დაიწყო რამდენიმე ეკონომიკურ, სერიოზულ პროექტზე მუშაობა, სადაც დიასპორის წარმომადგენლები იქნებიან ჩართულნი.

ერთი მხრივ, ისტორიული დიასპორები, შეიძლება ითქვას, რომ ეს ისტორიული დიასპორები ძირითადად არიან თურქეთსა და ირანში, და არის ახალი ემიგრაცია, ახალი დიასპორები, რომლებიც არიან ევროპის ქვეყნებში, აშშ-ში და რუსეთში. რუსეთთან გარკვეულწილად გართულებულია ცო-



სანდრო ბრეზაძე:

ნახევარი საქართველო ქვეყნის გარეთაა გასული და დიასპორის საინისტიტუტო უფლება არ აქვს ეს ნახევარი საქართველო უყურადღებოდ დატოვოს

ტატი მუშაობა, იმიტომ, რომ ჩვენ არ გვაქვს მათთან დიპლომატიური ურთიერთობა და აქედან გამომდინარე, ცოტა რთულია, მაგრამ ჩვენ, მაინც პირადი კონტაქტებითა და პირადი ურთიერთობებით ვცდილობთ, რომ რუსეთში მყოფ დიასპორასთან (რომელიც საკმაოდ დიდი რაოდენობა არის, ალბათ, ყველაზე დიდი, 700 ათასი კაცი), გვექონდეს ინტენსიური ურთიერთობა. ურთიერთობა რას გულისხმობს – მათ ჩართულობას ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის საქმეში და მათ აქტიურ მონაწილეობას გარკვეულ პროცესებში, განსაკუთრებით ეკონომიკურ პროცესებში რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს. ჩვენ თუ გამოგვივიდა ჩვენი სამუშაოს შესრულება ისე, როგორც ეს არის ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, ჩათვალთ, რომ საქართველო, საქართველოს ეკონომიკა მიიღებს სერიოზულ მხარდაჭერას იმ ქართველების მხრიდან, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ არიან გასულები და რომელთა უმრავლესობაც წარმოადგენს საკმაოდ სერიოზულ და ძლიერ ინტელექტუალურ პოტენციალს.

– სერიოზულად მოგიკიდეთ ხელი დიასპორებთან ურთიერთობასო, იქნებ დააკონკრეტოთ რა გაკეთდა და რა კეთდება...

– თითქმის ყველა ქვეყანასთან აღდგა კონტაქტი, თუმცა არის ქვეყნები, რუსეთი, ევროპა და აშშ, სადაც ახალი დიასპორები, დიდი დიასპორები, რომლებთანაც მეტი მუშაობაა საჭირო. ამავდროულად საკმაოდ სერიოზული კონტაქტები გვაქვს თურქეთში ჩვენს დიასპორასთან და ახლა იგეგმება ვიზიტი ფერეიდანში, ირანში.

დიასპორა ყველაფერს, რომ თავი დაეხსნას, ლობისტიც არის თავისი ქვეყნისა იმ ქვეყანაში, სადაც ის იმყოფება და საკმაოდ სერიოზულ სამუშაოებს ასრულებს ქვეყნის წინსვლისთვის. ეს საკმაოდ გლობალური პროექტებია, დაკონკრეტებას ვერ დავიწვევ, იმიტომ, რომ ამას ალბათ, ერთი ათი საგაზეთო ინტერვიუ არ ეყოფა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ რამდენიმე თვეში ის ძირითადი შედეგები, რა შედეგებიც უნდა მოჰყვებოდეს თითოეულ გადაღებულ ნაბიჯს, რო-

გამო, რომ 9 წლის განმავლობაში მათ, დიასპორებს ყურადღება არ ექცეოდათ და იგნორირებულნი იყვნენ, რა თქმა უნდა, მათი დამოკიდებულება ძალიან მძიმე არის. ისინი თვლიან, რომ, ფაქტობრივად, მიტოვებულნი არიან უცხო ქვეყანაში, პირველი, მნიშვნელოვანი ამოცანა რაც არის, ეს არის ის, რომ ნდობის ფაქტორი, ფაქტობრივად, აღმდგარიან ამ ადამიანებთან, ანუ ნდობა აღსდგას ამ ადამიანებთან და ამ ნდობის გამო ყველაფერი შეიძლება წინ წავიდეს.

– ბიუჯეტს რაც შეეხება, ფიქრობთ, რომ საკმარისი თანხები გამოყოფილი იმისთვის, რომ პროექტები განხორციელდეს?

– რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესი იქნებოდა რომ ეს თან-

ხედი, რომ ნახევარი საქართველო საქართველოს ფარგლებს გარეთ არის გასული და ჩვენ თუ მივატოვებთ ეს ნახევარი საქართველო, მაშინ იმ მართლაც ინტელექტუალურ პოტენციალს და ჩვენს ოქროს რეზერვს დავკარგავთ და ეს იქნება გამოუსწორებელი დანაშაული.

– ემიგრაციაში უკვე წამოვიდა თაობა, რომელიც საერთოდ მოწყვეტილია ქართულ კულტურას. რას აპირებს ქართული სახელმწიფო ამ მიმართულებით?

– ჩვენ გვაქვს ასეთი პროექტი ჩაფიქრებული, ონლაინ სკოლა ანუ კომპიუტერის, ინტერნეტის მეშვეობით ქართული ენის გაკვეთილების გადაცემა, როდესაც საშუალება ექნება ჩვენი ემიგრაციის წარმომადგენლებს, იგივე ახალგაზრდა თაობას, ბავშვებს, რომ კომპიუტერის მეშვეობით მიიღონ ქართუ-

მელსაც დიასპორების სამინისტრო დგამს, ალბათ, თვალნათელი და ხელშესახები იქნება უკვე ასევე საკმაოდ საინტერესო ურთიერთობა გვაქვს ჩამოყალიბებული ისრაელში ქართულ დიასპორასთან, ქართველ ებრა-

ხა ორმაგი და სამმაგი იყოს, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს შესაძლებლობებიდან გამომდინარე ესეც მიღწეული შედეგი არის, რომ ბიუჯეტი გაიზარდა და ეს არის ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ

ლი განათლება, შეისწავლონ ქართული ენა და ლიტერატურა. ეს პროექტი დამუშავებულია და დიდი იმედი მაქვს, რომ მალე ამოქმედდება. უბრალოდ, დიდ ფინანსებს მოითხოვს. ამას სკაიპით ვერ განახორციელებ,



ელლებთან. მათი საკმაოდ შთამბეჭდავი დევეგაცია ჩამოსული იყო საქართველოში, საქართველო-ისრაელის 26 საუკუნოვანი თუბილესთან დაკავშირებით და ვფიქრობ, რომ ქართველი ებრაელებიც სერიოზულ წვლილს შეიტანენ საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის საქმეში და ისინი დღეს არიან, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ლობისტიები მთელ მსოფლიოში ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული სახელმწიფოსი.

– დაყენებთ საკითხს ბიუჯეტის გაზრდის თაობაზე?

– ამ წლის ბიუჯეტში ეს ვერ მოხერხდება და მომავალი წლის ბიუჯეტში, რა თქმა უნდა, მოვიხიზოთ ამას. საუბარი არის დაახლოებით 2 მილიონამდე, რომ გაიზარდოს ბიუჯეტი, ეს არის უმნიშვნელოვანესი სფერო, ფაქტობრივად, ჩათვა-

ამისთვის საჭიროა სპეციალური აპარატურა, ჩვენ ვცდილობთ, რომ ღონისძიებებთან ვიმუშაოთ ამ საკითხზე.

თქვენ ვერც კი წარმოგიდგინათ, თუკი დიასპორების სამინისტრომ თავისი პოტენციალის მაქსიმუმი გააკეთა, რამდენად დიდი სარგებელი ექნება ამით ქვეყანას, იგივე ეკონომიკის მხრივ, იგივე ნიჭიერი კადრების საქართველოში დაბრუნების ან მათ მიერ სერიოზული დახმარების აღმოჩენის მხრივ, იგივე ქვეყნის ლობისტობის მხრივ და ა.შ.

სააკაშვილო, ნუ ბლატაობ, შე პართლა ჩიორო და ბანძო



„საერთო გაზეთის“ სტუმარია პარლამენტარი სოსო ჯაჭვლიანი:

— სოსო, ბოლო პერიოდში პოლიტიკურ ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებები მოხდა, ვითარება დღითიდღე იძაბება. თქვენი აზრით, ეს რით აიხსნება?

— პროცესები ლოგიკურად მიდის, ანუ ყველაფერი ისე ხდება, როგორც ხდება. ამ ყველაფრის შედეგად არ ვიქნები, არც მკითხველი დამიჯერებს. სამწუხაროდ, იმასთან დაკავშირებით, რაც ქვეყანაში ხდება, ძალიან ლოიალურები ვართ. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. 2012 წელს, მას მერე რაც გამარჯვება ვიხეიამეთ, ვინმეს რომ ეთქვა, ორი წლის თავზე „ნაციონალები“ შუა რუსთაველზე მიტინგს მოაწყობენო, ალბათ, არანორმალურად ჩათვლიდით. ვერაფერს წარმოიდგენდა, ორი წლის თავზე „ნაციონალები“ ასე თუ იპარბაშებდა.

— სოსო, წელან აღნიშნე ჩვენი ბრალია „ნაციონალები“ ასე რომ პარპაშებენო. ალბათ, აქცია რომ გამართეს ამითაც ხართ შემფოთებული?

— დიას, მეტი რაღა უნდა მოხდეს, გიჟი კვივიდან გვემუქრებოდა ბენდუქიძეს ველაპარაკე და ასე და ისე გადაწყვიტეთო, გესმის? ჩავიარე პარლამენტთან, სოფლიდან ჩამოყვანილმა ბავშვებმა დამინახეს, მიცენეს, შერცხვათ, ხელები აიფარეს და შეტრიალდნენ, მათ ფული მისცეს და ისე ჩამოიყვანეს. ეს გიჟი პირდაპირ გვემუქრება სისხლში გაბანავებით. ახლა „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ესვამ კითხვას? — ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერს თავის სახელი არ უნდა დაერქვას? არაფერს ვეუბნები, მაგრამ ყველაფერს დროზე უნდა დაგარქვათ თავის სახელები. თუ ვინმე დასაჭერია, უნდა დავიჭიროთ. კაცი გამოდის და პირდაპირ გვემუქრება, მეტი რაღა უნდა გააკეთოს, რას ველოდებით? გესმის, რას ვამბობ, ტიპი რევოლუციას ამზადებს, მილიარდულია ივანიშვილზე მეტი ფული აქვს, თან საქართველოს მოსახლეობისგან მოპარული. გვემუქრება ტიპი. ცინიდანაც გვემუქრებიან. ამათ დროს ხმას იღებდა ვინმე? — ჩასვრილი იყო მთელი საქართველო. ნუ ვიქნებით მათ მიმართ ასე ლოიალური. ერთი რამაც მინდა ვთქვა. ხალხი გა-

ბოროტებულია. ნახე, რა ხდება სოციალურ ქსელებში? კომპიუტერს სატანის ყუთს ვეძახი. ამ საიტებზე რომ შეხვალ, გაიფიქრებ, საერთოდ როგორაა ჭკუაზე საქართველო. რა საზიზღარი კომენტარებია, დულს საქართველო, ცოფი სჭირს საქართველოს, ღვარცოფი მოედინება. თუ რამის თქმა უნდათ, პირდაპირ თქვან, დაწერონ სახელი, გვარი, მისამართი. მაგრამ არა, ამ სატანის ყუთს არიან ამოფარებული. ამის მერე რაღა უნდა გავიკვირდეს. იქით სტურუა ივინება, აქეთ ვილაც სხვა, შეიძლება ჭკუიდან გადახვიდე. რამხელა ბოროტება ტრიალებს. ყველაზე საშიში ადამიანები სწორედ ესენი არიან, გვერდით ვიდგანან, გიცინიან, საღამოს წავლენ და ვილაცის სახელს ამოფარებულნი ღვარცოფს გადმოიხიხივენ. სხვა კი არაფერია მეროდ მოსვლა. ამათ ჰგონიათ, უფალი ჩამოვა და ყველში წავიჭვებს. არა, აი ესაა მეროდ მოსვლა, რაც ხდება. აქვე კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: ერთ-ერთ ზონდერს, რომელმაც ლუკას კვერცხები ესროლა, ვუთხარი — აბა, თუ მაგარი ხარ მიდი და ხელით შეეხე თუ არადა კვერცხს დაგიძახებ-მეთქი. ვერ გაბედა, იმის ტრი არ ეყო, რომ ერთი თვე ციხეში ჩამჯდარიყო, სამაგიეროდ, ევროპელი ჰგონია თავი და კვერცხებს ისვრის. კვერცხს კვერცხები ისვრიან!

ამ ნადირების ქმედებებს სასწრაფოდ უნდა დაერქვას სახელი. 9 წლის მანძილზე რამ-



დენი უბედურება დაატეხეს თავს ქართველ ხალხს და კიდევ ბედავენ გამოვიდნენ და დაგვემუქრონ. ეს საშიში რაღაცაა, „ნაციონალებს“ სერიოზული ფული აქვთ მოპარული და შეიძლება უამრავი უბედურება ჩაიდინონ. ამიტომ, დროზე უნდა ყველაფერს სახელის დარქმევა.

დულს ყველაფერი, თავად „ნაციონალები“ ადულტებს ქვეყ-

ნას. ვიმეორებ, ძალიან ლოიალურები ვართ, დამნაშავეს პასუხი მკაცრად უნდა მოეთხოვოთ. დასავლელ მეგობრებს ვეკითხები — რა რეაქცია ექნებოდათ მათი ყოფილი პრეზიდენტი სე რომ დამუქრებოდათ? ხედავთ, რა ხდება ემზარ კვიციანზე? მან საკუთარი სისხლით დაიცვა კოდორის ხეობა. აქ კაცურად ჩამოვიდა და თქვა გამასამართლეთო. იმდენად მართალი ადამიანია, ჩამოვიდა და ჩაბარდა. გიჟი სააკაშვილი ხომ პირველი პირი იყო, თუ დამნაშავე არაა ჩამოვიდეს, რისი ემინია, დაიცვენ დასავლელი მეგობრები. მაგრამ იცის, რომ დამნაშავეა, ნაჭაბი აქვს და თან ძალიან ბევრი.

— სოსო, წელან ახსენეთ, სააკაშვილმა რუსებს სამაჩაბლო ჩააბარა და მათ ტერიტორიების აღიარების ბერეკეტიც მისცა. რა იცით კიდევ ამის შესახებ?

— ტალიაინის კომისიის დასკვნას ყველა ვიცნობთ. გეტყვი, რომ აქ კიდევ სხვა სერიოზული ეჭვები ჩნდება. თუ ეს დადასტურდა, ჰააგის ტრიბუნალზე მოუწევს წარსდგომა, სააკაშვილს თვითონ ამერიკელები და ევროპელები გაასამართლებენ. სააკაშვილი ჩვეულებრივი აგენტია. ხომ იცი, „დვანი“ და „ტრანი“ აგენტები რომ არიან, ისეთი. რუსებს ჩააბარა ტერიტორიები, 150 სოფელი წაიღეს, კოდორი თოფის გაუსროლელად დაეთმო. ანუ, აქ, სააკაშვილის როლი იკვეთება. ამას ჩვენი მეგობრები თავად გამოიძიებენ და ეს თუ დამტკიცდა, ჩათვალენ, რომ გასამართლდება.

— ანუ სააკაშვილმა რუსეთის ინტერესები დაიცვა?

— სააკაშვილი რუსეთის აგენტია, აბა რა არის. მათ, ენგურჰესი ერთ თვეში გადაუფორმა,

ვლაპარაკობდით, ბუფერულ ზონაში ხელშეკრულების თანახმად ჯარის შეყვანა არ შეიძლებოდა, რაც დაირღვა და ჯარი შევიდა. რატომ შეიყვანა ჯარი, ვისი საქმე გააკეთა ამით — რუსეთის ხომ? რადგან რუსეთის საქმე გააკეთა ე.ი. მათი აგენტია. დავაც ზედმეტია იმაზე, ვინ დგას „ნაციონალების“ უკან. გავიხსენოთ, ვინ არის ცხონებული ბენდუქიძე, ვაშაძე და სხვები.



რაზე ვლაპარაკობთ საერთოდ. კახა ბენდუქიძე ხომ არის გადაღებული როგორ ზის პუტინთან. ეს ზღაპრები სხვას მოუყვინენ. თავიანთ აგენტურას ხომ არ გაყიდნან არა?! **კუტიანი ხუთი პატრონი რომ პლემბოდა, მართი აშქელან პლემბოდა იყო. ეს ცოტა სხვაანაირად ხდება. მერე როგორია შიდა-ბი. ღმერთმა აცხონოს, მაგრამ რაღა ყველა ამ ლონდონში კვდება? ყველა კვდება ლონდონში. მიმისხველი მიხვდება რაზეც ვლაპარაკობ.**

— სოსო, მიტინგზე გაუღერდა, მთავრობა ვითომ რუსეთთან ურთიერთობას ალაგებს, მაგრამ სახეზეა მათუხლართები, ქვეყნის დანაწევრება, ხალხის გატაცება.

— ესენი ბოზი ქალებით არიან, აქეთ რომ გედავებიან. ბოზობა კაცისგან უფრო სასიციხეა. ბიჭო, შენ არ ჩააბარე, შენ არ გააკეთე რუსეთის საქმე, ახლა მე მედავები?! თბილისი ვერ ჩააბარა, მაგრამ ნაწილობრივ ხომ გააკეთა მათი საქმე — ამხელა ტერიტორიები ჩააბარა, აღიარების საშუალება მისცა. ახლა, რომ ვიმეორებ, რუსები დალესტნიდან ჭრიან გზას და იქედან ადვილად შემოვლენო, სასაცილო არაა. აგერ, შენ თვითონ არ დააყენე გორში 40 კილომეტრში?! ამ გიჟს 24 საათი პირზე აკერია აგენტები ხართ. თვითონ ვინ არის ხომ ვთქვით. „ნაციონაკები“ რუსების დავალებას ასრულებენ. რატომ იცი? — ასეთი გეგმაა, რუსეთს არ უნდა დაველაპარაკოთ და უნდა ვაგინოთ, უნდათ რომ მათთან კონფრონტაციაში ვიყოთ.

— ანუ „ნაციონალების“ ინტერესებია, რომ რუსეთთან ურთიერთობები არ მოგვარდეს?

— აბა რა, არ უნდათ რომ რუსეთს დაველაპარაკოთ. ისინი ხომ აგენტები არიან. რომ არ დაველაპარაკებო, მერე რუსებს სათქმელი ექნებათ, ახალი მთავრობაც არ დგამს ნაბიჯებს და რასაც გვინდა იმას ვაკეთებთო. დიას, „ნაციონალებს“ უნდათ ეს კონფრონტაცია შენარჩუნდეს,

რათა რუსეთმა კიდევ წაიღოს ტერიტორიები, ახლა ჯავახეთში იძაბება სიტუაცია.

— მიტინგზე გაბაშვილმა თქვა: თუ მთავრობა ყვითელ ბარათს ვერ დაინახავს, წითელს ვაჩვენებთ...

— ეგ ბარათი ერთ ადგილას უნდა გაუყარო მაგათ. ამ ნადირებს მთელი საქართველოსთვის ცოცხები ჰქონდათ გაყრილი. რას ვლაპარაკობენ ეს ნადირები, ვირთხები. რომელი ჭკუათმყოფელი არ იტყვის — არა ანექსიას. მაგრამ ესენი როგორ იღებენ ხმას. რამხელა თუმორის გრძობა აქვთ, როგორ დასცინიან მთელ საქართველოს. ქართველებს ვუბნები — ნახეთ, როგორ დაგვეცინიან. ამიტომ, არ დავიღლები ამის გამოვრებით, მოვემუშავებ ამ ლოიალობას, ამათ ცოტა სხვაანაირად უნდა მივხედოთ.

— როგორ?

— როგორ უნდა მიხედო იცი, სააკაშვილი რომ გამოდის და იმუქრება, პასუხი უნდა მოსთხოვო. აი, ასე. ძებნილ კაცს ჩვენი პარლამენტარები უცხოეთში ხვდებიან, თან აქ ჩამოდიან და ამაზე ხმამაღლა ვლაპარაკობენ, მერე ხალხი ჩვენზე ბრაზდება. ირაკლი ბათიაშვილმა ტელეფონით კვიციანს უთხრა საქმეს მიხედო ძმაო, ისე გააკეთე სისხლი არ დაიღვაროსო და ამის გამო ირაკლის 25 წელი მოუსაჯეს. აი, როგორ მუშაობდნენ თვითონ. ხალხი ამიტომც გვეკითხება — რას შევებით, რას ვაკეთებთო. გესმის, რას ვამბობ, პარლამენტარები ჩადიან და პირველ პირს, ვისზეც ძებნა გამოცხადებული, ისე ხვდებიან





ვითომც არაფერი. იქ მისგან ღებულობენ დავალებებს, როგორ უნდა მოაწიონ აქ რევოლუცია. აქ რომ ჩამოდიან თავისუფლად ლაპარაკობენ სააკაშვილს შვედლით და ესა და ეს დავალება მივიღეთო. ამიტომ უტყდება ჩვენზე გული ამომრჩეველს.

– სოსო, რამდენჯერმე ახსენეთ, დროა ყველაფერს თავის სახელი დავარქვათო. აქამდე იმიტომ, ხომ არ მოვედით, რომ რეჟიმი არ შევადგასეთ და მხოლოდ ცალკეული პირების დაპატიმრებას დავყბულდით?

– დიახ, ესენი უნდა გასამართლდნენ. ათასობით კადრი არსებობს, რა უბედურებებს ჩადიოდა რეჟიმი. ეგს ნაძირალა იძახის ბენდუქიძეს გული გაუხეთქეთო. ირინა ენუქიძეზე რატომ არაფერს ამბობს? მას ყველა ქალაქში ძველი უნდა დაეუღლათ. მან ხალხს პროტესტის გრძნობა გაუღვიბა, აჩვენა როგორ შეიძლება ერთი ადამიანი რეჟიმს შეებრძოლოს, ქართველი ქალის სახე ესაა. სამწუხაროდ, ასეთ რაღაცებს ყურადღებას არ ვაქცევთ. ერთ მაგალითს გეტყვი, 12 და 22 სექტემბერს ვილნიუსში, მკლავჭიდში 36-ე მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა იმ დარბაზში, სადაც ნატოს სამიტი გაიმართა. 14 ოქრო, 5 ვერცხლი და 7 ბრინჯაო ავიღეთ. ეს ის დარბაზია, სადაც ასოციაციის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს შალახო დაუკრეს. ჩვენ, 14-ჯერ დავამღერეთ საქართველოს ჰიმნი. შეჯიბრს ესწრებოდა ვილნიუსის მერი, ჩვენი ელჩი სალუქვაძე, საკონსულო და ნატოს გენერლები. აქ ტელევიზიები დავიბარეთ და არ გააფლერეს ეს ფაქტი, სამაგიეროდ აჩვენებენ ლოკოპინების შეჯიბრს და გეპარადის ქართველ გამარჯვებულს. ყველაზე ძლიერი ხელი მძიმე წონაში ქართველებმა რომ ჩამოვიტანეთ, ეს მათთვის საინტერესო არაა. 2014 წელს ყველაზე ძლიერი ხელები და მკლავები რომ საქართველოშია, ამას არ ეუბნებიან ერს. მიყალიბდება აზრი, რომ ეს შეგნებულად ხდება.

– სოსო, სააკაშვილის გამოსვლაზეც

შინ მოხდებოდა ამ რეჟიმის გასამართლება. უნდა ამოიღო და ყველაფერი აჩვენო ხალხს. კინოთეატრში უნდა გვეჩვენებინა, რათა ბავშვები არ შეგვეშვა. აი, ყველაზე დიდი დანაშაული. დავინახავდით, მაშინ როგორ იბლატავებდნენ. ისევ მივმართავ სააკაშვილს – შენ არ გააბანძე, შენ არ დაამორე საქართველო? ვერ დაამორე ისინი, ვინც შენს რეჟიმს 2012 წელს კისერი მოუკრინა. ეს ფირები შეიძლება არ ეჩვენებინათ იმ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიაა, მაგრამ აქ როცა საქართველო ასე დულს და ცოფი ჭირს ხალხს, ეს ყველაფერი უნდა გვეჩვენებინა და მაშინ იტყვოდა ხალხი – არა ნაციონალებს და იმ 40 %-ს თვითონ გამოყრია პარლამენტიდან. მეორე, მესამე დღევე დაინიშნებოდა არჩევნები. აი, „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი დანაშაული. ყველაფერი გულში ჩავიკალით, შედეგად 15 ნოემბერს მუქარებით სავსე აქცია გამართეს.

– „ნაციონალები“ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე საუბრობენ, არადა, არჩევნები დანიშნული არაა, რამე პროვოკაცია ხომ არაა მოსლოდნელი?

– კი, აბა რა. ხოლა ამიტომ, ფხიზლად უნდა ვიყოთ. არჩევნების გზით ვერ მოვლენ. მაშ, რით გვემუქრებიან? – მათი დაბრუნების ერთადერთი გზა ფინანსები და იარაღია. ათას და ორი ათას გიჟს ვერ ნახავენ? ვინც ჩვენ გვიჭერდა მხარს, იქედანაც ნახავენ ხალხს, თუ ფულს გადაუხდინან. ზვიადის დროს 200 კაციანმა ჯგუფმა არ დაამარცხა ქვეყანა, თუ დავაიწვიყდა ახლო წარსული? ხალხიც ხომ იცი როგორია – მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს! ამიტომ, დიდ მატერიებზე ნუ ვლაპარაკობთ და გონს მოვევით. დავანებოთ ტრაბახს თავი, ჩვენც ჩვეულებრივები ვართ, როგორც დედაძვის სხვა მცხოვრებნი, ოღონდ უფრო გაბოროტებულები, გალატაკებულები. მთელი საქართველო იძახდა ამათ სისხლს დაველოთო, მაგრამ ავერ მიტინგი ჩაატარეს.

– ვისი ბრალია მერე ეს?

– ყველას ბრალია. რა თქმა უნდა, ასეთ დროს ყოველთვის მთავრობას ადანაშაულებენ, მაგრამ ხალხს ბევრი რამე შეუძლია. იფანიშვილი ხალხის გარეშე ვერაფერს გააკეთებდა. ხალხი იმ კონდიციამდე უნდა მივიდეს, როგორც 2012 წელს იყო.

დასკვნის სახით ერთსაც ვიტყვი: „სახალხო კრებამ“ 14 კაციანი პოლიტ.საბჭო შექმნა, ერთ-ერთი წევრი მეც ვიყავი. ეს რომ გამოცხადდა, 500 კაციან დარბაზში, ე.წ. ნაღები ელიტა, რომელიც ამ 14 კაცში ვერ მოხვდა, ყველა ჩემი მტერი გახდა. რამდენიმე დღის მერე განვაცხადე, რომ 14 კაციანი ჯგუფიდან გამოვდივარ და რიგითი ჯარისკაცად ვარაიხდები.

ვინაა ჩემი მთელი დარბაზი ისევე ჩემი მეგობარი გახდა. აი, როგორია ადამიანი – 500 კაცს ერთი ადგილი გაუთავისუფლდა და ყველა ბედნიერი გახდა, ერთი ადგილი დავიკავე და ყველა ჩემი მტერი გახდა. რა ვქნა ახლა? აი, ესაა საზოგადოება და ადამიანი. მე გავხადე ხალხი ბედნიერი. ახლა, თუ უნდათ გამოვიდეთ პარლამენტიდან, მითხრას გლდანმა და გავხდი ამათ ბედნიერს. რა უნდათ, ვერ გავიგე. ამასაც გავაკეთებ თუ უნდათ.

თამარ შვილიძე
555 23 28 24



მინდა გკითხოთ, მან საქართველო ორად გაყო – ერთი თავისუფალი, მეორე მიჯივრებული?

– სააკაშვილს პირდაპირ ვეუბნები: შე მართლა ბანძო და ჩმორი, შენ არ გააბანძე საქართველო, შენ არ ხმარობდი მთელ საქართველოს ციხეში, შენ არ აჩვენე ცოლებს როგორ ხმარობდნენ მათ მეუღლეებს ციხეში. იცი, რა არის კიდევ საქართველოს და „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი დანაშაული? – ეს აუცილებლად უნდა ითქვას იმიტომ, რომ მე ამ გუნდის წევრი ვარ – 26 ათასი ფაილი, ეს ფირები მთლიანად უნდა გვეჩვენებინა ქართველი ხალხისთვის. აი, მა-

15 ნოემბრამდე არა ერთი ინფორმაცია გავრცელდა, ბატონი პრემიერიდან დაწყებული სხვადასხვა რეგიონის სხვადასხვა სოფლების მცხოვრებლებით დამთავრებული, რომ „ნაციონალიზმი“ ძალისმიერ პროვოკაციებს გვემავდა. მათ შორის ისეთიც, რომელიც „ნაციონალიზმის“ მხარდსაჭერად და ხელისუფლებაზე შეტევის განსახორციელებლად სხვა ქვეყნის რიგითი მოქალაქეების თუ სხვა ქვეყნის ძალიან უწყვეტის წარმომადგენლების საქართველოში ყოფნას შეეხებოდა. ასევე, მუსირება აზრი, რომ აქცია თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში შევარდნით დასრულდებოდა და გათამამდებოდა რომელიმე სცენარი, ან დაიწყებოდა სამოქალაქო ომი (რაც უკვე მოხდა), ან ხელისუფლება არ წავიდოდა სისხლისღვრაზე (რაც ასევე უკვე მოხდა) – ორივე შემთხვევაში ხელისუფლებას ხელში ჩაიგდებდა „ნაციონალიზმი“ ყველა შემთხვევაში, როგორც ბატონი ვია სალუქვაძე ბრძანებდა, თბილისში იმყოფებოდნენ ძალოვნები უკრაინიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ „მაიდანის მოწყობაში“ და კიევის მსგავსი ქალის შექმნა სააკაშვილის გვემის ნაწილია იყო.

დაეუშვათ, რომ რადგან შიშს დიდი თვალეები აქვს, ხალხს რაღაცები ეჩვენებოდა, მაგრამ როდესაც არსებული სიტუაციის ფლობის შესახებ საუბრობს ქვეყნის პრემიერი და შს მინისტრი და ადსტურებენ ხალხში მორალურ ხმებს, ეს უკვე ოფიციალური განაცხადებია და არა ჭორაობა.

შს-ში თათბირზე რომ „ნაციონალიზმის“ წარმომადგენლებიც დაიბარეს 15 ნოემბერთან დაკავშირებით, საზოგადოების ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია, „ხომ

ლიან მდიდარი ჯორჯ სოროსიც ნაწყენია და ვილაყვებს ვერც ის პატიობს იმ ფულს, რომლებიც სულაც მათ შექმნას და ახარჯა? რატომ არ შეიძლება დაეუშვათ, რომ ჯორჯ სოროსმა, „ვარდების რევოლუციის“ უმთავრესმა დამფინანსებელმა და შემოქმედმა თვითონ დააყარა ბოლო მუჭი მიწა თავისივე პირში „ნაციონალიზმის“ და ბარემ ქვაც დაალო პოლიტიკურ საფლავზე საკუთარი სიტყვებით?

ჯორჯ სოროსი: – „თუ სამხედრო დაპირისპირებაზე ვსაუბრობთ, ცხადია, საქართველოს არ აქვს რესურსი რომ რუსეთს დაუპირისპირდეს, ან თუ ეს იქნება ტერიტორიის დაბრუნების პირდაპირი გზა – ასეთი შეცდომა სააკაშვილის მიერ ერთხელ უკვე დაშვებულია. სააკაშვილი იმ პერიოდში პრეზიდენტმა ბუშმა წაახალისა. სააკაშვილს ეგონა, რომ ამერიკა მო-



რატომ ჩამოვიდა ჯორჯ სოროსი საქართველოში მაინცდაპირისპირების 15 ნოემბერს და რატომ მოქაჩიანდნენ უხაზ, ბაბუნა ჯორჯის დანახვისთანავე, „ნაციონალები“?

წარმოგდგენათ, ვანო მერაბიშვილს ოპოზიცია რომ მიეწვია ამგვარ თათბირზე?“ ხმა არ გამოსულა რა უთხრეს ასეთი, მაგრამ ფაქტია, ვილაყვამ რაღაც „ისეთი“ უთხრა „ნაციონალებს“ რომ ასე მწარედ გამოცხადებულ 15 ნოემბრის აქციაზე მხოლოდ 2-3 საათი იყავანეს, იყავანეს და დანიშლენ... თან რა კარგად იყო დავგეგმილი აქცია 4-საათზე, მშვენივრად უსწრებდა და ბინდებდა...

ძველი სტუმარი ახალი რაკურსით „დღეს ჩვენ ყველას დავანახეთ რამდენნი ვართ. ჩვენი ძალა ყველას დავანახეთ და ზოგიერთებს „ყვითელი ბარათი“ უწევნეთ. „თუ ყვითელ ბარათს“ ვერ დაინახავენ, მალე ნახავენ „წითელ ბარათსაც!“ – გაიჭაჭა გოკა გაბაშვილი – რა ცოტანი დარჩენილან, იხილა საზოგადოებამ, შინაურმაც და უცხოებმაც...

ხმა გაერცვლა, „ნაციონალიზმის“ ოფისიდან დღის გინება და მტკრების ხმა გამოვიდა, ვაშაძე-მელიას ჯგუფი ბოკერიათარგამაძის ჯგუფს სერიოზულად დაუპირისპირდა, თქვენი ბრალია ხალხის სიმციერე, მოაშორეთ „ზონა“, პიკასო“, „დროა“ და ა.შ. ჯგუფებით.

„კაცი რომ გადარიბდება, ცოლს დაუწყებს ჯავრობასო...“ – რა ემღერებოდა, მაგრამ ტექსტისა არ იყოს, ერთმანეთთან ჯავრით რას გააწყობენ თავიანთ შემოქმედთან?

საზოგადოების ნაწილში უკმაყოფილების გამოხატვა კითხვა გაჩნდა, რატომ უნდა მიიღოს ირაკლი ღარიბაშვილმა ჩვენი დამაქცევარი ჯორჯ სოროსი?

ამასწინათ ერთ-ერთ გადაცემაში ურნალისტმა გრიგოლიამ გადაცემის ერთ მონაკვეთად თემა გამოიტანა რას ვერ პატიობს იფანიშვილი ცალკეულ პირებს და მიზეზთა შორის ფულად დასახელება, რომელიც პოლიტიკურ გეგმებად ქცეული ფიგურების გამოსაცოცხლებლად გაიღო. ძალიან მდიდრები ძალიან ბრაზდებიან როცა ატყუებენო და იმავე პრინციპით, იქნებ ასევე მა-

ვიდოდა და უშველიდა, მაგრამ ცხადია, ეს ასე არ მოხდა...“ კი, უყვარს სოროსს პირდაპირ თქმა, მაგრამ ხელისუფლებისთვის და რა ქნას ახლა, ისიც პირდაპირ თქვას, რომ სააკაშვილისა და მისი „ნაციონალიზმის“ საშველად არც პრეზიდენტი ობამა გამოიქცევა? – თვლის, რომ გარკვევით თქვა სათქმელი. „ნაციონალიზმისთვის“ უარესიც თქვა: – „ახალი საქართველო უფრო მყარად დგას ამ გზაზე, ვიდრე უკრაინა. მე დავეხმარები ახალ უკრაინას, რომელიც საქართველოს ძალიან ჰგავს.“

და მაინც, როგორ გავარკვიოთ, რამ განაპირობა 15 ნოემბრისთვის ჯორჯ სოროსის ჩამოსვლა თბილისში, ან რატომ შეხვდა პრემიერი ღარიბაშვილი კერძო პირ ჯორჯ სოროსს?

ერთის მხრივ, ისიც შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ სოროსი „ნაციონალების“ „შესაყვრებულად“ ჩამოვიდა, ამითი ბლომად ფული მაქვს ჩადებული და „ნაღავი“ არ გამოიქაჩეთო, თუმცა, რეალურად რატომ ჩამოვიდა, ამას ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯები გამოაჩენს ნათლად. ფაქტი ის არის, რომ „ნაციონალიზმი“ სრულებით არ იყო განწყობილი იმისთვის, რაც ვიხილეთ, ხოლო „კონტრაქცია“ – რაიმეს დასათმობად, მაგრამ ამ განწყობებში თვალისაც კონტრაქციას პოლიციამ გადაუღობა „ნაცაციისკენ“ სავალი გზა, კონტრაქციისთვის არავის უთქვამს დამიშალოთო, მაგრამ უცხადვე თვითონ დაიშალა და დაიშალა არა ბუზღუნ-ბუზღუნით, არამედ მხიარულად, ხოლო „ნაციონალიზმი“, ნაცვლად გამოცხადებული დამანგრეველი აქციისა (ზემოთხსენებული ოპერატიული ინფორმაციების ფლობა ძალისმიერ პროვოკაციებზე), ასევე შვიდად, მაგრამ ყურებამოწყობილი გაილალა...

მოდით და გაიგე, რაო, მავანთ ამა ქვეყნისათა...

გიორგი ჩხეიძე

დიდი ხანი არ არის, რაც ფეისბუქ-სივრცეში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერთა ორგანიზაციის შესახებ გახდა ცნობილი. დღეს ორგანიზაცია სხვა სახელით ფუნქციონირებს. რატომ შეიცვალა ორგანიზაციამ სახელი, რას აპირებენ და ა.შ. ორგანიზაციის შესახებ, მის მიზნებსა და პერსპექტივებზე არასამთავრობო ორგანიზაციის ამჟღავნად „საქართველოს ახალი დემოკრატების“ სახელით დარეგისტრირებული გაერთიანების თავმჯდომარე **დავით სიზანიშვილი** გვესაუბრება.



— იურიდიულად არსებობს მხოლოდ „ახალი დემოკრატები“. როგორც გითხარით, ამ ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა დღეს 4000-მდე წევრს ითვლის და უნდა ვაღიარო, ყველა მათგანი ბატონი პრემიერისადმი სიმპათიის, მხარდაჭერისა და

ორგანიზაციის არსებობას თანხები სჭირდება. როგორ აპირებთ თანხის მოზიდვას და ორგანიზაციის, ასე ვთქვათ, „რჩენას“?

— ორგანიზაციას ფული ნამდვილად სჭირდება. ჩვენ, ჯერჯერობით, ოფისის ხარჯებსაც ძლიერ ვფარავთ. იმედი მაქვს ორგანიზაციას გამოუჩნდება სპონსორი, შემომწირველი, დაგვეხმარება და ხელს შეგვიწყობს შემდგომი მუშაობაში.

თქვენ ხართ პირველი ჟურნალისტი, ვინც ამ თემებზე ჩემთან საუბრობთ, ამიტომ ექსკლუზიურად მოგასწავნებთ, რომ **სულ მალე, ალბათ, დაახლოებით 10 დღეში, „ახალი დემოკრატების“ მთავარი საბჭო შეიქმნება**. ამ საბჭოში გაერთიანდებიან რეგიონების, რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეები. მთავარი საბჭოს ფუნქციები საბოლოოდ განისაზღვრება და იგი დაადგენს ორგანიზაციის სამოქმედო გეგმას. განვსაზღვრავთ, მომავალში რა მიმართულებით უნდა ვიმოქმედოთ.

დავით სიზანიშვილი:

ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერი ვიყავი, ვარ და მომავალშიც ვიქნები, თუმცა ორგანიზაციის შექმნის იდეა ხალხმა მიქარნახა

— დავით, როგორც გავიგე, ორგანიზაცია ათასობით წევრს ითვლის, რეგიონებიდანაც გყავთ წევრები? რამ განაპირობა თავიდან ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერთა ორგანიზაციის შექმნა? ხალხმა მოითხოვა თუ?

— 6 თვის განმავლობაში 30-მდე რაიონული ორგანიზაცია შევექმენით, გავსსენით ოფისები. მოვიკრიბეთ ხალხი. 4000-ზე მეტი ოფიციალური წევრი გვყავს.

დღეს ჩვენს ორგანიზაციას „საქართველოს ახალი დემოკრატები“ ჰქვია. ის არის დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული მოქალაქეთა გაერთიანება. ჩვენი ორგანიზაციის შექმნის მიზანი იყო დემოკრატიული საზოგადოების შექმნა და ამ საზოგადოების სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრება, მოქალაქეთა კონსოლიდაცია და მათი ჩაბმა აღმშენებლობით პროცესში.

მე ირაკლი ღარიბაშვილის აქტიური მხარდამჭერი ვიყავი, ვარ და ვიქნები მომავალშიც, თუმცა ამ ორგანიზაციის დაარსება მხოლოდ ჩემი ინიციატივით არ მომხდარა — ეს იყო ძალიან ბევრი ადამიანის სურვილი და მტკიცე პოზიცია, რომელიც მხოლოდ ერთი კონკრეტული პიროვნების, ირაკლი ღარიბაშვილის კი არა, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

— რა მიზნებს ისახავდა თავიდანვე ეს ცენტრი, რის გაკეთებას აპირებდით?

— რა ფორმით და რანაირად, ამას გარემოებები განაპირობებდა. ასე ვფიქრობდით. მაგრამ დღეს ბატონი პრემიერის მხარდამჭერთა ცენტრი აღარ არსებობს, როგორც

გითხარით, ოფიციალური სახელია „საქართველოს ახალი დემოკრატები“.

— შეხვედრიხართ ირაკლი ღარიბაშვილს?

— პირადად არასდროს შეხვედრივარ. ისე, სურვილი მაქვს და ყოველთვის მქონდა გამეცნობატონი პრემიერი.

— ამ ორგანიზაციის შესახებ იცოდა ირაკლი ღარიბაშვილმა?

— როგორც კი ორგანიზაცია დაეფუძნეთ 2014 წლის მაისში, მაშინვე შევიტანეთ განაცხადი სახელმწიფო კანცელარიაში, რომ შეიქმნა ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერთა ცენტრი, რომლის მთავარი მიზანი იყო, როგორც თბილისში, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით ხალხის გაერთიანება. იმ ადამიანების თავმოყრა, რომლებიც იყვნენ ბატონი ირაკლის მხარდამჭერები და მომხრეები. როცა დავიწყეთ საქმიანობა, ორგანიზაციას მოაწყდა ხალხი საქართველოს ყველა კუთხიდან. ათასობით ადამიანი მოდიოდა და გვთხოვდა გაერთიანებას ჩვენს ორგანიზაციაში. ცხადია, ბატონმა პრემიერმა არ იცოდა, ამდენი ხალხი თუ იყრიდა თავს მის მხარდამჭერთა ჯგუფში.

— იურიდიულად ოდესმე არსებობდა „ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერთა ცენტრი“?

პატივისცემის გამო გაერთიანდა ჩვენს ორგანიზაციაში.

— ახლა სხვა სახელი რომ აქვს ორგანიზაციას, ვინმე ამ გაერთიანების დატოვებას ხომ არ აპირებს?

— წარმოიდგინეთ, რომ პირიქით ხდება. ორგანიზაციას ხალხი ემატება და რეგიონებში, სადაც აქამდე ოფისები არ გვქონდა, ახლა ვხსნი. თავმჯდომარეები გვაჩქარებენ, აქტიურობს ხალხი. წლის ბოლომდე საქართველოს ყველა რეგიონსა და რაიონშიც კი უკვე შექმნილი იქნება „ახალი დემოკრატების“ წევრთა ორგანიზაციები. ასე რომ, თუ ორგანიზაციას ბატონი პრემიერის სახელი არ ერქმევა, ამით წევრები არ მოგვაკლდება.

— ორგანიზაციაში გაწევრიანება როგორ ხდება?

— მოდიან ადამიანები, ეცნობიან ორგანიზაციის წესდებას და პროგრამას და თუ ეთანხმებიან, შეუძლიათ შეავსონ სპეციალური ბლანკი და ხელმოწერით დაადასტურონ თანხმობა, რომ თავისი სურვილით წევრიანდებიან ჩვენთან.

— ასეთი მრავალრიცხოვანი



— ორგანიზაციის პერსპექტივებზე რას ფიქრობთ?

— მიმაჩნია, რომ ჩვენს ორგანიზაციას დიდი მომავალი ელის. ორგანიზაცია 6 თვის დაარსებულა და ურეკლამოდ, მხარდაჭერის გარეშე, ფაქტობრივად, 3 თვეში 4000 მხარდამჭერი გვყავს.

— არჩევნებში მონაწილეობას მიიღებთ?

— სანატრესო შეკითხვაა. არჩევნები ჯერ შორსაა, მაგრამ ჩვენ უკვე ვეზადებით არჩევნებისთვის. მომავლის გეგმები უკვე გვაქვს არა მარტო მე, არამედ, ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ჩვენი ორგანიზაციის წევრები არიან.

დეკემბერში პრესკონფერენციას ჩავატარებთ და საზოგადოებას უფრო ახლოს გავაცნობთ ჩვენი მოქმედებების არსს და მიზნებს.

— საწევროს იხდიან თქვენი ორგანიზაციის წევრები?

— არავითარი საწევრო. ჩვენთან გაწევრიანება შეგიძლიათ თქვენც, ყველა მსურველს, წარმოადგინეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორი ფოტოსურათი და თქვენ განდებით „ახალი დემოკრატების“ წევრი.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18



ირანდი ღარიბაშვილი ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა ჯომიტაბის თავმჯდომარეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკს შეხვდა.

ოფიციალური ცნობით, საუბარი შეეხო ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელებას. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ევროპარლამენტის მიერ ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციის პოლიტიკური მნიშვნელობა.

მხარეებმა ასოცირების საბჭოს პირველი სხდომის შედეგები განიხილეს და იმედი გამოთქვეს, რომ საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგი კიდევ უფრო ინტენსიური გახდება.

ნაციონალების 2-წლიანი გეგმა ხელისუფლების წინააღმდეგ

კარგა ხნის წინ ჩამოწერილი, ჩარეცხილი და მოდიდან გადავარდნილი პოლიტიკური გუნდი „ნაციონალური მოძრაობა“ ახლახან ისევ ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში და ისევ უცნაური ლოზუნგები შემოგვთავაზა. 15 ნოემბრის აქციის სლოგანი იყო „არა ანექსიას“, თუმცა აქცია თავისი შინაარსით ნაციონალების პროპაგანდას ისახავდა მიზნად და არა „ანექსიის“ საწინააღმდეგო რაიმი კონკრეტული ნაბიჯების პროპაგანდას. ჩვენში დარჩეს და ეგ დალოცვილები თუ ანექსიის წინააღმდეგ ბრძოლას აპირებდნენ 2008-ში ებრძოლათ, ახლა რაღა გასახსენებელი იყო მათთვის ძალიან წამებებიანი თემა. ვიღაცამ ისიც კი თქვა, ნაციონალებს ანექსიის თემის დისკრედიტაცია უნდათო. მართლაც, ვინც ნაციონალების უდიდესი აქციაზე მისულ რამდენიმე ათას კაცს ნახავდა, გულში ჩაიცინებდა და იტყოდა „ თუ საქართველოში ანექსიას მეტი არავინ აპროტესტებს, ცუდად ყოფილა ამ ხალხის საქმე“.



„საერთო გაზეთს“ დაუკავშირდა რამდენიმე ექსპერტი, რომლებიც პირობითად შეიძლება ჩაითვალოს ექსპერტებად მიტინგების საკითხებში. მათი ნათქვამიდან რამდენიმე საკითხი აღმოჩნდა საინტერესო.

15 ნოემბრის აქციაზე რამდენიმე დღით ადრე კიევში ჩატარდა სემინარი, სადაც მიწვეული იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ის აქტივისტები, რომლებმაც აქამდე თავი გამოიჩინეს ოპოზიციონერების ცეპით, წამებით და ა.შ. მათ შორის იყვნენ ყოფილი პოლიციელები, ყოფილი და მოქმედი „ბეჭედი ბიჭები“ და მისთანები.

ჩვენი ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აქტიურად განხილული რამდენიმე ისეთი პროვოკაციის მოწყობა, რომელიც თავისი შემზარათობით გადაფარავს 7 ნოემბრისა, თუ 26 მაისის აქციებს და ამით ისინი მოახერხებენ დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ სერიოზული ქულების ჩაწერას. კონკრეტულად რას აპირებენ ჩვენ ეს არ ვიცით, თუმცა ის უდავოა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მთელი თავისი ფინანსებითა და ძალებით მუშაობს არა ამომრჩევლებთან, არა იმაზე, რომ მათი პარტიის შეთხვევითი რიგები რამენაირად შეივსოს, არამედ მუშაობენ იმ მიმართულებით, რომ რაც შეიძლება მეტი ზონდერი ჰყავდეთ

ჩართული თავიანთ პოლიტიკურ მიზნებში. მეორე მხრივ (ეს უკვე სხვა ექსპერტის მოსაზრებაა), სანამ ამერიკაში არ მოსულა რესპუბლიკელი პრეზიდენტი (და დემოკრატებისთვის, როგორც წესი, რუსეთი მოწინააღმდეგე კი არა, კომერციული პარტიონრია ხოლმე), მანამდე ნაცებისგან ფაფხურსა და ჩიჩმაგურობას არავითარი აზრი არ აქვს, ამიტომ ისინი პერიოდულად ცდილობენ თავი შეახსენონ ხალხს და ეს თავისი შეხსენება უნდა მომხდარიყო ვარდების რევოლუციის „11 წლის-თავამდე“. მოგვხსენებათ, ყოველ 23 ნოემბერს ბევრი ცუდი რამ ახსენდება იმ ადამიანებს, რომლებიც 2003 წელს ქარსა და წვიმაში იდგნენ რუსთაველის გამზირზე. ასევე ბევრი ცუდი რამ ახსენდება იმ ადამიანებს, რომლებიც ციხეებში ისხდნენ უმიზეზოდ, პატიმრის პატრონებს, ჩარეცხილებს და ა.შ. ამდენად, ვიდრე სადეკემბროდ გადავართო თავიანთი ეს გამოხვლა, მიზანშეწონილად ჩათვალეს ამ ფორმით დაეწროთ და ამაში არის ლოგიკა.

ჩვენ მივიღეთ ასევე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ძლიერდება (ეს ნაცების მხარადამჭერი ექსპერტიდან მოდის), რომ სემინარები რეგულარულად იმართება არა მარტო კიევში, არამედ ბაქოშიც, და ზონდერების მომზადება ხდება იმისთვის, რომ ნაციონალების 2 წლიანი

გეგმა კარგად შეასრულონ. რაც შეეხება ამ გეგმას, შედეგში მდგომარეობს: 2 წლის განმავლობაში (შეიძლება არც დასჭირდეს ეს ორი წელი), ტელევიზიები ხალხს ისე გააღიზიანებენ, რომ ეს ხალხი თვითონ ჩამოავლებს ხელისუფლებას. ნაციონალების ბოძოლები და პარტიული ბოძები გადავლენ კულუარებში და იქიდან გააგრძე-



ლებენ ხალხის მართვას, ამასობაში შეიქმნება ძალიან ბევრი არასამთარობო ორგანიზაცია, რომელიც იქნება საბაზო ნაციონალების მომავალი სისისთვის პარლამენტში და პარლამენტში კი გავლენ მხოლოდ ინტელექტუალები იმიტომ, რომ სპორტსმენების, მსახიობების და ასეთი ვინმეების მიმართ ხალხი უკვე ერთგვარ აგრესიას ამჟღავნებს. მოზერდათ ისეთი ადამიანების ყურება, რომლებსაც პოლიტიკის ბევრი არაფერი გაეგებათ და პრეტენზიები კი დიდი აქვთ.

კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუვავთ იმას, რომ ამ ხმას თავად ნაციონალები ყრიან. დავიწყეთ იმით, რომ თუ ამდენი სემინარის ჩასატარებელი თანხები არსებობს, მაშინ ნაციონალები ამ თანხებს რატომ არ იყენებენ სხვა მიმართულებით? სემინარი, მოგვხსენებათ, ძვირი სიამოვნებაა. მეორე ის გახლავთ, რომ ეს მთავრობა

მართალია გიგანტური ნაბიჯებით არ მიიწვევს წინ, მაგრამ დაშვებით არაფერს აშავეებს, მით უფრო საიმისოს, რომ ძალით ჩამოავდოს ხალხმა. ხოლო თუ მთავრობამ არაფერი დააშავა ჩამომგდების მოძებნა ძალიან რთული ამოცანაა. თუ მხოლოდ ბანდა მოაწყობს სახელმწიფო გადატრიალებას - ამას ხუნტა და რევოლუცია ეწოდება, ხოლო, რაც მოგვიტანა რევოლუციამ, კარგად გვახსოვს და ქართველი ხალხი არც ისე ბრმა და ბეცია, რომ იმავე

რევოლუციონერებს დაუჭიროს მხარი, რომლებმაც თავიანთი ეწ. რეფორმებით ისეთ დღეში ჩააგდეს ქვეყანა, რომ უბრალო მშრომელ კაცს არაფერი შეარჩინეს.

ასევე ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ნაციონალური მოძრაობა სულაც არ აპირებს არჩევნების მოგების გზით ხელისუფლებაში მოსვლას, იმიტომ რომ არჩევნებს შეიძლება მოჰყვეს კოალიტაციის მძიმე და ხანგრძლივი პერიოდი, იმიტომ, რომ არჩევნებით მოსული მთავრობა ვალდებულია შეასრულოს წინა მთავრობის მიღებული გადაწყვეტილებების ნაწილი მაინც, იმიტომ, რომ არჩევნებით მოსული მთავრობა ცოტა ფრთხილად უნდა იყოს და ბიზნესმენების დაჭერა და მათთვის ფულის შეწერა უდიდეს საქციელად უნდა მიაჩნდეს. რაც შეეხება რევოლუციას და რევოლუციურ ლოგიკას, რევოლუციიდან ორი-სამი წლის განმავლობაში რევოლუციონერი მთავრობა, რასაც უნდა იმას აკეთებს, აღფრთოვანებული ხალხი მიესალმება ხოლმე რეპრესიებს და თუ არ მიესალმება, არ აპროტესტებს მაინც, ხოლო ეს ყველაფერი ერთად აღებული ის პოლიტიკური გარემოა, რომელშიც ნაციონალები თავს მშვენივრად გრძობენ. მოკლედ, ის ვირტუალური სამყარო, რომელიც ნაცებს ჰქონდათ შემუშავებული 2003 - 2012 წლების განმავლობაში ჯერ კიდევ ძალაშია მათთვის, ჯერ კიდევ ჰქონიათ, რომ შეძლებენ დაარწმუნონ მშვიერი კაცი, რომ ის არის მამლარი, ხოლო უსამართლობის მსხვერპლი დაარწმუნონ, რომ „კანონი კანონია“, ასეა თუ ისე, ეს გეგმა, ამჟამად, მაქსიმალურად ტირაჟირდება, თანაც იმ ვარაუდით, რომ მუქარის სერიოზულ ულუფასაც შეიცავდეს. პირდაპირ და პატიოსნად უნდა ითქვას, რომ ეს გეგმა თუ შესრულდა უნდა სერიოზულად დავეფიქრეთ საბჭოთა კავშირის აღდგენაში მივიღოთ მონაწილეობა თუ პროდასავლური კურსი მართლაც კარგი რამეა.

ლიკა გვაზავა

პრემიერი ხვალ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ქუთაისის შემოვლითი გზის 32-კმ-იანი მონაკვეთის გახსნის, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მთავრობის პრესსამსახურიდან აცნობეს.



ქუთაისის 32-კმ-იანი შემოვლითი გზა, ენ0 აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ნაწილია. ეს გზა საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფანს, ახალ შესაძლებლობებს აძლევს. 32-კმ-იანი მონაკვეთი ქუთაისის სატრანზიტო ნაკადისგან განტვირთავს, ხოლო მგზავრობის ხანგრძლივობას 30 წუთით შეამცირებს. ახალი გზა ნახშირბადის მიმდებარე ტერიტორიიდან კოპიტნარის აეროპორტის გასწვრივ არსებულ მაგისტრალს შეუერთდება. პროექტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო, საქართველოს მთავრობასთან ერთად, აფინანსებს. შესრულებული სამუშაოების ღირებულება 181 მილიონ ლარს შეადგენს. სამუშაოებზე 1000-მდე ადამიანი დასაქმდა, რომელთა უმრავლესობა ახლომდებარე სოფლებისა და ქალაქების მაცხოვრებელია.

უხერხულია, რიგითმა მოკვდავმა ვინმეს რაიმე სახის შენიშვნა მისცე, გაკიცხო ან მიუთითო, მაგრამ ის, რაც „იმედის კვირაში“ წინა კვირას ტრიალებდა, ყურსა თუ თვალსმიდმა გასაშვები არ არის.

ვილაცას ქალბატონი ირმა გრიგოლიას ტონი არ მოსწონდა, ვილაცას – მისი ხმა; ვილაც – მიკერძობებაში სდებდა ბრალს, ვილაც – ვილაცების გააპირებაში. შესაბამისად, ზოგს ძალიან მოსწონდა ინგა და „რეაქცია“, ზოგს – პირიქით, მაგრამ ახალი გადაცემის ეთერში მეორედ გასვლის შემდეგ საერთო აზრი ჩამოყალიბდა კითხვის სახით: – რატომ „გაიბანდა“ ინგა თავი?

არის თუ არა მოსალოდნელი, რომ მოხდეს ირაკლი ალასანიას მიცემა პასუსუხისგებაში – კითხვა დასჭკეტა გრიგოლიამ და უკვე ცნობად სახეს (აღმოფოთებულმა სიგარეტის მოსაწვევად გასვლა რომ ითხოვა პირდაპირ ეთერში), უცნაურად მეტყველ, „ნაცმოტრფილად“ მიჩნეულ და „პომადა დეიდად“ სახელდებულ ნათია მეგრელიშვილს მიუბრუნდა აზრის გამოთქმელად. ქალბატონმა ნათიამ ლექციის კითხვა დაიწყო თემაზე „პური და სანახაობა“. მალევე, ქალბატონმა ნათიამ ვერ აიტანა არჩილ გამზარდია და რატომ – ალასანიას თანამდებობიდან გადაყენებით ქალბატონ ნათიასაც უგრძნობა თურმე საშიშროება და თვალნათლივაც დაუნახავს, რომ საქართველო რუსეთისკენ მიდის, ხოლო გამზარდია კი თელის, რომ საქართველო დასავლეთისკენ მიდის. არჩილი მე უკვე მეორე ეთერში არ მამღვეს ლაპარაკის საშუალებასო და გამზარდიას მიუბრუნდა, რა იყო, გიხდიანო? (მანამდე ნათიამ ირმა გრიგოლიასთან ერთად მიმდინარე – „ოცნება“) კატეგორიულად გიკრძალავთ მომავალში ჩემთან დიალოგსო; ჩემთვის დაუწყვარი დღე არის ცხრა აპრილი და მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთის ხსენებაზე ცუდად ვარო. არავეინ ჰკითხა გრიგოლიას, საიდან ამოთხარეთ ეს ქალბატონი, უკვე მეორედ რომ აწყობს სანახაობას პირდაპირ ეთერში, ან სულაც რატომ ამოთხარეთო?

ნათია მეგრელიშვილი, რომელიც ასე სასტიკად ვერ იტანს ოკუპანტ რუსეთს, „ტეც-ს“ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში „Однѣмъ мѣсяцѣ“ ერთერთი ინტერვიუერია და დალაგებული „ოკუპანტური“ (რუსულით) უბერავს „კამაზივით“.

ეს ფილმი კი რა დანიშნულების არის, რა იარაღით გამოვიდა და ვის „ემდგენება“, ცნობილია – საქმე იმაშია, რომ ამ ფილმის გამოსვლამდე წარმოადგენა

მიცვალეულებზე, რომლებიც ვერც უარყოფენ და ვერც დადასტურებენ კაკულის სიტყვებს, მაგრამ რატომ აპირებენ ცოცხალი ადამიანები ამ ქალბატონს?

უხერხულად ჩაჩუმდა, ან პასუხი განაზოგადა, ანდა სულაც სხვა რამეზე დაიწყო საუბარი... არა, ღარიბაშვილი გადადგესო, ალასანიამ არ დამიჯერაო... პიჭკზე იყო ბენდუქიძის აღსასრული და ის ვერ დაინახა დიდმა მისანმა თუ დაგვიძალა და ცოტა ხანში აუდიო-ჩანაწერს გამოაძერენს, 2004 წელს დაინახე თუ არა, მაშინვე ვინასწარმეტყველე მისი ათი წლის შემდეგ გარდაცვალება, მაგრამ ხომ არ ვეტყვოდი?... „დავწყნარდი. ლელა კაკულიამ – საქართველო არ გადაუხვევს ნატო-ს კურსს... შვევალთ ნატო-ში, გამოვალთ და ვიქნებით ნეოტრალური... ვაიმე, რა ხდება 21-ე საუკუნის საქართველოს

დონის ვართ? მართლა ჩვენ ვითხოვთ ეთერებში ლელა კაკულიებს, ნათია მეგრელიშვილებს და სხვა, აშკარა ფსიქიკური პრობლემების მქონე დედაკაცებს?“

ლ. თ. – „ტელევიზიებზე საერთოდ, რა უნდა ვთქვა? – თქვენ ხართ ერის სირცხვილი!“

მ. თ. – სასომხეთში ატომური ელექტროსადგური ავეთქდება... საქართველო გაბრწყინდება... რომ წარმოვიდგენ სასომხეთში ავეთქებულ ატომურ სადგურს და მერე რადაცოვლად გაბრწყინებულ საქართველოს, სულ ფიზიკის მასწავლებელი მინდა მოვეუკითხო მისან ქალბატონს“

გ. ფ. – „საქართველოში სულ დაუფშვტივით, ხალხო?“

ბ. ბ. – „სერიოზულობაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკურ გადაცემაში, თან ტელეკომპანია „იმედს“ რომ აქვს, ეგეთი აპიციის მქონე ტელევიზიაში ლე-



დილა კაკულიამხვიდრობისა! რაც 21-ე საუკუნის საქართველოს ტელევიზიაში ხდება, ეს უკვე აღარ არის სასაცილო, ეს ტრაგედიაა

არ ჰქონდათ მიშასგან დავალბულ ჟურნალისტებს, რომ არსებობდა მასალა-ქალი, ახალი სახე, რომელიც ასე კარგად მოერგებოდა ქართულ ეთერს და აი, ისიც!...

გადაირია ტელემაყურებელი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ორიოდე ფბ-ამონარიდი ვნახეთ იმის გასარკვევად, რა შთაბეჭდილება აქვს ხალხს „ახალ აღმოჩენაზე“.

ფ. გ. – „ისე, ნათია მეგრელიშვილს სამხარაულის სახელობის ექსპერტის ბიუროში რომ გაუშვებდნენ გამოსაკვლევად, ურიგო არ იქნებოდა...“

ხ. ჩ. – „ნათია მეგრელიშვილი უკვე ძალიან რთული შემთხვევაა. ეს ქალი აშკარად ფსიქურად დაავადებულია და თან ძალიან მძიმედ. ვის აინტერესებს მაგის ნაბოღარი, ნეტავ, ვინმე მართლა თუ უსმენს?“

– ადამიანი, რომელსაც დიდი ინტერესით უსმენს მთელი საქართველო და არაერთი ქართველი პოლიტიკოსი ყოფილა მასთან სტუმრად! – იჭექა გრიგოლიამ და სტუდიაში შემოგოგმანდა აქომინებული ლელა კაკულია.

ახლა, ადვილია ისაუბრო

ტონს, მხოლოდ იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ღარიბაშვილმა გამოაჩინა სიმტიცე, ქალბატონი კაკულია უკიჟინებს, გადადექიო?

„ძლიერი, ჭკვიანი, მაგრამ მოწინააღმდეგე ძალებს ვერ გაუმკლავდებაო“ – მიხლე და უჭკუო ხომ იყო კარგი, კაკულიას გაზეთიც ფინანსდებოდა და გამოდიოდა, ახლა აღარ გამოდის, მაგრამ თურმე იმის გამო, რომ წიგნზე მუშაობს...

ლოტკინელმა ე.წ. მკითხვემა ციგებმა იცანა თქმა: ორი ბიჭი დაგვევს, ერთი – შავი, მეორე – თეთრი... ცუდი ამბავია გოგო შენ თავზე, დადე ლარი, გითხრა კარგი ამბავი...“ – აი, ლელა კაკულიას მთელი ხილვები.

გადაცემის წამყვანებს აშკარად არ უნდოდათ კაკულიას გამოჭერა, პირიქით, აპირებდნენ „დიდ მისანს“, თორემ ისეთი პროვოკატორი ჟურნალისტები ისხდნენ წამყვანებად, თვალისმიერს. გამოჭერა კი არა, უნებლიედ რომ დაესმევინათ პირდაპირი კითხვა, „მისანთი-სანი“ (ჩემნაირი არავინააო, რაო, ნოსტრადამუსი ჩემსავით წერდაო? – მანამდე იკითხა) ან

ტელევიზიაში? ეს უკვე აღარ არის სასაცილო, ეს ტრაგედიაა!“ – მცირე და საშუალო ბიზნესის გაერთიანებული მეწამეების“ აღმასრულებელი დირექტორის, პოლიტიკოსი მარინა შენგელიას ფბ-სტატუსის სათაურად შეიძლება დაეღოს იმ

ლა კაკულიას მიწვევა არის წარმოუდგენელი ბანძობა! ბოდიში.“

ა. ა – „მართლა არ მოგებერთათ გრიგოლიასნაირი იაფფასიანი და არაფრისმომცემი გადაცემები? აღარ უნდა გავიზარდოთ?“



მარაზმს, რის შესახებაც საზოგადოება შეუღამაზებლად ამბობს სათქმელს.

ბ.ბ. – ხალხო, დავიჯერო, მართლა ასეთი გულისამრევის

შეიძლება, მეგრელიშვილი „აფერენს“, კაკულია – აფერისტია, მაგრამ ინგა გრიგოლია („გრიგოლიები“) ვინ არის?

ბიორბი ჩხეიძე

ირანალი ალასანია პროკურატურას ბოლო გაფრთხილებას აძლევს



პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე ირაკლი ალასანია, ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით პროკურატურას ბოლო გაფრთხილებას აძლევს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, აცხადებს, რომ ამ პროცესში საერთაშორისო საზოგადოებას ჩართავს.

ამის შესახებ ალასანიამ გორში, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებთან შეხვედრაზე განაცხადა. ალასანია მთავრობას მიმართავს, რომ რაც შეიძლება დროულად მიეცეს ადვოკატებს ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით დაკავებული ადამიანების დაცვის შესაძლებლობა.

„მინდა საგანგებო განცხადება გავაკეთო კაბელების საქმესთან დაკავშირებით: ამ დრომდე ადვოკატებს არ გადასცემიათ საქმის მასალები და არ მიეცათ შესაძლებლობა, რომ დაკავებული პირების სრულყოფილად დაცვა განასორციელონ. აქედან გამომდინარე, მინდა კიდევ ერთხელ მიემართო მთავრობას, რაც შეიძლება დროულად მიეცეს ადვოკატებს, ამ ადამიანების დაცვის შესაძლებლობა. ეს არის ბოლო გაფრთხილება, განსაკუთრებით, პროკურატურის მიმართ. იმ შემთხვევაში კი, თუ არაფერი შეიცვლება, უკვე ამ პროცესში საერთაშორისო საზოგადოებას ჩავრთავ“, – განაცხადა ალასანიამ.

მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს 5 მაღალჩინოსანი 28 ოქტომბერს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვის ბრალდებით დააკავა. საქალაქო სასამართლომ ხუთივე მათგანს 2 - თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

საქმეში ფიგურირებს კომპანია „სილქნო“ და გეგმა, რომლის მიხედვითაც, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალი უნდა გაეყვანათ. გამოძიება ამტკიცებს, რომ უწყების მაღალჩინოსნებმა, საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის მიზნით, საიდუმლო შესყიდვა გამოაცხადეს და მასში უპირატესობა „სილქნოს“ მიანიჭეს - თან ისე, რომ სხვა კომპანიებს შესყიდვის პირობებზე არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს.

საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს.

პატრიოტი

„სართო ბაჟითის“ დამატება

№40, ნოემბერი, 2014 წ.



ვაჰსტანბ სარჩილავა

ვინ ნართვა ნამდვილ აფხაზებს აფხაზობა და მასთან ერთად აფხაზეთი?

— ჩვენ უნდა დავიბრუნოთ აფხაზები! — ადრეც ხშირად გაიგონებდით და ახლაც ხშირად გაიგონებთ ამ ფრაზას. არადა, ჩვენ უკვე „დავიბრუნეთ“ აფხაზები, დაახლოებით სამასი ათასი კაცი, „დავიბრუნეთ“ და ლტოლვილებად ჩამოვარიგეთ მიტოვებულ სახლებსა თუ ბარაკებში.

საქართველოს კონსტიტუციაში ასეთი რამ წერია: საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე აფხაზური.

აი, ამ სიცრუეს, ამ გაუგონარ სიყალბეს, აფხაზეთში აფხაზური ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებას ვგულისხმობ, რომელიც საკუთარი ხელით ჩაეწერეთ ქართველებმა ქართული სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტში, კონსტიტუციაში, ათეული წლებია ყოველგვარი რეაგირებისა და გაკვირვების გარეშე ისე არხეინად გადაუბრუნეთ, თითქოს რაც წავიკითხეთ, იმდენად უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ მას კრიტიკულად გააზრება და განსჯა არ სჭირდება.

არადა, როგორ არ სჭირდება, როდესაც აფხაზური ენა, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ფენომენი, არც არსებობს და არც არასდროს არსებულა.

რაც ახლა ვთქვი, ქართველთა დიდი უმრავლესობისთვის, სტერეოტიპული კლიშეებით გაჯერებული მათი გონებისთვის, ალბათ, დაუჯერებელი რამ არის — რას ნიშნავს, აფხაზური ენა არ არსებობს? როგორ არ არსებობს, როცა აფხაზები ამ ენაზე საუბრობენ, წერენ და ა. შ.

საქმე ის არის, რომ ენა, რომელსაც ჩვენ და სხვებმაც

აფხაზური ენა ვუწოდებთ, აფხაზური კი არა აფსურდია და ამის შესახებ ზედმიწევნით კარგად იცის ყველა ენათმეცნიერმა, ყველა ისტორიკოსმა, ასე თუ ისე წიგნიერმა ყველა ადამიანმა.

არ ვიცი, მსოფლიოს ისტორიაში არსებობს თუ არა პრეცედენტი იმისა, რაც აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხდა.

არ ვიცი, იცნობს თუ არა კაცობრიობა მსგავს მაგალითს, როცა ერთი ეთნიკური ჯგუფი ირქმევს სხვის სახელს, მერე ამ თვითნებურად შერქმეული სახელით ფორმდება „ერად“ და თავისი ეთნოსის ენას ამ „ერის“ ენად აცხადებს.

სწორედ ამ გაუგონარმა სიყალბემ შვა მოგვიანებით ერთი ყველაზე საბედისწერო და ტრაგიკული მოვლენა საქართველოს ისტორიაში — აფხაზეთის ტერიტორიაზე ოლითგანვე მცხოვრებმა აფხაზებმა — მეგრელებმა, სვანებმა, მესხებმა, ქართველმა, ნელ-ნელა უარი თქვეს აფხაზობაზე, უფრო ზუსტად, აფხაზობაზე კი არა აფსუობაზე თქვეს უარი...

აფხაზეთში მცხოვრები ქართველი კაცისთვის, ანუ აფხაზისთვის რომ გეკითხათ, აფსუობით დაშინებული და

დამფრთხალი სასწრაფოდ მოგიგება, რომ ქართველია.

კი, ქართველი როგორ არ იყო, მაგრამ იმავე დროს აფხაზიც რომ იყო, ამის თქმა ან ერიდებოდა, ან ამის შესახებ არაფერი იცოდა ამ კაცმა.

— მე ტომით აფხაზი ვარ, ეროვნებით ქართველი! — თქვა გიორგი შარვაშიძემ, რითაც ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და თავისი ადგილი მიუჩინა, თუმცა ქართულ უდაბნოში არც მისი ღალადისთვის მიუგდია ვინმეს ყური, ისე, როგორც არ მიუგდიათ ყური.

„სამწუხაროდ, ქართველები იმ დემაგოგიაზე წამოვედით, რომლითაც ქართველი და აფხაზი ერთმანეთისგან გაიმიჯნა და სხვადასხვა წარმომავლობის ხალხებად მონათლა.“

უფრო მეტიც, ეს დემაგოგიური ფარსი არათუ გაეპროტესტეთ და უტყუარი არგუმენტებით გაეპათილეთ, არამედ ჩვენი წინდაუხედაობით „დოკუმენტურად“ განვამტკიცეთ და საკუთარ კონსტიტუციაში საკუთარი ხელით ჩაეწერეთ ჩვენი ქვეყნისთვის მომაკვდინებელი განაჩენი.

— ჩვენ უნდა დავიბრუნოთ აფხაზები! — ადრეც ხშირად



გაიგონებდით და ახლაც ხშირად გაიგონებთ ამ ფრაზას.

არადა, ჩვენ უკვე „დავიბრუნეთ“ აფხაზები, დაახლოებით სამასი ათასი კაცი, „დავიბრუნეთ“ და ლტოლვილებად ჩამოვარიგეთ მიტოვებულ სახლებსა თუ ბარაკებში.

სამწუხაროდ, არც არავის უთქვამს მათთვის და არც მათ უთქვამთ, რომ სწორედ ისინი არიან ნამდვილი აფხაზები, აფხაზეთის ძირძველი მკვიდრები.

10 gv. ➔

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში. ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97. რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.



ვინ წაართვა ნამდვილ აფხაზებს აფხაზობა და მასთან ერთად აფხაზეთი?

ჩვენ, ქართველებმა, როდესაც აფხაზს, თავისი ძირითად ფესვით ქართველს, აფხაზი არ დაუძახებთ და აფხაზი სხვა ეთნოსის წარმომადგენელს ვუწოდებთ, ამით ჩვენ თვითონ მოვახდინეთ იმ ტრაგედიის პროვოცირება, რომელიც 90-იან წლებში აფხაზეთის მიწაზე დატრიალდა.

ჩვენ ამ კონფლიქტსაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დავარქვით, თითქოს აფხაზები ქართულ ძალას დაპირისპირებული მეორე ძალა იყო, რაც სრული ნონსენსია, რადგან ამ კონფლიქტში აფხაზები, ანუ აფხაზეთის აბორიგენი მოსახლეობა თვითონვე წარმოადგენდა ქართულ მხარეს.

* * *

საკუთარი ქვეყნის ისტორიაში, თუნდაც მის უახლოეს წარსულში ცუდად ჩახედულ ქართველთაგან ბევრს ჰგონია, რომ გააფხაზებულ აფხაზებს განსაკუთრებული პრივილეგიები საბჭოთა პერიოდში სტალინის და ბერიას წყალობით მიენიჭა, თუმცა სინამდვილეში პირიქითაა ეს ყველაფერი.

საქმე ის გახლავთ, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, აფხაზი კომუნისტების ინიციატივით და ძალისხმევით აფხაზეთიც დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა და ასეთი



როგორც ამბობენ, სწორედ მერხეულელმა ბერიამ ითამაშა გადამწყვეტი როლი იმაში, რომ აფხაზებს დამოუკიდებლობა დაეთმო და საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სახით შესვლაზე დათანხმებულიყვნენ.

ამ ამბავს წინ უძღოდა აფხაზთა ლიდერის ნესტორ ლაკობას მოულოდნელი გარდაცვალება, რაც ასევე ბერიას ბრალდება – თითქოს მან მოაწამლინა ურჩი და პრინციპული ლაკობა, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობის გაუქმების კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

ასე იყო თუ ისე, აფხაზეთი

ნიკიტა ხრუშჩოვი მოვიდა, ყველაფერი მკვეთრად შეიცვალა. პატრონისა და მფარველის გარეშე დარჩენილი საქართველო იმპერიის ქართველ თავკაცებზე განაწყნებული არაკაცების შურისძიების და რისხვის ობიექტად იქცა.

სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზთა ერთმა ნაწილმა მყისვე ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და მოსკოვისკენ საჩივრების და საპროტესტო წერილების უწყვეტმა ნაკადმა იწყო დენა.

ისინი ქართველებს მათი ეროვნული ინტერესების იგნორირებაში, მათი უფლებების შელახვაში ადანაშაულებდნენ და კრემლისგან შველას და მფარველობას ითხოვდნენ.

კრემლსაც არ დაუყოვნებია და ქართველთა მიერ „დეენილი“ „აფხაზების“ დასაცავად მთელი რიგი ინტრუქციები იქნა შემუშავებული, რომელთა განხორციელებაც საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას დაევადა.

სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ქართველ ისტორიკოსთა ერთი ჯგუფის საეჭვო მეცნიერული ღირებულების პუბლიკაციები, რომლებშიც, ფაქტობრივად, უგულბელყოფილი და მიჩქმალულია პავლე ინგოროყვას, სიმონ ჯანაშიას, ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის მაღალ მეცნიერულ დონეზე ობიექტურად და მოუკერძოებლად, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით შესრულებული კვლევები.

ყალბისმქნელობას, სინამდვილის თვითინჴნურად დამახინჯების ტენდენციას განსა-

კუთრებული გასაქანი და ასპარეზი ეღუარდ შევარდნადის, ტიპური მედროვის და კარიერისტის, ხელისუფლებაში ყოფნის დროს მიეცა.

მან ყველა მოთხოვნა შეუსრულა აფხაზებს და კულტურული, ცივილიზებული ერისთვის თანამედროვე ეპოქის შესაბამისი ყველა ატრიბუტი შეუქმნა, დაწყებული უნივერსიტეტიდან დამთავრებული ტელე-

ნამდვილად ქართულ პოლიტიკურ ღრემაში თითქმის შეწყდა.

ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ არ სურთ აფხაზ-აფხაზების გაღიზიანება და მათთვის კალიან მტკივნეული ამ და სხვა თემების წინ წამოწმვა, რაც თურმე მოვალეობა ჩვენი შერიგების ხელისშეწყობელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

იმაზე პი არაპინ არაფერს ამბობს, ამ „წინდახედული“ და „შორსმჭვრამელი“ პოლიტიკის წყალობით საქართველოს უკველესი ტერიტორია აფხაზეთი რომ დავკარგეთ და საუკუნეების განმავლობაში ამ ტერიტორიაზე მცხოვ-



მამინ ამაზე ნაკლებად ფიქრობდა.

აფხაზ-აფხაზებს მაღლიერების გრძნობა რომ ჰქონდეთ, ნესტორ ლაკობას და დიმიტრი გულიას ძეგლების გვერდით შევარდნადის ძეგლიც უნდა დადგან...

* * *

რაც ამ წერილში აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ ითქვა, ცხადია, არც ჩემი აღმოჩენა და არც ჩემი ფანტაზიის ნაყოფი.

ეს ყველაფერი კალიან პარზად არის ცნობილი ქართველი საზოგადოებისთვის, თუმცა ამ თემაზე საუბარი იმ აქცენტებით, რომლებიც ამ წერილშია დასმული ბოლო თხუთმეტი წლის გა-

რები ნამდვილი აფხაზები, იმავდროულად, ნამდვილი ქართველები, ლტოლვილობისა და დევნილობისთვის რომ გავიგე-ბათ.

სიცრუეზე, სიყალბეზე, პრობლემის წაყრუებასა და მიფუქჩებაზე აგებული პოლიტიკა, როგორც წესი, ბუმერანგით ბრუნდება უკან.

ჩვენ დიდ ანგარიშს ვუწვევთ მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებული აფხაზ-აფხაზების აზრს და ამ დროს საერთოდ იგნორირებულია აფხაზეთში მე-8 საუკუნეიდან მცხოვრები ქართველი აფხაზების კანონიერი უფლებები.



სტატუსით იარსება მან 1931 წლამდე, ანუ იმ პერიოდამდე, როცა აფხაზებმა თვითონ თქვეს უარი დამოუკიდებლობაზე და საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სახით შემოსვლაზე თანხმობა განაცხადეს.

ძნელი სათქმელია, მართლა საკუთარი ნებით თქვეს აფხაზებმა უარი დამოუკიდებლობაზე თუ ამის გაკეთება სტალინმა და ბერიამ აიძულეს.

თავის მშობლიურ წიადში, საქართველოში დაბრუნდა და როგორც ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი ღირსეული წევრი და ამ სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი თანაავტორი, აქტიურად ჩაება ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში.

მშვიდობიანი თანაარსებობის პერიოდმა ოც წელზე მეტი გასტანა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა იმპერიის სათავეში ქართველთმომოქლე



აფხაზებო, მთელი საქართველოცაა, გაერთიანდით აფხაზეთის დასაბრუნებლად!



აფხაზ-აფხაზები ისე იმცოდნენ და ისე იმცვიან ღმრთის, თითქოს ისინი იყვნენ აქ, აფხა-ჯამთში, მასპინძლები, სოლო ჩვენ, ქართველები, მათი სიყვარული, მათი სტუმრები, რომლებიც ცუდად მოიქცნენ და მასპინძლებმა საკუთარი სახლიდან გამოყარეს.

აფხა-აფხაზთა ამ საქციელს ზურგს უმაგრებდა ფსევდოიმპერიათა მთელი ლაშქრის ფსევდოიმპერიათა, სიყვარულზე და სიცრუეზე აგებული „კვლევები“ და პუბლიკაციები, რომლებშიც საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს სწორედ ეს აფხა-აფხაზები არიან აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა, ხოლო ქართველები ამ ტერიტორიაზე მოგვიანებით გამოჩნდნენ.

ვერ ვიტყვი, რომ ქართველი მეცნიერები, ქართველი საზოგადოება გულხელდაკრეფილი უყურებდა ამ უმსგავსობას და საკადრის პასუხს არ სცემდა ყალბი მტყუარებს, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით ჩვენი სიმართლით გადაგვეფარა და გადაგვეხსნა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ეს აშკარა



ბული ტირაჟი დაიჭრებაო. ეს იყო პავლე ინგოროყვას ცნობილი ნაშრომი „გიორგი მერჩულე“ – კერძოდ, მისი მეოთხე თავი „დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო („აფხაზეთის სამეფო“) და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულეს ბეგლში“.

ბატონმა ბორის ნანიტაშვილმა იცოდა, რომ პავლე ინგოროყვა კულტურის სამინისტროს ბინადარი და ჩემი უფროსი მეგობარი იყო. ამიტომ მაცნობა ყოველივე საიდუმლოდ.

ასეთი ბარბაროსული გადაწყვეტილება საქართველოს ცეკამ მიიღო აფხაზეთის რესპუბლიკის პარტიული ორგანოების დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც აშკარად უჭერდა მხარს მოსკოვი.

...პავლე ინგოროყვას მოსაზრებების გამო სამეცნიერო კამათი დიდხანს არც გაგრძელბულა, რადგან აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა მხარდამჭერებმა პოლიტიკური შანტაჟის გზით მისი ჩაწილება მოახერხეს. აფხაზეთისა და მათი წამქე-

ზებული რუსი იდეოლოგების მოთხოვნით „გიორგი მერჩულე“ აიკრძალა.“

* * *

ასე ღრამატულად მთავრდებოდა ქართველ მეცნიერთა და ერისკაცთა მცდელობები, როგორმე გაერღვიათ სიცრუის ყრუ კედელი და სიმართლე ემცნოთ მტრისა თუ მოყვარისთვის.

ჩვენ ვერ ინფორმაციული ომი წავაგეთ, შემდეგ კი წავაგეთ ომიც, ოღონდ წავაგეთ არა აფხა-სეპარატისტებთან, არამედ რუსულ იმპერიალთან.

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც ვერ მოახერხა გარდატეხა შეეტანა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებულ საინფორმაციო ომში და საერთაშორისო ტრიბუ-

ნებიდან ახლა მაინც ეთქვა სიმართლე დანარჩენი მსოფლიოსთვის.

სააკაშვილს და მის ხელისუფლებას საერთოდ არ აწუხებდა აფხაზეთის დაბრუნების პრობლემა, მას აფხაზეთის თემა აინტერესებდა, როგორც რუსეთთან მუდმივი კონფრონტაციის რეჟიმში ყოფნისთვის საჭირო მასალა და, ამდენად, სააკაშვილს და მის გუნდს არც უცდიათ პრობლემის სიღრმეებში ჩაწვდომა და სიმართლის გამოძეურება.

სამწუხაროდ, არც ახალ ხელისუფლებას შემოუთავაზებია რაიმე ახალი ამ მიმართულებით.

ჩვენ დღესაც ხრუშჩოვის, სუსლოვის და ზოგადად, რუსული იმპერიის იდეოლოგიური სამსახურების მიერ სიმართლედ და სინამდვილედ შემოსაღებულ სიცრუეს და დემაგოგიას კრიტიკული ანალიზით კი არ ვპასუხობთ, არამედ მშვიდ პოლიტიკურ განცხადებებს და კომენტარებს ვაკეთებთ, რითაც ამ სიცრუეს და დემაგოგიას კიდევ უფრო ვუხანგრძლივებთ არსებობას და კიდევ უფრო ვშორდებით აფხაზეთის დაბრუნების პერსპექტივას.

ჩვენ აფხაზეთში გვაქვს დასაბრუნებელი და არა აფხაზები — აფხაზები, როგორც ბითხარით, ამ ოცი წლის წინათ „დავიბრუნეთ“, სამასი ათასი დემონისტის სტატუსით.

* * *

„მეფე აფხაზთა და ქართველთა“, — ასე იწყებოდა საქართველოს მეფეთა ტიტულატურა, ხოლო მე-12-13 საუკუნე-



ნების საქართველოს, რომელიც მთელ კავკასიას მოიცავდა, „აფხაზეთი“, „ქუეყანაი აფხაზეთისა“ ერქვა, მანამდე კი მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან „აფხაზეთი“ დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოს ეწოდებოდა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას მეგრელები, სვანები, ქართველი შეადგენდნენ.

ტიური“ მოსაზრებებით, სინამდვილეს ამახინჯებს და ენას იჩლექს.

არ მინდა ამ წერილის პათოსი ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს აფხაზეთის საწინააღმდეგო მქონდეს რამე.

არა, აფხაზეთს სრული უფლება აქვთ აფხაზეთად იწოდებოდნენ, მაგრამ რატომ წავართვით ეს უფლება ქართული წარმოშობის აფხაზეთის ძირძველ მოსახლეობას, ანუ ნამდვილ აფხაზებს?

როდის გადადგამს ნაბიჯს საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით და როდის იტყვიან საქართველოს და აგრეთვე სხვა ქვეყნებში მიმოფანტული აფხაზეთიდან დევნილი ადამიანები, რომ სწორედ ისინი არიან აფხაზები და აფხაზეთი მათი სამშობლოა.

ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს თბილისში აფხაზეთიდან დევნილთა ხალხმრავალი შეკრება გამართება, სადაც მის თითოე-



თუნდაც ერთი წუთით სარწმუნოდ რომ მივიჩნიოთ მოსაზრება, რომ აფხაზები მხოლოდ აფხაზები არიან, გამოდის, რომ დასავლეთ საქართველოს, ამ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას, საუკუნეთა განმავლობაში, ძალზე მცირერიცხოვანი აფხაზთა ტომი აკონტროლებდა, ხოლო საქართველოს მეფეები აფხაზეთის მეფეებზე იყვნენ რაც, რა თქმა უნდა, სრული ნონსენსი და სრული სიბრყველა, თუმცა სიბრყველე უმანეთ და თანამედროვე ქართული სახელმწიფოც და ქართული პოლიტიკაც, მისდა უნებურად, სწორედ ამ სიბრყველის განმტკიცებას და ერთადერთ ჭეშმარიტებად დამკვიდრებას ემსახურება, როცა, „დიპლომა-

ულ მონაწილეს ხელთ ეკავება ტრანსპარანტი წარწერით: — მე აფხაზი ვარ!

სანამ ეს შეკრება გამართულა, მე ახლავე მინდა ამ ისტორიულ შეკრებას ჩემი ხმა შევაშველო და ვუთხრა: — **მე, ქართველი მშვიდლი მამაკაცი, აფხაზი ვარ!**

სანამ აფხაზეთს არ დავიბრუნებთ, მინდა ყველა ქართველმა, სადაც არ უნდა იყოს იგი დაბადებული და სადაც არ უნდა ცხოვრობდეს დღეს, ხმამალა თქვას: — **მე აფხაზი ვარ!**


აფხაზებო, მთელი საქართველოდან, გაერთიანდით აფხაზეთის დასაბრუნებლად!



რად ფარისევლური და მზაკერული პროპაგანდა, რადგან ამ პროპაგანდის უკან საბჭოთა იმპერიის მძლავრი იდეოლოგიური მანქანა იდგა.

მოვიყვანთ მეორე ამონარიდს წერილიდან „ერის ვერისკაცია — პავლე ინგოროყვა“, რომელიც „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში დაიბეჭდა.

აკაპი დვალისკვილი იგონებს: „ერთ დღეს გაისმა მთავრობის ტელეფონის ზარის ხმა — ეს გახლდათ ბეჭდვითი სიტყვისა და პოლიგრაფიის მთავარი სამმართველოს უფროსი, ბატონი ბორის ნანიტაშვილი, რომელმაც საიდუმლოდ მამცნო არასასიამოვნო ამბავი: ზემდგომი ორგანოების მითითებით, პავლე ინგოროყვას თხზულებათა მეორე ტომის ბეჭდვა შეჩერებულია და არსე-



კავლე ინგოროყვა: „ჩვენს ქვეყანას — საქართველოს განათლებული, ეროვნული თვალთახედვით მოაზროვნე ხელმძღვანელობა რომ ჰყავდეს, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს ღრმა შეფასება სჭირდება და ამას არსებითი მნიშვნელობა ექნება საქართველოს უახლოესი მომავლისათვის! ...და ის, რაც დღეს ხდება და უახლოეს მომავალში გველოდება, საქართველოში შეიძლება ფატალურად დასრულდეს.“



„სამშობლოებისჯილავი“, ანუ პოლიტიკით, გამოვასხადოთ ერთიანი მორაპორიუმი ნაზოზაჲს, ევროკავშირზაჲს, რუსეთზაჲს და ამ ერთ თვეს მხოლოდ საქართველოზე ვილაპარაკოთ!

„საერთო გაზეთის“ სტუმარი მწერალი, ეთნოკულტურათა მკვლევარი, ბატონი კობა არაბული.

– ბატონო კობა, „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ თქვენს წერილს „პიჩკოკის ჩიტები, ბელურების გადაფრენა და შეღებილი ჯორები, ანუ ღია წერილი ამერიკის ელჩს რიჩარდ ნორლანდს, უცხოეთის ყველა ელჩისა და კონსულის გასაგონად“ დიდი რეზონანსი მოჰყვა. რაიმე კონკრეტულმა ფაქტორმა ხომ არ განაპირობა ამ მიმართულებების დაწერა და რატომ მიმართეთ საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს?

– ამ წერილის პათოსი და განწყობა არ გაჩენილა გუშინ ან გუშინწინ. ის გროვდება დიდი ხანია, რადგან გლობალური ცვლილებების ფონზე ერზე ზნეობრივი ძალადობის პროცესი მიდის, ამას თან ერთვის ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობა და ეს თანდათან გამოკვეთილ სახეს იძენს. სამწუხაროდ, მეჩვენება, რომ ევროპა-ამერიკიდან დაცვის ნაცვლად ძალადობა მოედინება.

ერმა და ქვეყანამ თვითონ დაკარგა დამცავი აურა, დაკარგა სიბრძნე, მითოსური, ფოლკლორული სიბრძნის ჯგავსანი გაერღვა და ერი გაძარცვული დარჩა.

ფოლკლორში არის მსგავსი მაგალითები. როდესაც ადამიანი, კუთხე (თემი), სიბრძნეს კარგავს, იგი თავის მიერ გახვედრილ ფქვილის ტომარას – თიკრუნს ემსგავსება, რომელიც თანდათან იცლება...

შენი ერის გადარჩენის საიდუმლოებას, ერის კულტურული არსებობის საიდუმლოს თუ არ უფრთხილდები, დამარცხება გარდაუვალია. რადგან მტარი სულ ცდილობს შენივე საიდუმლო ცოდნით დაგიმორჩილოს და დაგამარცხოს.

ჩვენ დღეს ყველასთვის სრულად გახსნილი ვართ და ძირგამორღვეული თიკრუნით ვკარგავთ ერის მიერ უძველესი დროიდან მოპოვებულ სიბრძნეს და საიდუმლოებებს და გაედინება ჩვენი ერის გენეტიკური კოდის საიდუმლოებანი, რომელიც მტრის მიერ ამოიხსნა და ახლა ამ საიდუმლო კოდის გარეშე თითქმის შეუძლებელია ჩვენი სამშობლოს დაცვა.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქართველოში დღეს აღარ არიან საკუთარი სამშობლოდან მოსული ადამიანები. საკუთარი სამშობლოდან მოსული ქართვე-

ლები. თქვენ როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებაში ბევრნი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთი სამშობლოდან – საქართველოდან არიან მოსული?!

არის საბედისწერო შემთხვევა: როდესაც სამშობლოში „ქართველი სხვა“ ბრუნდება, ან მოდის „ვინმე სხვა“, უცხო, ქართველის ნიღბით „საფარველადღებული“.

მმართველ წრეებში მომრავლდნენ დღეს ლიბერალტები, ფსევდოდემოკრატები, უსამშობლო ხალხი, ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლები, ე. წ. პედერასტები, ლესბოსელები, კოსმოპოლიტები. ისეთი კოსმოპოლიტები კი არა, ვაჟა-ფშაველა რომ წერდა თავის წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, არამედ ისეთები, რომლებიც თავიანთი ცნობიერებით მოსულნი არიან

ბელურების გადაფრენა და შეღებილი ჯორები“ გამოქვეყნების შემდეგ იმიტომაც ატყდა ხმაური და აჟიოტაჟი. ჩემს მიზნულ ტელეფონზეც უამრავი ზარი იყო რამდენიმე დღე. თითქმის ყველა პუბლიკაც გამოვიკითხე, მართალია ბიოგრაფია, მართალია ბიოგრაფია, მართალია ბიოგრაფია...

– ბატონო კობა, თქვენს წერილს იმიტომ ჰქონდა ასეთი რეზონანსი, რომ, როგორც ეტყობა, ხალხიც იგივეს ფიქრობს?

– დიახ. ასე ჩანს, რომ ხალხში არის შიში, დაუცველობის შეგრძობა.

რუსეთის განაწვევება, მის წინააღმდეგ ომში ჩათრევა ჩვენი

სამშობლო არის „წინაპართა ქვეყანა“ – დასაბამიდან დღემდე: მიწის ის მონაკვეთი, სადაც ჩვენმა წინაპრებმა იცხოვრეს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და სადაც მომავალმა თაობებმა უნდა იცხოვრონ. სულ მცირე, 20 000 თაობა გადასული ამ მიწიდან და კიდევ რამდენი – მოსასვლელი, ვინ იცის...

ერთი ფხოველი მისტიკოსის, ქადაგის თქმით, თაობათა ჯაჭვი დგას რიგში, რომლებიც უნდა შემოვიდნენ მომავალი დროიდან ჩვენს დროში, ანუ წუთი-სოფელში და სიცოცხლის გზა გაიარონ საკუთარ სამშობლოში...

თუ საკუთარ სამშობლოში „საკუთარი სამშობლო“ არ ხარ მოსული, მერავეს ბაბაპირობა, მერავესი შენს ერს, შენს ქვეყანას...



იქიდან, საიდანაც ეს უზნეობანი შეითვისეს და შეისწავლეს. არც ერთ მათგანს საკუთარი სამშობლო არ გააჩნია და არაფრად უღირთ. მათი სამშობლო ყველგანაა, ისეთი დემოკრატიული ასპირაციული ცნებაა, სადაც სოლომის და გომორის ცოდვის დაუბრკოლებლად ეზიარებიან.

ხელისუფლება კაციკამია ნაცებს ჩვენს თავს შეაჭმეინებს ისე აუშვა ეს ურჩხულები, ცერბერის ძაღლები...

მაგრამ ხალხი არ შეაჭმეინებს მათ თავს! – ეს იქნება „მრისხანე აჯანყება“ მათი მფარველების მიმართ ერთდროულად...

ჩვენ ამ დღიდანვე უნდა შევქმნათ ნაცების დაძლევისა და განდევნის ფრონტი!

ამივე დღეები უდავს დღეს ჩვენს ქვეყანას. მტარი გუბილით და ცნობიერებით ქართველია და ჩემი სტატიის „პიჩკოკის ჩიტები,

ქვეყნისთვის კატასტროფული შედეგის მომტანი იქნება და როცა თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანი ნატოს მოუწოდებდა დაეღვათ საქართველოში თავდაცვის სისტემები, რადარები, შეექმნათ უცხო ქვეყნის ჯარების საწვრთნელი ბაზები, ეს საზოგადოებაში პირდაპირ იყო აღქმული, როგორც მორღვეული კედელი – თავდაცვის სამინისტროს ინიციატივებისგან გაჩენილი...

ზემთ სამშობლოზე ვსაუბრობოდი. სამშობლოს განცდას აქვს ფორმულა, რომელიც იქმნება წასულთა, აქ მყოფთა და მომსვლელთა ერთიანობით და მთლიანობით და განისაზღვრება ერისთვის ღმერთის მიერ ნაბოძებ მიწაზე...

– გასაკვირია, მაგრამ სამშობლოს ცნებაზე თითქოს ტრანსფორმაცია განიცადა. რა არის სამშობლო, ბატონო კობა?

– მე მინდა აქ ერთი სენტენცია ჩამოვყავილიყო, რომელიც ერთ ჩემს ესეიშიც გამოვხატე:

დიდი ბრძოლები გავიარეთ და ახლაც ბრძოლაში ვართ იმ უსამშობლო ადამიანებთან, რომლებიც საკუთარი სამშობლოდან მოსულებს ებრძვიან. უსამშობლონი, საუბედუროდ, როგორღაც და რატომღაც, თანდათან მრავლდებიან ჭიფეყავებივით და ყველგან იბერთყენ „ტილიან ილიებს“.

ერთი რამ უნდა გითხრა, სამყარო იცვლება, გლობალური კოსმოსური კატასტროფები იწყება, ადამიანთა ფსიქოლოგია ვერ უძლებს სამყაროსულ კატაკლიზმებს, ადამიანი სამყაროს სულ მცირე ნაწილია – ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

ფოლკლორი ამბობს: „ჩიტი ჩამოსტიროდაო ჩიკრიკისა მთაზედაო, ვაი, ჩემთა ბუღეთაო, შუა ზამთრობისათაო!“

ეს „შუა ზამთრობის“ ჟამი დგება...

– „შუა ზამთრობის“ ჟამი რას ნიშნავს?

– მითოსურმა მენსიერებამ

იცის დრო, უთოვლობის ჟამი, როცა ხალხმა თოვლი არ იცოდა, რა იყო. როცა თოვლი მოვიდა, ფქვილი ეგონათ და წაივინდნენ ასაკრეფად... არ მინდა აქ სიტყვის გაგრძელება უცნაურ „პოემონებზე“, რომლებიც გაუგონარ დეფორმაციას და მეტამორფოზას განიცდიან ქამელეონის ტიპის ხელიკებივით – და სრულიად უცნობ დროში შევყავართ...

ხედავთ, რა ხდება?! პოლიტიკური პარტიები, ყველა ადამიანი ცალ-ცალკე ყაყანებს, ვინ გადააჭარბა, ვინ რა ჩაივინდა... მე თუ მკითხავთ, ალასანიას არა მხოლოდ გასაკიცხი იყო, არამედ იყო დასაჭერი ... სწორედ მისი ქცევა იყო საზიანო ქვეყნისთვის. პეტრი-აშვილი და ფანჯიკიძე არიან ნიშნები იმისა, როგორი არ უნდა იყოს მინისტრი, რომელიც ქვეყნის ინტერესს გამოხატავს...

მსგავს თანამდებობებზე ბრძენი, მისტიკოსი ადამიანი უნდა ინიშნებოდეს. ისინი უნდა „აიძულებდნენ“ იგივე ევროპას და ამერიკას, მოუსმინონ, დაუჯერონ... ვინ მოუსმენს დღეს იგივე ბერუჩაშვილს უცხოეთში – ბაილენი თუ ლავროვი?!

სამწუხაროდ, დღეს მაგანთ ყველაფერი აინტერესებთ საკუთარი ხალხის და სამშობლოს მოვლის გარდა: პირადი ამბიციები, კარიერა, ფული... „შიშლიმის-ჯილთა“ ქვეყანაში ეს სნობები ისე ცხოვრობენ, როგორც სამოთხეში და ყველაფერს „ხედავენ“ საკუთარი სამშობლოს და ხალხის ბედისწერის გარდა.

უმაღლესი კასტა ჩამოყალიბდა ჩვენში და ქვეყნის ბედისწერად თითქოს ქვეყნის, ღირსების დაუფასებლობა იქცა...

გასულ საუკუნეში ერის მამა ილია ჭავჭავაძე მოკვალათ და მას შემდეგ სულ კვლავ ქვეყნის ღირსულ მამულიშვილებს. როგორ მოვექცეთ ზვიად გამსახურდიას? მერაბ კოსტავას, ზურაბ ჭავჭავაძეს, აკაკი ბაქრაძეს, გურამ შარაძეს... საქართველოზე მოფიქრებული ხალხი „მოვიმოერთ“... ან მოვწამლეთ, ან გული გავუხეთქეთ...

როგორ ვექცევით ახლა ივანიშვილსა და ლარიბაშვილს? – პირდაპირ უტიფრობის და უზნეობის ზეიმია: ქართველი საქართველდნენ, ანუ პატრიოტი საკუთარი სამშობლოდან. სწორედ ამას ვერ პატიობენ ჩვენს პრემიერს ოკეანისგადმელი ქორები და მათი დასმული „ყვავის წიწილები“...

– წელანაც თქვით, მაგრამ კვლავ მიუბრუნდნენ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების თემას.

– დიახ. ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მწვერვალებზე დღეს სატანის რკალია შემოვლებული. რაკაში ყველაზე მაღალ მწვერვალ-

ვაგრძელებთ საუბარს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორთან, ბატონ ზურაბ რატიანთან.

— ბატონო ზურაბ, როგორ ახასიათებს პირველი აფხაზი ისტორიკოსი დიმიტრი გულია აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებს უძველესი დროიდან?

— რახან თქვენ დიდი აფხაზი მეცნიერი ახსენეთ, მინდა გითხრათ, წელს დიმიტრი გულიას დაბადებიდან 140 წელი შესრულდა. ის გახლდათ პირველი აფხაზი პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი და პირველი აფხაზი ისტორიკოსი. მან 1925 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოსცა წიგნი „Енѣи дѣѣ Ааѣѣѣ“ და იქ იყო მოსაზრებები აფხაზეთის შესახებ უძველესი დროიდან მე-10 საუკუნის ჩათვლით. ამ წიგნში ის წერდა: აფხაზები ქართველები და კავკასიელები კი არა, ეთიოპიელები ვართ და აფრიკიდან ვართ ჩამოსული.

რეცენზია ამ წიგნზე დაუწერა თვით დიდმა ივანე ჯავახიშვილმა.

— რატომ დაუწერა, ბატონო ზურაბ, დიდა მეცნიერმა რეცენზია ასეთ აბსურდზე?

— ივანე გონებაბაზვილურად მოიქცა და ამით ჩაქოლა გულია სამეცნიერო წრეებში. მერე 1950 წელს როცა სტალინმა ნიკო მარი გაკიცხა მისი ე. წ. ახალი თეორიის გამო, იმ ხანებში, დიმიტრი გულიამ უარყო აფხაზეთის ეთიოპიური წარმოშობის შესახებ ყოველდღე უსაფუძვლო და სამარცხვინო თეორია და 1951 წელს სოხუმში გამოსცა წიგნი სათაურით „И и ѣѣ ѣѣѣ“ „Енѣи дѣѣ Ааѣѣѣ“. აი, ნახეთ, რას წერს დიმიტრი გულია: „აფხაზები ყოველთვის ცხოვრობდნენ ისტორიულ და კულტურულ ცხოვრებით ქართულ-აფხაზეთში“; „აფხაზები არსებითად, იგივე ქართველები არიან“. და ა.შ.

— რას წერდა უფრო კონკრეტულად დიმიტრი გულია თავის ახალ ნაშრომში „ჩემი წიგნის „აფხაზეთის ისტორიის შესახებ“? აღიარებდა, რომ შეცდომა დაუშვა?

— ცხადია, აღიარებდა. იგი წერდა: „თუ თავის გასამართლებლად არა, ისტორიული სიმართლისთვის მაინც უნდა ვთქვა, რომ აფხაზეთის ეთნოგენეზისა და სხვა საკითხების შესწავლაში, ჩვენ, კონკრეტულად კი მე, ვერ გავუქეცი ნ. მარის ანტიმარქსისტული კონცეფციის გავლენას, რომლის საერთოლინგვისტური თეორიის აბსურდულობა მხოლოდ ი. სტალინის გენიალური ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ გახდა შესაძლებელი“.

— აფხაზური ტომების ძველ ქართულ ტომებთან ურთიერთობის შესახებაც წერს?

— დიახ, მე ზუსტ ციტატებს მოგახსენებთ მისი წიგნიდან:

„ჩრდილოეთ კოლხეთში ზანები და ლაზები ბინადრობდნენ (რიონსა და ენგურზე), მათ ჩრდილოეთით აფსილები, ხოლო უფრო ჩრდილოეთით აბაზგები (აფხაზები) და სანიგები ცხოვრობდნენ. ყველა ტომს თავისი მმართველი (თავადი) ჰყავდა. ჩვენი ე. წ. IV ს-ში ეს ტომები შედიან ლაზეთის სამეფოში, რომელმაც კოლხეთი შეცვალა. VI ს-დან დაწყებული, აბაზგები (აფხაზები) გამოეყვნენ ლაზეთის



... абхазы жили всегда одной исторической и культурной жизнью с грузинами ...

... абхазы, собственно, те же грузины.

აფხაზეთისა და აფხაზების როლი განსაკუთრებულია. აფხაზეთში სხვა ქართულ სათავადოებთან ერთად უძველესი სამართავი მონარქია, მართა პერიოდში კი მის სათავეშიც არის („აფხაზეთის სამეფო“), მილიანად და განუყოფლად უძველესი მართა და სამართავი მონარქია.

მე საგანგებოდ შევისწავლე გულიას ეს ნაშრომი, რადგან ვიცოდი, იყო იმ ხანებში მითქმა-მოთქმა — სტალინმა და ბერიამ ძალ-

ახლა შემოგთავაზებთ აფხაზეთის სახელოვანი წარმომადგენლის გიორგი შარვაშიძის ხელნაწერს და თვითონ მიხვდებით, ნამდვილი აფხაზები როგორ უყურებდნენ საქართველოს, როგორც თავიანთ სამშობლოს. ეს გახლავთ წარწერა-მიმართვა გამოცემისადმი ქართულად გამოსულ აფხაზური ეპოსისა და ლირიკის წიგნზე:


„ბატონო რედაქტორო, მადლობას შემოგწირავთ ხსენებისთვის და დიდს სიამოვნებით უღებთ თქვენს მოწოდებას. ამ უამარვარებში ამ რვეულს, რომელიც ვერ გამოცემული არ არის, მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარია საშინაოდ დასტამბული

ამ ქართულ წერილში რომ ვკითხულობთ:

„მე ვრაცხ ჩემს თავს ვალდებულად, ვემსახურო, შეძლებისა გვარად, სამშობლო მწერლობას“, ამის გარკვევას დიდი კვლევა-ძიება არ სჭირდება, რომ აქ ქართულ მწერლობაზე ლაპარაკი და ამის დამწერი ქართველი კაცია!

რაც შეეხება გულიას მონანიებას, იგი 1951 წელს სოხუმში ერთდროულად დაიბეჭდა სამ ენაზე: ქართულად, აფსუურად და რუსულად. სტალინის მოკვლის შემდეგ, როგორც ჯავახიშვილ-ჯანაშია-ბერიძის მიხედვით გენიალური „საქართველოს ისტორია“, ასევე, გულიას მონანიებაც აკრძალა ხრუმჩოვმა. საზგასმით აღვნიშნავ, რომ გულიას ეს მონანიება არის ერთგ-

ვერსია აფხაზეთა ნარკოპოზის შესახებ, ანუ რას ნანობდა დიმიტრი გულია?!



Титульный лист сухумского издания сочинений Георги Шарвашидзе.

Автограф Георги Шарвашидзе.

ვარი კონსპექტი ჯავახიშვილ-ჯანაშია-ბერიძის მიხედვით ისტორიისა.

დიდად სამწახაროდ და ქართული მარის საუბედროდ, ხრუმჩოვის აკრძალული ეს წიგნები დღესაც იკრძალვება ე. წ. დამოუკიდებელ სამართავლოში.

— თქვენს ხელთ როგორ აღმოჩნდა ეს ნაშრომი?

— გულიას მონანიების რუსული ტექსტი პროკოპი რატიანის არქივში აღმოჩნდა. პროკოპი რატიანი აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ. ეს ტექსტი ორჯერ გამოეცემა თბილისში რუსულ ენაზე, ითარგმნა ქართულადაც, მაგრამ არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

2009 წელს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქალბატონმა სალომე კაპანაძემ გულიას მონანიების ტექსტი ინგლისურ ენაზე გამოსცა. ამის გამო ქალბატონი სალომე მოხსნეს თანამდებობიდან და საერთოდ გააუქმეს მინისტრის პირველი მოადგილის პოსტი. დაბეჭდილი ტექსტი დიდი ხვეწნა-შუღარის

დატანებით დააწერიან გულიას ასეთი აბსურდული რამ აფხაზეთი ეთიოპიური წარმომავლობის შესახებო.

სტალინი მოკლეს 1953 წლის გაზაფხულზე. დიმიტრი გულია გარდაიცვალა 1960 წლის აპრილში. ბუნებრივია, ვიფიქრო: მალაქანებთან დააწერიან გულიას ასეთი აბსურდული რამ აფხაზეთი ეთიოპიური წარმომავლობის შესახებო.

და ვერ კორექტურაც აკლია. თუ მოიწონებთ და დაიბეჭდება თქვენს უფროსში, მაშინ მეორე ნაწილსაც მოვთავაზებ შემდეგში — სხვა კიდევ მოეუყრი თავს და გაახლებთ.

რაცა შეეხება შრომის პონორარს, მე ვრაცხ ჩემს თავს ვალდებულად ვემსახურო, შეძლებისა

სიამართლე აფხაზეთა შესახებ

შინ, როცა ნიკიტა ხრუმჩოვის მიერ ქართველის ხსენება თითქმის აკრძალული იყო და მას გადაწყვეტილი ჰქონდა მთელი ქართველი ერის სამშობლოდან აყრა და ციმბირში გადასახლება, არ იტყოდა მაშინვე გულია — ყველაფერი სტალინმა და ბერიამ დამაწერიანესო?! გულიამ ხომ სტალინის შემდეგ მთელი შვიდი წელიწადი იცოცხლა?!

გვარად, სამშობლო მწერლობას, ვინაიდან მატერიალური შემწეობა არ მესაჭიროება.

გშთები თქვენდამი დრმა პატივისცემითა —

გიორგი შარვაშიძე
სენაკი,
7 ივნისი, 1915 წ.

შემდეგ ძლივს გამოგვიღე ხელიდან აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც მას განადგურებას უპირებდნენ. რამდენიმე ასეული ეგზემპლარი ახლაც სახლში მაქვს, ნაცვლად იმისა, რომ ინგლისურენოვან მკითხველს გაეცნო ისტორიული სიმართლე.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი



აღაძიანი საქართველოდან გულის სხეიდან

ცნობილი დინასტიის გამგრძელებელია. როცა ურუნალისტი პროფესიის არჩევანზე შეკითხვას უსვამენ, ერთგვარი ირონიით ამბობს ხოლმე: „ჩემს წინაპრებს, ალბათ, ფანტაზია არ ჰყოფნიდათ, რადგან თვალმისაწვდომ წარსულში ისინი ან მედიკოსები იყვნენ ან ღვთისმსახურები, ან ფილოსოფოსები. პროფესიის არჩევა არ გამჭირვებია, რადგან სხვა განსაკუთრებული ნიჭი – სიმღერის, ცეკვის ან წერის არ მქონია. ამიტომაც გადავწყვიტე წინაპრების კვლას დაგვლოცო და ვფიქრობ, არც შეემცდარვარ...“

მოსკოვში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე ბედნიერია, რომ ეს არჩევანი გააკეთა, ცხოვრება მედიცინას მიუძღვნა. კმაყოფილია, რომ დღესაც ამ საქმეს ემსახურება და იმედს აქვს, რომ მაღლიერი პაციენტებიც უამრავი ჰყავს.

დავით იოსელიანი იყო ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა), ვინც რუსეთში საფუძველი ჩაუყარა მედიცინის იმ მიმართულებას, რომელსაც რენტგენოლოგიასკულარული დიაგნოსტიკა და ქირურგია ჰქვია. ფიქრობს, რომ XXI საუკუნეში სწორედ მედიცინის ამ მიმართულების სწრაფ აღმავლობას მოიტანს. ოპერაციები ისე კეთდება, გულს არ ეხებიათ, არც არაფერი იჭრება და არც რამის ამოკვეთა ხდება, რომ აღარფერი ვთქვათ გულმკერდის გახსნაზე. კანისა და სისხლძარღვის მცირე ნაწილებით შეჰყავთ კათეტერი, სტენტები, ბალონები, გამტარები...

„ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს ლექციებზე ვეუბნები ხოლმე, რომ ეს შემოქმედებითი პროცესია, ხელოვნება – ძალზე მნიშვნელოვანია, როგორ შეუხამებ ერთმანეთს, ვთქვათ, რამდენიმე სტენტს და როგორ შეეწყობიან ისინი ერთმანეთს. შემოქმედებითი პროცესია, რომლის დროსაც უნდა დაიცვა ის ჩარჩოები, რომლებიც ბევრი ათწლეულის განმავლობაში დააწესეს, შექმნეს, ჩამოაყალიბეს შენმა კოლეგებმა, წინამორბედებმა“, – ამბობს ბატონი დავითი.

წინამორბედებს შორის მისი წინაპრებიც იგულისხმებიათ. პაპა – დიდი დავით იოსელიანი, დამარსებელია ქართული ქირურგიული სკოლისა, რომელმაც მსოფლიო სახელის ქირურგები გამოზარდა: ვ. ბურაკოვსკი, ი. პეტროსიანი, მ. სრესელი და თავად უმცროსი დავით იოსელიანის მამაც – პროფესორი გიორგი იოსელიანი, მეცნიე-

რი მედიკოსი და თავისი სახელგანთქმული ვაჟივით რუსეთის (რასაკვირველია – საქართველოს) მედიცინის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

დღეა მიკრობიოლოგი იყო, ისიც ექიმთა დინასტიიდან – მისი მამა, ივანე კონიაშვილი – იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი, სახელგანთქმული თერაპევტი, საქართველოში კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ფუძემდებელი. საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მისი სახელისაა.

თბილისის ძველ უბანში დაიბადა და გაიზარდა. მის ოჯახში იკრიბებოდნენ მამისა და პაპის მეგობრები – ძირითადად მაინც სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლები. დავით იოსელიანი იმავე პრინციპებით ცხოვრობს, რომლებსაც თავისი წინაპრების ცხოვრება ეფუძნებოდა. მისთვის გამირობის მაგალითია ის, რაც დიღმა დავით იოსელიანმა 1956 წლის 9 მარტის მოვლენების დროს ჩაიდინა:



ოპერაციისა

„კარგად მახსოვს ის ამბები, არც ისე პატარა ვიყავი – 13 წლისა. ბაბუაჩემი ავტოგრაფში მოყვა, ორივე ფეხი მოიტეხა და შინ იწვა, როცა დაურეკეს და უთხრეს – იმ კლინიკაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა, ბევრი დაჭრილი მიჰყავდათ... მაშინ დიდი ამბები ხდებოდა, ახალგაზრდებს იჭერდნენ, ქალაქში მოძრაობა პარალიზებული იყო. ბაბუა ადგა და თათრის მოედნიდან კამოს ქუჩამდე ყავარჯენების დახმარებით, ფეხით მივიდა. წავიდა არა მხოლოდ იმისთვის, რომ როგორც პროფესიონალს, ექიმს დახმარება გაეწია – მას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა და უნდოდა ახალგაზრდებს დახმარებოდა, რომ არ დაეკავებინათ. ჩემთვის ეს არის გამირობის, მოქალაქეობრიობის ეტალონი. აი, ასეთი იყო ბაბუაჩემი, საერთოდ, ძალიან საინტერესო ადამიანი. ათწლეულების განმავლობაში სამედიცინო ინსტიტუტში ლექტორად მუშაობდა და, მიუხედავად ამისა, ყოველ დიღას ლექციებისთვის ემზადებოდა“, – ამბობს ბატონი დავითი ქართველი ურუნალისტიისთვის მიცემულ ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში.

ბავშვობაში გულის წყდებოდა და სწყინდა კიდევ, რომ უზრუნველყოფილი ოჯახის შვილს, მისი თანატოლებისგან განსხვავებით, არ ანებიერებდნენ, თუმცა ახლა, წლების გადასახედიდან ამას დადებითად აფასებს:



ავადმყოფის მონახულება

„მაღლობელი ვარ მათი, რადგან მასწავლეს ყველაფრის ყადრი და ფასი. ჩვენმა ახალგაზრდობამ არ იცის ეს და, სხვათა შორის, არც ჩემს დროს იცოდნენ. ქართველებს უყვართ შეილების განებერება. მე მაინც მგონია, რომ ეს მანცდამანც გამართლებული არ არის. ქართველები პოტენციურად ძლიერები და ნიჭიერები არიან. თუკი ხელსაყრელ სიტუაციაში ხვდებიან, საქმის კეთებას შეუძლიათ, და პირიქითაც შეიძლება მოხდეს. ქართველებს სწორად ვადარებ პლასტიკოსებს – რასაც გინდა, იმას გამოძერწავ. ამიტომაც ბევრი რამ გარშემომყოფებსა და გარემო პირობებზე დამოკიდებული...“

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის შემდეგ ლენინგრადში გააგრძელა სწავლა. თავიდანვე კარდიოლოგობა გადაწყვიტა და მუშაობა დაიწყო ბაკოვსკის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში, რომელსაც ვლადიმერ ბურაკოვსკი ხელმძღვანელობდა. სახელგანთქმული ექიმი და მეცნიერი წარმოშობით თბილისიდან იყო და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ახალგაზრდა თანამემამულეებს – ნიჭიერ მედიკოსებს გზის გაკაფვაში. დავით იოსელიანი ერთ-ერთი მათგანია.

„ჩემს ცხოვრებაში ძალიან ცოტა იყო ისეთი ადამიანი, ვისზეც შემძლია ვთქვა, რომ მათ ჩამომაყალიბეს როგორც პროფესიონალი, როგორც ექიმი, გნებავთ, როგორც ადამიანი. ვლადიმერ ბურაკოვსკი ერთ-ერთი მათგანია. დაბეჯითებით შემძლია ვთქვა, რომ მსგავსი ადამიანი იშვიათად შემხვედრია“, –

მაღლიერებით იხსენებს ბატონი დავითი თავის მასწავლებლებს, ვის გვერდითაც გაატარა პროფესიული დაოსტატების ნაყოფიერი თითქმის სამი ათწლეული. ამ კლინიკას „გულის სახლს“ უწოდებენ და იქ სამუშაოდ მისულები აღარ მიდიან იქიდან, უმაღლესის დონის სპეცია-

ლიტებად ყალიბდებიან. ამგვარი გარემოს შექმნას სწორედ ვლადიმერ ბურაკოვსკის უმაღლიან. დავით იოსელიანი სწორედ ამ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა გადაუღებელი კარდიოლოგის უმაღლესი კლასის ექიმ-კარდიოლოგად. თითქმის ოცი წელია, 1996 წლიდან მოყოლებული, მოსკოვის ინტერვენციული კარდიოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრის დირექტორი, ანუ მოსკოვის მთავარი კარდიოლოგია. უკვე საკმაოდ დიდი პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდა, როცა 80-იანი წლების ბოლოს, არცთუ „სასწავლო ასაკში“, დიდი ხნით ამერიკაში წავიდა და იქაურ ჰოსპიტალში დაიწყო მუშაობა.

„მეგონა, რომ ბევრი რამ შემქმნლო და ბევრი რამ ვიცოდი. სამწუხაროდ, მივხვდი, რომ ბევრი რამ არ შემძლებია და ბევრი რამ არ მცოდნია. იქიდან სულ სხვა ადამიანი დაგბრუნდა – პროფესიონალი. ჩვენ არ გვექონდა საკმარისი კონტაქტები, ყოველ ჯერზე ველოსიპედის გამოგონებას ვცდილობდით, ოღონდ ჩვენი ჩაკეტილობის გამო ამ ველოსიპედისთვის ოთხკუთხედ ბორბლებს ვივინებდით. ახლა სიტუაცია შეიცვალა და სიამაყით შემძლია ვთქვა, რომ ერთი ექიმიც არ მყავს, რომელსაც წელიწადში ორჯერ უცხოეთში, სტაჟირებაზე ან რაიმე კონგრესზე არ უწევდეს წასვლა“.

მოსკოვის მთავარი კარდიოლოგის სტატუსის გარდა, დავით იოსელიანმა 2011 წელს რუსეთის სამედიცინო უნივერსიტეტში, ექიმთა დახელოვნების ფაკულტეტზე შექმნა მედიცინაში ახალი მიმართულების – დიაგნოსტიკის რენტგენოლოგიასკულარული მეთოდების კათედრა, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობს.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები სიკვდილიანობის გამომწვევ მიზეზებს შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე სახელდება. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია მედიკოსთა

პროფესიონალიზმის დონის მუდმივად ამაღლება. მიოკარდის ინფარქტი ყოველთვის მოულოდნელია და ამიტომაც მეტი სმეტად ვერაფერია. დავით იოსელიანი ფიქრობს, რომ იმ პაციენტთაგან, რომლებსაც ინფარქტი ემართებათ, ოცი პროცენტის გადარჩენა შეუძლებელია, დანარჩენი კი თანამედროვე ტექნიკური სამედიცინო მოწყობილობებისა და რაც მთავარია, პროფესიონალი სპეციალისტების იმედად უნდა იყოს.

დავით იოსელიანი: „კატაკლიზმები, სტრესი, ომის საშინელებანი გულისთვის უკუჩვენებებია. სამსუხაროდ, ყველას გადარჩენა ვერ ხერხდება. სიკვდილიანობა არის და გულწრფელად ვამბობ — მე ჩემს ყოველ პაციენტთან ერთად ვკვდები. ნაწილობრივ ამას ვეგუბები. ვინც ჩემს კოლეგებს, რომლებიც ამას საკმაოდ მშვიდად ხელობენ. შესაძლოა, ისინი ხასიათით სხვანაირი არიან ან ცხოვრებაში სხირად ჰქონდათ წარუმატებლობები და უფრო მეტად შეეჩვივნენ ამას. მე ვერ შეეჩვიე და მაღლობა ღმერთს, რომ ასეა — თუ ამას ეჩვევი, ადაპტაციას ახდენ, სულ უფრო და უფრო მეტი შეცდომა მოგივა. როცა

ცესში ჩარევის უფლებას მათ არ აძლევენ, მხოლოდ აყვრებიან. აქ, მოსკოვში უფრო ხელსაყრელი გარემოა, რადგან ბევრს გააკეთებენ საკუთარი ხელით. იმედი მაქვს, დღეს თუ არა ხვალ, ეს აუცილებლად მოხდება და საქართველოს, ქართველ მედიკოსებს მეც საიმოვნებით დავხმარები. ამ მხრივ პერსპექტივას ვხედავ და მგონია, რომ ასეც იქნება — რაც უფრო ჩქარა, მით უკეთესი“, — როცა დავით იოსელიანი ასე იმედიანად შეჰყურებდა ქართულ-რუსული ურთიერთობების მომავალს, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი ჯერ კიდევ არ იყო მოხდარი... მას შემდეგ ჩავიხსენებ ამ მხრივ სასიკეთო ცვლილებები, სამწუხაროდ, არ მოუტანია.

იმ ქართველთა შვილები, რომლებიც სხვა ქვეყანაში დასახლდნენ და პროფესიონალებად იქვე ჩამოყალიბდნენ, უმეტესწილად, სრულ ადაპტაციას და, შეიძლება ითქვას, ასიმილაციას განიცდიან, კავშირს წვევებენ მშობლების სამშობლოსთან. ბატონი დავითისა და მისი მეუღლის გურანდა ხვედელიანის (ექიმთა დინასტიურ ოჯახში კიდევ ერთი ექიმი-გინეკოლოგი) შვილები

ატს კი არ აგროვებენ, უკან, მხოლოდ წარსულისკენ კი არ იხედებიან, არამედ თანამედროვეობას, ცოცხალ შემოქმედებით პროცესშიც მონაწილეობენ. დავით იოსელიანი, თავისი მასწავლებლის ვლადიმერ ბურაკოვსკის მსგავსად, მხოლოდ ნახატებს კი არ აგროვებს, მხატვრებთან მეგობრობს. ნახატების კოლექციონერობა ადრეული ახალგაზრდობიდანვე დაიწყო. 70-იან წლებში პირველად ნახა ისეთი მხატვრის ნამუშევრები, რომელმაც საშუალება მისცა, როგორც თავად ამბობს, „შეხებოდა მხატვრობის სტიქიას, ნიჭიერი, არაორდინარული შემოქმედის ხელოვნებას. ზვერევი იმ იშვიათ ხალხს მიეკუთვნება, რომლებმაც წარუშლელი კვალი დააჩინეს ჩემს სულს“.

ისეთი სერიოზული კოლექცია აქვს, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ზურაბ წერეთლის ხელოვნების გალერეაში სამი ექიმის — დავით იოსელიანის, მიხეილ ალშობაიასა და მარკ კურცერის კოლექციები გამოიფინა. ამ ექსპოზიციის მიზანი კოლექციებიდან საუკეთესო ნამუშევრების ჩვენება არ ყოფილა მხოლოდ. მთავარი იყო იმის აღნიშვნა, რა აკავშირებს ამ ორ ჰუმანურ პროფესიას — ექიმსა და მხატვარს. შემოქმედებითობა ხომ ასე აუცილებელია ყველა პროფესიაში და უპირველესად, მედიცინაში.

დავით იოსელიანი: „მედიკოსები ძირითადად სხეულს მკურნალობენ, ხელოვნება კი სულის მკურნალობს. თუმცა, ჩემი აზრით, კარგი ექიმი სხეულთან ერთად სულსაც კურნავს. მან აუცილებლად უნდა მოახდინოს გავლენა პაციენტზე, მისი სულის, მისი მენტალიტეტის დონეზე. უამისოდ სრულფასოვან შედეგს ვერ მივაღწევთ. შესაძლოა, უნებ ნათქვამად ჩანს, მაგრამ სულში უნდა ჩაუძვრეს პაციენტს და რაღაც ეტაპზე იმ მიმართულებით წაიყვანოს, რომელიც მის გამოჯანმრთელებას ხელს შეუწყობს. მხატვარი კი, სულის კურნებისას მთლიანად მოქმედებს ადამიანზე, მათ შორის ჯანმრთელობაზე. აი, ეს არის მხატვრობისა და მედიცინის სიახლოვის ერთ-ერთი მიზეზი და შესაბამისად, ჩემი კოლექციონერობისაც“.

მოსკოვში მოღვაწე „ქართველ ექიმთა დინასტიის“ წარმომადგენელთა სახელები საყოველთაოდ არის ცნობილი არა მარტო რუსეთში. დავით იოსელიანი ერთ-ერთი



დავით იოსელიანი

იცი, რომ შენს პაციენტთან ერთად შესაძლოა შენც რამე მოგივიდეს, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდები საქმეს“.

განწირულ პაციენტთა რიცხვის შესამცირებლად, აუცილებელია მსოფლიოს ცნობილი კლინიკების სპეციალისტთა ერთობლივი კონსულტაციები, გამოცდილების გაზიარება. ეს მეტად რთული საქმეა, მაგრამ ბატონი დავითი მაინც ასერხებს, მოიწვიოს არა უბრალოდ კარდიოქირურგები, არამედ მედიცინის ამ დარგის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები. ასეთი შეკრებების შემდეგ მთელი მსოფლიოს სპეციალისტებისთვის იღებენ ინფარქტის მკურნალობის სპეციალურ რეკომენდაციებს. ასეთი შეკრებები, კურსები ერთგვარი მასტერ-კლასები, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა კარდიოლოგებისა და კარდიოქირურგებისთვის.

აწუხებს, რომ პოლიტიკური მოვლენების გამო დაირღვა ტრადიცია, რომელიც ბურაკოვსკის მსგავსმა პროფესიონალებმა დაამკვიდრეს — არაერთმა ქართველმა ექიმმა გაიარა სტაჟირება მოსკოვის კლინიკებში და ბევრი მათგანი დღეს მსოფლიოში სახელგანთქმულ სპეციალისტად არის ცნობილი. მაგალითად, ლეო ბოკრია, მიხეილ ალშობაია... დავით იოსელიანიც ცდილობს, ამ ტრადიციას უერთგულოს, მაგრამ დღესდღეობით არსებული ხელისშემშლელი გარემოებები გააღულაზავ ბარიერებს ქმნის.

„ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ახლა იწყებენ სამედიცინო დარგში საქმიანობას, აუცილებელია სხვა ქვეყნების გამოცდილება. უცხოეთის ქვეყნებში აქტიურ პრო-

საქართველოს დიდი პატრიოტები არიან. შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, საქართველოში, თავიანთი სახელოვანი წინაპრების ფუძეზე თუნდაც რამდენიმე დღით არ ჩამოვიდნენ.

დღე და ღამე მუშაობს, ბევრს შრომობს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ახერხებს მეგობრებთანაც არ გაწყვიტოს ურთიერთობა, ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვროს და უერთგულოს თავის ერთ-ერთ გატა-



სამი დანახარბთან ერთად

ცებას — თანამედროვე რუსი მხატვრების ნამუშევართა კოლექციონერობას.

ფერწერული ნამუშევრების შეგროვება მედიკოსებს შორის იშვიათობა არ არის. უფრო მეტი — ეს ტრადიციაა კია: ბევრი სახელგანთქმული ექიმი აგროვებს და ავროპის ნახატებს. კოლექციონერთა პრიორიტეტი XIX საუკუნისა და XX საუკუნის შუა პერიოდის ნამუშევრებს ენიჭება, ანუ ანტიკვარი-

მათგანია. მართალია ამბობს, საბჭოთა ადამიანი ვარ, რადგან ცხოვრების ნახევარზე მეტი ასეთ ქვეყანაში გაავატარე, მაგრამ მისი ყველა მოცემულობა გვაძლევს საფუძველს ვთქვათ — პროფესიონალიზმით, მენტალიტეტით, აზროვნების მასშტაბით დასავლური ყაიდის და XXI საუკუნის ადამიანია... სადაც არ უნდა იყოს, ის ჩვენი თანამემამულეა.

მანია ჭავჭავაძე

„სამოგზაო მისიონერები“, ანუ მოდით, გამოვახსნათ ერთიანი მორატორიუმი ნატოზე, ევროკავშირზე, რუსეთზე და ამ ერთ თვეს მხოლოდ საქართველოზე ვილაპარაკოთ!

12 გვ.

ზე რუსი დგას, შატბილში, შიდა ქართლში, აფხაზეთში, ყველგან მტერი დგას და გვითვალთვალებს... ვინ ვართ დღეს ჩვენ? ჩვენს თავს თვითონ არ ვიცავთ და ევროკავშირში „ნაციონალურ“ იტა-ვენ, იგივე ალასანიამ, აპატრიაციის და ფანჯიკიამ მსოფლიოს რატომ არ მივაწოდებ „ნაციონალურ“ ბარბაროსულ, განდამური კადრები. ამიტომაც აცხადებთ მკვლევარს დამოკრატა-

ავცილებავლია მორატორიუმი გამოვაცხადოთ. ერთიანი მორატორიუმი რუსეთის, ევროკავშირის, ნატოს ხსენებაზე, იმ შემსწავლარ-არსების თაობაზე შევფიქროთ საუბარია.

პარლამენტმა, მთავრობამ და სახელმწიფო უწყებებამ მორატორიუმის ერთი თვის განმავლობაში მორატორიუმი მხოლოდ ქვეყნის ბაზრზე, ისტორიული სივრცის და კუთხეების გადარჩენაზე. ქვეყნის რეპროდუქციის ინფორმაციის და ბრანტების შეტანაზე.



ბად: არ არის ეს მავანთა მხრიდან ღალატის ტოლფასი?

გზავთარდინის საფრთხილად, მწირად უნდათ რომ აქციონ დღეს ისტორიული ერი და უტიფარი, უნიჭო კოსმოპოლიტების ვაკანალიაში ჩაახრჩონ.

— რა უნდა გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ, ბატონო კობა, რაიმე ხერხი ხომ არ იცით პრობლემებიდან თავი რომ დაღწიოს ქართველმა ერმა?

— ჩვენ ვერ გადავრჩებით, თუ ჩვენში არ გამოვანახებთ ძალა, რომელიც შეგვაქმნევინებს ეროვნული ხსნის (დაცვის) კონცეფციას, რომელიც გზის მასწავლებელი იქნება, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ ურთულეს ვითარებაში.

ჩვენ არ გვაქვს ქვეყნის საკრალური დაცვის მოდელი, ანუ ისეთი მოდელი, რომელიც ერს, ქვეყანას გადაარჩენს იარაღის ძალით, პარტიზანული აჯანყებით, სულიერი ბრძოლით ან სხვა რაიმე ხერხით.

როგორ გადავრჩებით? „ფაშალი“, ვერ გეტყვით, რომ ვინც... მაგრამ ვინდა ვითხრათ, რომ დღეს

საინფორმაციო პროექტების მომზადებაზე.

პარლამენტმა და მთავრობამ იმსჯელოს მხოლოდ ამ საკითხებზე.

მოდით, ერთი თვე, მხოლოდ ერთი თვე მივუძღვნათ საკუთარ სამშობლოს, ჩვენს ქვეყანას და მისი ბედისწერის განცდას.

როცა ვისაუბრებთ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაზე, ეს თავისთავად გულისხმობს საუბარს ჩვენს მომავალზე, ნატოსა და ევროკავშირზე, თუ რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე.

მხოლოდ ერთი თვე, ბატონებო, ერთი თვე, თუნდაც ექსპერიმენტის სახით ვიცხოვროთ საკუთარ სახლში... არ შეიძლება მუდმივად ერის ყოფნა-არყოფნის საბედისწერო პოლიგონზე ყოფნა. ეს სახიფათო ზღვარი და სახიფათო „თამაშია“, ნუ ვაცინებთ მტერს ჩვენს უმწეო მდგომარეობაზე, ნუ დავტოვებთ მითოლოგიურ დროში ჩვენი დაღუპვის ინფორმაციას, როგორც ერთ ხალხურ ლექსშია: „მაღლის მაღალსა მთაზედა კურდღელის სისხლი მდგარაო“...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

**გაბრიელა. დასაწყისი
იხ. წინა ნომერი**

„დარიალს რომ მიაღებო მალე მთის კალთებს/ იქ იწყება საამური ეს ჩემი მხარე...“ – საამური, არა, ისა!...

ეს საქმეა?
რომელმა ხელისუფლებამ რა სისულელე წამოიწყო, რა მნიშვნელობა აქვს, შენ თუ ჭკვიანი ხელისუფლება ხარ, შენ შეაჩერე!

„დარიალქვისი“ სულაც საბჭოთა პროექტი იყო, მაგრამ აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა, რომელიც სწორად და ქართულად აზროვნებდა, პროექტიდან თავდასაცავად გამოსავალი იპოვა, მისი ინიციატივით შეიქმნა ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალი და იმ შავ ღროში გადარჩა ხეობა!...

„დარიალქვისი“ გენერალური დირექტორი ბუნების დირექტორი არ არის, ამდენად, მის სიტყვას, რომ მშენებლობა კავშირში არ არის მომხდარ უბედურებასთან, ფასი არ აქვს მანამ, სანამ ბუნებას თავისი ენა აქვს. როგორც დავთქვით, 2015 წლის ბოლოს ჰიდროელექტროსადგური გაშვებული იქნება მაინცო – აგერ თქვენ, აგერ თერგი და მყინვარები თავისი ხეობები!...



**მდინარე თერგი
შემოდგომისა**

რისი მაქნისია ბუნების დაცვის სამინისტრო – ერთი საკითხია (შეცდომით და დარღვევით არ მიმდინარეობდა თურმე მშენებლობა და ადამიანების დაღუპვის განსაზღვრა წინადაწინ შეუძლებელი იყო) და მეორეა – იმის გამო, რომ სტიქიის დროს დაიღუპა ექვსი ადამიანი, რომლებიც მგზავრები კი არ იყვნენ, არამედ აღნიშნულ სამუშაოებზე მომუშავე მუშები, რატომ არ აღიძრა პროკურატურაში საქმე? საინტერესოა, ჰიდროლოგი-

მოზიაროთ საქართველო!

ხევის სიონი



ური ან გეოლოგიური კუთხით გარკვეულმა სამსახურებმა შეისწავლეს დარიალის ხეობა? – ეკვია (ფაქტია), რომ – არა! თერგის 90% მიწებში გაივლილი – „დარიალქვისი“ მშენებლობის წინააღმდეგი ექსპერტების თქმით, განსაზღვრული პარამეტრებით ამოქმედების შემ-

ვიყურები და ეს „სადაც“ ის მხარეა, საიდანაც უბედურება წამოვიდა – მინდოდა წარმომედგინა რას რა მოჰყვა, როგორ განვითარდა და მიაღწია კულმინაციას უბედურებამ.

ხუციშვილი: – ესენი რომ ამბობენ, ჩვენ არაფერ შუაში ვართო, აბა, ვინ არის? მყინვარები ერთი შეხედვითაა რომ დგანან, თორემ ცოცხლები არიან, სუნთქავენ, მოძრაობენ. რამდენიმე წლის წინ კარმადონის ხეობაში მსახიობები რომ მოიყოლა კოლკამ, ერთ პატარა ბიჭს მოჰყვა, ფილმს იღებდნენ და მცირე ნაშალი უნდოდათ, ვითომ მეწყერის წამოსვლა იწყებოდა...“

2002 წლის 20 სექტემბერს დატრიალდა უბედურება. სერგეი ბოდროვის (უმცროსი) გადამღები ჯგუფი იღებდა ფილმს „წმინდა“ და ასზე მეტი ადამიანი ცოცხლად ჩაიძვრა კარმადონის ხეობაში მყინვარ კოლკას მოწყვეტის გამო, მათგან 44 გადამღები და დამხმარე გადამღები ჯგუფის წევრები ვლადიკავკაზიდან. მყინვარის დაძვრის მიზეზად გადამღები ჯგუფის გარკვეული ქმედება სახელდებოდა, მაგრამ მეცნიერ-გლაციოლოგმა (მყინვარების შემსწავლელი) ლევ დენისოვმა კატეგორიულად გამოიტყვიანა ვერსია: – „ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება. რამდენიმე ტონიანი ბომბი რომ ესროლოთ მყინვარს, ადგილიდან ვერ დაძვრავთ (ძიების დროს ჩაატარეს კიდევ ექსპერიმენტი არგენტინელებმა და ჩილელებმა), ის ასხლტება როგორც პინგ-პონგის ბურთი კედლიდან. ას ბომბს ესვრით? – ასჯერ აისხლტეს! მყინვარს აქვს დრეკადობა...“

მისი მეცნიერული ხედვა გაამყარა ტურისტული ჯგუფის მიერ გადაღებულმა კადრებმა, რომლებიც ტრაგედიამდე ორი კვირით ადრე იყვნენ მყინვართან და მათ მიერ გადაღებულ კადრებში მკაფიოდ ჩანს, რომ არანაირი დაკიდებული ყინული არ იყო კოლკაზე აგვისტოს ბოლოს. აღსანიშნავია ის, რომ ექსპრემალ მოგზაურებს გამუდმებით ესმოდათ მყინვარის სიღრმე-დან მოგუდული ხმა, რომე-

ლიც მეტალურგიული საამქროს ხმის მსგავსი იყო. დენისოვი დარწმუნებით ამბობდა, რომ ეს იყო ვულკან ყაზბეგის ყელიდან გაზის ფლუიდების დინებები და იპოვა ამოსავალი, 200 მლნ ტონა ყინულის მასა კოლოსალური სიჩქარით (100 კმ/სთ) დაეშვა ხეობაში და ეს მოსალოდნელი იყო, რადგან უკვე აგვისტოში, გლაციოლოგების ერთი, მყინვარს პულსაცია ჰქონდა. სანამ „დარიალქვისი“ მშენებლობას წამოიწყებდნენ, დეველოპის პულსაციისთვის ვინმეს მიუვლია ყური? ვინმეს ვინმესთვის თუ უკითხავს, რა მთებია გარშემო, რა წარმოშობის, რა ხასიათის? – ფაქტია, რომ – არა!

„საცა არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან“ – გაეცალე თუ მამაცი ხარ, რადგან ყაზბეგი-ჯიმარას მასივის მყინვარები, რომლებსთვისაც დამახასიათებელია ყინულის ზვავები ისევ იქვე დგანან ამყად: დეველორაკი (1780, 1832, 2014წწ) და კოლკა (1902, 1903, 1970, 2002წწ) გადარეულები.

„დარიალქვისი“ დამპროექტებლებმა და მისი აშენების ამკვიტებლებმა არ იციან და არც აინტერესებთ, ჯოტად იმეორებენ, ერთ წელში მოგუგრებთ კისერს თერგსო, თორემ რაც მოხდა, ბევრჯერ მომხდარა და რაგინდ ღმერთს ვევედროთ მფარველობა, მაინც მოხდება სწორედ იმიტომ, რომ ასე მოითხოვს ბუნების დაუწერელი კანონი. XVIII-XIX საუკუნეებში მყინვარ დეველორაკის ყინულის ზვავები, რომლებიც თერგის ხეობაში გადმოდიოდნენ, კეტავდნენ თერგს და დროებით წყალსაცავებს წარმოქმნიდნენ. გარკვეული დროის შემდეგ წყალი გაანგრევა და ყინულის ჯებირს და ძალზე საშიშ გლოალიციურ ღვარცოფად ვრცელდებოდა თერგის ხეობაში. ყინულის ასეთი ზვავები იყო 1766, 1768, 1785, 1808, 1832, 1842, 1845, 2007 წლებში. ზვავის გადაკეტილი თერგი რომ 8 საათით დაგუბდა და შემ-

დეგ გაანგრია ყინულის ჯებირი, ქალაქი ვლადიკავკაზიცი კი დააზიანა, იგივე ითქმის კოლკაზე. კარმადონის ხეობაში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით საუბრობდა 12 წლის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ზურაბ ტაბაშიძე: – „ის საშინელება, რაც ჩრდილოეთ ოსეთში მოხდა, ადვილი შესაძლებელია საქართველოშიც განმეორდეს. ათიოდე წლის წინ (ე.ი 90-იან წლებში-ავტ) საქართველოს ტერიტორიაზე 10 000 მეწყერული ზონა იყო, ამჟამად ასეთი ადგილების რაოდენობამ 70 000-ს მიაღწია. ქართველი მეცნიერები ვამტკიცებთ, რომ თითქმის 7 მლნ ჰა და სამასზე მეტი დასახლებული პუნქტი ბუნების კატასტროფული მოვლენების მაღალი რისკის ქვეშ აღმოჩნდა. მყინვარი ყოველ წელიწადს შეიძლება რამდენიმე ასეული მეტრიდან რამდენიმე ათეულ კმ-მდე გაიზარდოს ან შემცირდეს. მყინვარი ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც მუდმივი დაკვირვება და კონტროლი სჭირდება რათა თავიდან ავიცილოთ ტრაგედია. არავის ვაშინებ, მაგრამ საფრთხე რეალურია და სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვს. კარმადონის ხეობაში მომხდარი ტრაგედია გამაფრთხილებელი სიგნალი უნდა იყოს საქართველოსთვის.“ – 12 წლის წინ არის ნათქვამი ეს სიტყვები, მაგრამ ვინ მოისმინა?!

დასაფრულები გამოუყვევით გზას...
ხევის სიონი
ლარსიდან რომ გამოვბრუნდით და გვიხევის სიონისკენ ავიდეთ, ბინდებოდა და ჟინვულაც დაიწყო, მაგრამ IX-X საუკუნეების ძეგლის უნახავად წამოსვლას არ ვაპირებდით. სოფელი სიონი უძველესი და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი დასახლება იყო ხევში, რადგან იგი კეტავდა ჩრდილოეთ გზას. მას საკუთარი მმართველი ჰყავდა, რომელსაც „ძეგლისდების“ მიხედვით, „სიონის ერისთავი“ ერქვა და საქართველოს სამეფო კარს ემორჩილებოდა. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ რუსეთი საქართველოს

(გაგრძელება იქნება)

ბატიკალაგული ხეობა



ბატიკალაგული ხეობა

**ინტერვიუ
გურამ
ამბროსიანი**

– ბატონო გურამ, ქართველი საზოგადოებისთვის დღეს კვლავაც აქტუალურია ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების თემა. თქვენ როგორ უყურებთ ამ ფაქტს?

– მოგეხსენებათ, მე კარგა ხანს საქართველოში არ ვიმყოფებოდი, მაგრამ მითხრეს, რომ ნატოში ინტეგრაციის საკითხზე რეფერენდუმი ჩატარებულა და ეს რეფერენდუმი არჩევნებისთვის „მიუბამთ“. არადა, ეს საკითხი ყოველგვარ არჩევნებზე უფრო მნიშვნელოვანია. ჩვენ კარგად უნდა დავფიქრდეთ, ისეთი არჩევანი არ გავაკეთოთ, რომ ძველი მეგობრები მტრად გადავიკიდოთ.

მე კი დღეს ვუყურებ ქართულ ტელევიზიებს და სამწუხარო რამეს ვხედავ. მიხეილ სააკაშვილმა სიგიჟე გადასდო თავის მომხრეებს, გოგონები რომ არიან: ჩიორა და ირმა ნადირაშვილი, ქალის სახე დაკარგული აქვთ. ესენი ხმას როგორ უნდა იღებდნენ, როცა ქუჩაში ხოცავდნენ ბიჭებს იმათი მმართველობის დროს, ვისაც ესენი დღემდე მხარს უჭერენ?!

– ზვიად გამსახურდიას ბევრი ძველი მომხრე და თანამებრძოლიც შეუერთდა თავის დროზე „ნაციონალისტებს“. ახლაც თავს იკლავს მიშას სიყვარულით, მაგალითად, დოდონა კიზირია.

– ტყუილია იმის თქმა, რომ ისინი ზვიადის მომხრეები იყვნენ. როგორ შეიძლება ერთდროულად გიყვარდეს ეშმაკი და ანგელოზი.

ქალბატონი დოდონა არ ყოფილა თავიდან ზვიადის მომხრე. ჩვენ რომ გვესროლა კიტოვანი ხარბაზანს, მაშინ ბეჭდავდა რა-



„ქარბები პართ თუ სუღები, სჯობს, ჩვენად დავრჩეთ!..“

შემიძლია ვთქვა, დოდონა კიზირიას საერთოდ უფლება არ აქვს ხმა ამოიღოს ქართველებსა და ქართველობაზე. რა იცის მაგან ეროვნული მოძრაობა რა არის?! ყოფილა ერთხელ მაინც ჩვენს მიტინგზე?

რამდენიმე ხნის წინ მე გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ორ გვერდზე წერილი მივწერე გოგი ოჩიაურს, რომელიც ამბობს, ეროვნულიც ვარ და სააკაშვილის მომხრეც. ვერ იქნები-მეთქი, მივწერე, ვერა-მეთქი. მიშა სხვაა და ზვიადი სხვა იყო-მეთქი.

იცით, რას დავაკვირდი? ჩე-

ფარისევლები არსებობენ და კულტურულობაზეც თავსა სდებენ, აბა, ეს არის საქმე? ყველამ უნდა იცოდეს, ვინ ვინ არის!

ახლა მომაგონდა და მინდა ყველას გაუზიარო ჩემი ალტაცება, რომელიც გამოიწვია დღე-ღამე ქართველმა ქალმა ესმა ონიანმა. სამშობლოდან რომ გამაძევებს, იმის წინ ვიცნობდი ესმას და მოწიწებით ვესალმებოდი კიდევ. მოწიწებას იწვევდა ის ღერსება, რომელსაც ასხივებდა იგი. საქართველოში რომ დავბრუნდი, ესმას დამ, ქალბატონმა ირინემ მაჩუქა ესმას დიდი ალბომი. წაგიკითხე მისი ლექსები, მისი კრიტიკული ნააზრევი და, უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის ქართულ კულტურას შეემატა მრავალმხრივი ნიჭიერი შემოქმედი, რომელსაც მოვიხსენიებ მხოლოდ ერთი ეპითეტით: „დღებულის“.

ასევე არ შემიძლია არ ვთქვა, რომ რამდენიმე თვის წინ ვნახე გენიალური ფილმი, ლიანა ელიავას „სინემა“. ეს ფილმი გადაღებულია ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ, ძალიან დიდი მოწონება ხვდა უცხოეთში, მაგრამ ვიღაცებმა დაუმაღეს ქართველ მაყურებელს. იმის გარდა, რომ საოცრად ლირიკული და გულში ჩამწვდომი ამბავია მოთხრობილი, ფილმი საკვანძო უამრავი საოცარი ცხოვრებისეული დეტალითა და ნიუანსებით და ორი შესანიშნავი პერსონაჟითაა შექმნილი.

– ბატონო გურამ, იმის გარდა, რომ ხართ პროზაიკოსი, შესანიშნავი მსახიობიც ბრძანდებით. რამდენ ფილმში გაქვთ მონაწილეობა მიღებული?

– ორმოცდაერთ ფილმში ვარ გადაღებული. უფრო სწორად, 41-ე ფილმში დამიძახეს ახლახან უკრაინელებმა, რომლებიც მხატვრულ ფილმს იღებენ ჯუნა დავითაშვილზე.

– ყველაზე მეტად თქვენი შესრულებული რომელი როლი გიყვართ?

– ყველაზე უფრო ჩემი მეგობრის გოდერძი ჩოხელის ფილმი „წერილი ნაძვებს“ მიყვარს. გულშიჩამწვდომი ფილმია ძალიან. კარგი მოგონებები მაკავშირებს ამ ფილმთან.

კიდევ მიყვარს „ნიელონის ნაძვის ხეში“ ჩემი როლი. ერთი სიტყვით, მე მომწონს ჩემი შესრულებული როლები, მაგრამ ჩემი მთავარი საქმე მაინც ზღაპრების წერაა. შემდეგ მსახიობობა და მერე ლექსების მწერლობა. მე კინორეჟისორი ვარ პროფესიით, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამ კუთხით რაიმე ნიჭი გამოვავლინე.

მაგრამ ახლა რაც ყველაზე მეტად მახარებს, ის არის, რომ

და დავემსგავსოთ, მაშინ მე უარს ვამბობ ჩრდილო ატლანტიკურ კურსზე“.

„ადამიანთა სეველში“ ვითამაშეთ ერთად. დაუვიწყარია ის დღეები. გურამი შესანიშნავად მღეროდა. არ ვიცი, რომელიმე ფილმში აქვს თუ არა ნამღერი, არადა, მისი ხმა აუცილებლად უნდა შემოგვეწინა.

ერთხელ გადაღების დროს გურამ ფირცხალავამ მკითხა: იცი, შენ, რას ნიშნავს სახელი გურამი? კი-მეთქი, არაბულად ლომს ნიშნავს-მეთქი. არაბულად კი არა, მეგრულად რას ნიშნავს, თუ იციო, გურამი მეგრულად გულიანს ნიშნავსო, ასეთი კარგი სახელი გვაქვსო.

გურამ პეტრიაშვილი:

გასულ კვირას საგურამოში მონაწილეობის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია საბავშვო ლიტერატურის დარგში.

ორიოდე კვირაში, ალბათ, გამოვა ლიტერატურული ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, სადაც დაიბეჭდება ჩემი კინომოთხრობა „ილია ჭავჭავაძის პირადი დაცვა“.

ახლა, კონკრეტულად ამ კინომოთხრობის შინაარსზე. მოგახსენებთ:

ილიას სიცოცხლეში ერთმა ადვოკატმა შეარგოვა ყველაფერი, რაც ილიაზე იწერებოდა და შემზარავი დასკვნა გამოიტანა – მზადდებოდა ილიას მკვლელობა. ამიტომ დაიწყო იმ ადამიანების ძებნა, რომლებიც ილია ჭავჭავაძის დაცვად დაუდგებოდნენ, ისე, რომ თვით ილიას არაფერი გაეგო...

სამწუხაროდ, ჩვენს ირგვლივ მხოლოდ სასიამოვნო რაღაცები არ ხდება. რამდენიმე დღის წინ დავასაფლავეთ გურამ ფირცხალავა. ასე ძალიან დიდი ხანია გული არ დამწყვეტია. გურამი იყო ქართული კინემატოგრაფიის მოტორი, ძრავა, მის ყოველ მიხრა-მოხრაში გრძნობდი ენერჯის, სიცოცხლეს.

კიდევ ის იყო ბრძენი ქართველი. სამუდამოდ დამახსოვდა მისი ნათქვამი:

„თუ ყველანი კონჩიტას უნ-

ამას წინათ ბიძინა ჩხეიძემ, ჩვენი საყვარელი კაცის რეზო ჩხეიძის ვაჟმა მითხრა, რუსეთში ექსპერიმენტი ჩაატარეს – ქუჩაში ხალხს ეკითხებოდნენ, რამდენი მილიონი იქნებოდა ქართველები? ვერავინ დაასახელა მიახლოებითი რიცხვი. ყველა გადაჭარბებით ასახელებდა რაოდენობასო. ზოგი ამბობდა: ქართველები 10 მლნ არიანო, ზოგი – 15, 20-იო, ერთმა თქვა 50 მლნ-იო. რატომ მოხდა ასე? იმიტომ რომ, იმდენად აქტიურია ჩვენი გენი, რომ მრავლად ვჩანვართ.

რაც შემეხება მე, მე ჩემზე ურად ვაკეთებ ჩემს გასაკეთებელს. რამდენიმე ხნის წინ მე და ჩემი მეგობარი ამირან დოლიძე წიგნების მალაზიაში შევედით. ჩემმა მეგობარმა იკითხა – სად არის გურამ პეტრიაშვილის წიგნები? ბესტსელერების თაროზე დევსო. გამიხარდა. 1970 წლიდან ვწერ ზღაპრებს. მხატვარი ნინო ჩაკვეტაძის ნაშუქებზე უკეთესი გახდა ჩემი ზღაპრები. ახლა მკითხველს მივანდობ მათ. მიუღიან ჩემი შემოქმედება ჩემს ხალხს ეკუთვნის. ისაა განმსჯელიც და განაჩენის გამომტანიც. მე მჯერა ჩემი ხალხისა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

დოდონა კიზირია



დაცებს ჩვენს საწინააღმდეგოდ. მერე ნელ-ნელა დაიწყო ჩვენთან შემოკედლება.

მე არასდროს მესიმპათიურებოდა ეს ქალბატონი, როგორც პიროვნება, რადგან მას, შეგნებული თუ შეუგნებელი, სინამდვილეში კი ძალიან დიდი შეცდომა მოუვიდა ქალბატონ ზინაიდა კვერენჩილაძის მძასთან, უსაყვარლეს გივი კვერენჩილაძესთან. დოდონა იყო გივის ცოლი და ჰყავდა მასთან ვაჟი. უღალატა გივის და გაჰყვა ვიღაც ამერიკელს. ბავშვიც ამერიკაში წაიყვანა. ცხოვრებაში ხდება ასეთი ამბებიც, მაგრამ ის კი არ უნდა ექნა, რომ გივის თხოვნაზე, ბავშვთან მალაპარაკეო, უარს ეუბნებოდა.

მო ირანდა, უნდა გითხრათ, რომ კი, ბევრი უბედურება მოხდა, მაგრამ ამ ამბებში ძალიან ბევრი კარგი ადამიანიც გამოჩნდა. ზვიადის დამხობიდან დაწყებული დღემდე, ამ საშინელ დროში აქა-იქ გაიკაფებენ ხოლმე სამშობლოს მოყვარული ადამიანები ვარსკვლავებივით.

ჰოდა, ახლა გეტყვით: ერთ ძალიან კარგ კაცს ვიცნობდი, თამაზ მეტრეველს, პიესებს წერდა ადრე. სიცოცხლის ბოლოს ლექსების წერა დაუწყია და 2500 ლექსი დაუწერია. შესანიშნავი ლექსები შეუქმნია. მისი პოეზიის კრებულის პრეზენტაციაზე ვარ მიწვეული. სამწუხაროდ, თვითონ ვერ მოესწრო. გული მომიკვდა ამაზე. კარგი ბიჭები იხოცებიან და



ქადრი ფილიძე „ნარილი ნაძვებს“

გასულ კვირას ბათუმიდან უცნობი გვეწვია, თავი გოგიტა მურცხვალაძედ გაგვაცნო და ალექსებულმა გვთხოვა, მისი მონათხრობი საქვეყნოდ გაგვესაჯაროებინა.

— ორიოდე კვირის წინ „საერთო გაზეთში“ დაიბეჭდა სტატია „ვინ ამოთხროს ვარლამ არაპიძეს?!“ და მოვიდა თქვენთან, რომ განვაცხადო — მე ამოვთხრო ვარლამ არაპიძეს, ანუ ელზარ შვიგინაძეს.

თუმცა ყველაფერს თავიდან მოვეყვებით. ჩემი შვილი ჯაბა მურცხვალაძე 1992 წელს დაიბადა და იგი პირობითად არის დაავადებული. მოგეხსენებათ, 90-იანი წლები როგორი მძიმე იყო საქართველოსთვის და მით უმეტეს, უბრალო მოქალაქისთვის, რომელსაც მცირეწლოვანი მძიმე დიაგნოზით შვილი საავადმყოფოდან საავადმყოფოში გადაჰყავს.

მე ვმოგობობდი გაზეთ „იბერია სპექტრის“ ჟურნალისტ ირინე კუკავასთან, რომელმაც მირჩია: მისწერე წერილი ნანული შვიგინაძეს და შესწივლე შენი მდგომარეობა. იქნებ დაგეხმაროს და ბავშვისთვის მორიგი ოპერაციის თანხა ჩაგირიცხოსო. დავწერეთ თბილისის წერილი ჩემი სამი წლის ჯაბას სურათით და ეს წერილი დაიბეჭდა გაზეთში.

რეაგირება მაშინვე მოხდა. ნანული შვიგინაძის გარემოცვას დაურეკავს ბათუმში ასლან აბაშიძის მეუღლის მაგული გოგიტიძისთვის. მამული გოგიტიძის ეს საქმე აჭარის მაშინდელი განათლების მინისტრისთვის ნანა გუგუნიანისთვის გადაუბარებია. ღმერთმა აცხონოს მაგული გოგიტიძე. მისი დახმარებით მე, ჩემი მეუღლე და ავადმყოფი ბავშვი ბათუმიდან სპეცრეისით თბილისში გადმოგვაფრინეს ნანული შვიგინაძის დავალბებით.

თბილისში ჩამოსულს იგივე გაზეთში, „იბერია სპექტრში“, სამადლობელი წერილი დამაწერინეს ნანული შვიგინაძისადმი, რომ მან მომიწვია ბათუმიდან თბილისში და აპირებდა ჩემს დახმარებას. სანამ გაზეთი გამოვიდოდა, ნანული შვიგინაძის გარემოცვის ქალბატონები აქტიურ ყურადღებას მაქცევდნენ, მაგრამ ჩემი სამადლობელი წერილი რომ დაიბეჭდა და საზოგადოებამ წაიკითხა, მას შემდეგ ეს ქალბატონები ისე შემომეფანტნენ, ვეღარსად ვეღარ ვპოულობდი. არადა, ჯაბასთვის ეს უკვე მესამე ოპერაცია იყო და ეს უნდა ყოფილიყო მოსამზადებელი ეტაპი შემდგომი მკურნალობისთვის.

მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ჩვენთან შეხვედრის დროს სათაზე იყურებოდა ხშირ-ხშირად, გერმანიიდან ნეიროქირურგი და ნევროპათოლოგი უნდა ჩამოვიდნენ ჯაბას ოპერაციისთვის და ნეტავი, რატომ აგვიანებდნენ. ახლა ვხვდები, ეს მაშინ მტკნარი ტყუილი იყო, თამაშობდნენ ჩემს წინაშე, თუმცა ჯორბენაძემ მერე მაინც ჩაიდინა კეთილი საქმე ჩემი შვილის მიმართ და არ მინდა სიკეთე დაუკარგო არც მას, არც არავის, ვისაც თუნდაც იოტი-სოლენა რამე აქვთ გაკეთებული ჩემი ბავშვის დასახმარებლად.

ნანული შვიგინაძის მეგობარი ქალბატონები მას მერე, რაც მაყვედრეს — აჭარიდან ქალბატონმა ნანულიმ მოვიწვიაო და გაზეთის გამოცემის შემდეგ უკვალოდ გაქრნენ, მეგობრებმა მირჩიეს — შვიგინაძის ქალიშვილი — მანანას შეხვდი, იქნებ მან მოუტანოს ამავე დედამის ან სულაც თვითონ აღმოგიჩინოს დახმარება. ქალბატონი მანანა შვიგინაძემ მა-

ტონი მანანა შვიგინაძემ მაშინ ერთ-ერთ ტელევიზიაში მუშაობდა.

ჩემი თაობის ხალხს კარგად ესსომება, მანანა შვიგინაძე, ეს „გაჭირვებული“ ოჯახის შვილი, მავთულით „ბუფერამოკრული“ ნაცრისფერი „ვოლგით“ რომ დადიოდა. იმ „ვოლგასთან“ ვდარჯობდი



ვი და მიუხედავად იმისა, უდიდესი საფრთხის წინაშე ვიმყოფებოდი შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, არ ვწყვეტილი აქტიურობას, ვმართავდი აქციებს და ვამხელდი საჯაროდ ნანული შვიგინაძეს, რომელმაც არა მხოლოდ მე მომატყუა, როცა ბათუმიდან მცირეწლოვანი, მძიმედ დაავადებული ბავშვი თბილისში ჩამომაყვანინა, არამედ მან მოატყუა მთელი საქართველო, „იბერია სპექტრის“ მკითხველები, როცა მისი გარემოცვის ქალბატონმა „ავანსად“ დამაწერინეს ნანული შვიგინაძის სამადლობელი წერილი.

გადიოდა წლები და ჩემი შვილის მდგომარეობა არ იცვლებოდა. მე შშობევი ვარ და ცხადია, კვლავ ვეძებდი გზებს ძვირადღირებული ოპერაციის დასაფინანსებლად.

გოგიტა მურცხვალაძე:

ვინ ამოთხროს ვარლამ არაპიძეს და მე ამოვთხრი!

ტელევიზიასთან. როგორც იყო, შევხვდი. გადავეცი გაზეთი და ვუთხარი: ამ ბავშვის მამა ვარ. აჭარიდან დედათქვენის იმედით ჩამოვედი და უწამლოდ, მშვიდ და მწყურვალად საავადმყოფო-სავადმყოფო დამყავს ინვალისტი ბავშვი. დამეხმარეთ, დედათქვენს უთხარი ჩემს შესახებ-მეთქი. პარასკევი იყო. დამპირდა: ორშაბათს მოდი აქ და პასუხს გაცნობებო. მივედი, შევხვდი მანანას.

დედამ თქვა: ოპერაციისთვის დასახმარებლად ფული არ მაქვს და ბავშვი უკან წაიფანტოს ბათუმში, — მითხრა. ეს იყო სამშინღება. ყოველ დღე ოპერაციისთვის

იმ ხანებში „ასავალ-დასავალში“ ინტერვიუების ბეჭდვა დაიწყო. ინტერვიუებს ბატონი არამუხ სახელს უძღვებოდა. ერთ დღეს ბატონმა არამუხამ მირჩია — მოდი, დროებით შევწყვიტე აქციები და პროტესტი. მისწერე თბილისის წერილი ელზარ შვიგინაძის, ბავშვის ფოტოც ჩადე კონვერტში. მე მივუტანე. იქნება მან სულაც არ იცის რა ხდება, არ არის ცუდი გულის კაცი ბატონი ელზარდი და იქნება, დახმარება გაგიწიოსო. დავწერე წერილი და გადავეცი ბატონ არამუხს, რომელმაც შემდეგ მითხრა, რომ მიუტანა შვიგინაძეს, თუმცა ამასობაში შვიგინაძის პი-

მომაგონდა მაშინ, ყველაფერი ამოვანთხე ბოლმიან გულზე და ბინძური სიტყვები ვუწოდებ შვიგინაძეს.

შვიგინაძისა და მისი ოჯახის ბნელ, საქართველოს დამღუპველ საქმეებზე მე რომ არ ვილაპარაკო, ისეც იცის მთელმა ქვეყანამ. სულ რომ კარგი ეკეთებინათ, მე და ჩემს უმწეო, ავადმყოფ შვილს როგორც მოგვექცნენ, ნორმალურ ხალხში ეს უნდა იყოს მთავარი სამარცხვინო საკითხი, მაგრამ ჟურნალისტს, ქალბატონ ეკა ხოფერიას გამოეცხვია საქართველოში მისაბადი ხალხი და დამნაშავე ოჯახის წარმომადგენლები — მამიდა და ძმისშვილი მანანა და სოფო შვიგინაძეები გამოვიძინე თავის გადაცემაში. ნუთუ ვერ ხვდება, რომ ამით ხალხს აღიზანებს?!

გამწარებული მშობელი ვლადიმერაკობ. ჩემი 22 წლის შვილი რომ ინვალისტი დაღეს მაგათი დედის და ბებუბის დამსახურებაა, თორემ დრო-

ინება ბრიგოლიას გულისთვის ამ ტელეკომპანიის ორივე შესასვლელი რომ გადაიკეტა.

მაშინ ინვალისტი ბავშვების მშობლებმა წერილობით მიემართო ინვა გრიგოლიას და ვუთხარი: თუკი სიმართლე გინდათ სანდრა რუსლომის შესახებ, ჩვენ მოგახსენებთ-თქო. პასუხად ინვა გრიგოლიასგან მივიღეთ: რა გამიჭირეთ საქმე თქვენი პრეტენზიებით და ინვალისტი ბავშვებით? — არ მაინტერესებსო.

თოქ-შოქში ხალხი რომ გამოჰყავდა და ერთმანეთს ტყუილად ეკინკლავებოდნენ, ჩვენთვის დაეძახა, რომ დოკუმენტურად დაგვესაბუთებინა, რა მავნებელი საქმიანობას ეწეოდა სანდრა რუსლომის საქართველოში.

ვაცხადებ: მე, გოგიტა მურცხვალაძე, ის კაცი ვარ, სანდრა რუსლომის მცხუნვარე დღებში. სა-ელლოდან თავი არავის არ გამოუყვია ხუთი დღის განმავლობაში და ესენი იცავენ ადამიანის უფლებებს და ევროპულ სამართალს? მეხუთე დღეს, ბენზინი რომ მოვასხი, ცეცხლი რომ მოვუკიდებ და შიგ ჩაღვამას რომ ვაპირებდი, მერე მოცვიდნენ ტელევიზიები და ატყდა ერთი ამბავი. ელემენტარულს ვითხოვდით უნარო, უმწეო, ავადმყოფი ბავშვებისთვის სანდრა რუსლომისგან და მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრისგან ლადო ჭიპაშვილისგან. თუმცა, ქმედუნარიანი, მაგრამ ესენიც ამ საზოგადოების წევრები არიან და არ უნდა მოვაშვიოთ, არ უნდა შევაციოთ, არ უნდა მოაკლდეთ აუცილებელი რამეები...

სანდრას შექმნილი ჩემი დახმარება, მაგრამ „სხვისი ჭირი, ღოგის ჩხირი“, ხომ გაგიფიქრიათ. შენი ტკივილი სხვას არ სტკივა. სანამ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდებოდა, სანდრა მეუბნებოდა: მიშა გახდება თუ არა პრეზიდენტი, პირველი შენი შვილი წავა საზღვარგარეთ სამკურნალოდ. ცხადია, ტყუილი აღმოჩნდა ეს. მერე რომ მივაკითხე დანაპირების შესახებ, სახელმწიფო დაცვა გამოიძახა. მერე ოფისის წინ დავხვდი და ჯიბიდან რომ გადმოვიდა, დაგუძახე: საქმე მაქვს-მეთქი. მობრუნდა და — შენთან არაფერი საქმე არ მაქვსო...

სანდრა და მისი გარემოცვა ინვალისტი ბავშვებისთვის „წითელი ჯვრისა“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გამოგზავნილ ჰუმანიტარულ დახმარებებს მღაზიებში აბრუნებდნენ, ან სახლში მიჰქონდათ. ეს დოკუმენტები გეჭონდა და გვაქვს ხელთ. არ დაეზოგავთ არავის, ისე, როგორც ინვალისტი არ დაზოგავს და გასწირეს შიმშილობისთვის.

ახლა კი კვლავ მინდა გავიმეორო მოთხოვნა ტელეკომპანია „იმედისადმი“ — მოხსნან პროექტი „ცეკვაპინე ვარსკვლავებიდან“ სოფო შვიგინაძე და თუ უნდათ მორატ ილერი იმის გაატანა, ანდა რუსეთში გააგზავნონ, თორემ ახალი ფლის დღეებში სიურპრიზი ელოდებათ. საფინანსო გადაცემა ინვალისტი ბავშვების და მათი მოზღვაობის პროტესტის ფონზე გაიმართება.

სანდრა და მისი გარემოცვა ინვალისტი ბავშვებისთვის „წითელი ჯვრისა“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გამოგზავნილ ჰუმანიტარულ დახმარებებს მღაზიებში აბრუნებდნენ, ან სახლში მიჰქონდათ. ეს დოკუმენტები გეჭონდა და გვაქვს ხელთ. არ დაეზოგავთ არავის, ისე, როგორც ინვალისტი არ დაზოგავს და გასწირეს შიმშილობისთვის.



ვემზადებდით და ახლა უკან უნდა წაიყვანას ბავშვი, არადა, უკვე თითქმის ერთი თვის განმავლობაში თავი ძლივს გავეკონდა. გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამფუძნებელი, ქალბატონი ლალი გუნთაძე და სხვა ჟურნალისტები აკოწიწებდნენ ფულს, სახლიდან მოჰქონდათ გაკეთებული საჭმელი, საავადმყოფოში ჩემი ცოლი და ავადმყოფი ბავშვი შიმშილით რომ არ დაზოცილიყვნენ.

რადი ტელეფონის ნომერიც გავიგე და გარკვეული დროის შემდეგ, ტელეფონით რომ გამომცხადდა, ელზარ შვიგინაძის მეზურაბის პრეტენცია იმართებოდა, ჩამოვედი თბილისში, დავურეკე ელზარ შვიგინაძეს და წერილი შევასხენე. მომიხმინა და პასუხად მითხრა: ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარ. დავალანების გამო სახლში შექცე გამოვირთეს და სიბნელეში ვხევაო. მაშინ ვეღარ მოვითმინე და მიუხედავად ასაკისა, რაც კი რამ საღამომღვი და საფინანსო სიტყვა

დაღმა სიარული სად შემიძლია?! ახლა მე ვაფრთხილებ ტელეკომპანია „იმედს“. ბავშვების გამოცხადების შემდეგ გაიყვანონ სოფო შვიგინაძე პროექტიდან, თორემ არა მარტო ჩემს შვილს, არამედ რამდენიმე ათას ინვალისტი ბავშვს და მათ მოზღვაობის მიზნად გამოიყენებენ. ახლა კი კვლავ მინდა გავიმეორო მოთხოვნა ტელეკომპანია „იმედისადმი“ — მოხსნან პროექტი „ცეკვაპინე ვარსკვლავებიდან“ სოფო შვიგინაძე და თუ უნდათ მორატ ილერი იმის გაატანა, ანდა რუსეთში გააგზავნონ, თორემ ახალი ფლის დღეებში სიურპრიზი ელოდებათ. საფინანსო გადაცემა ინვალისტი ბავშვების და მათი მოზღვაობის პროტესტის ფონზე გაიმართება.

ჩაწერა ირანდა კალანდაძემ 593 56 11 18

პური ჩვენი არსობისა

სულ ცოტა ხნის წინ ქვეყანაში სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა ის, თუ რამდენად საკვებად ვარგისია საფუარი, რომლისგანაც საქართველოში პური ცხვება. ლაპარაკია თურქული წარმოების საფუარზე. აზრი გამოთქვა ყველა არასპეციალისტმა, ვისაც არ ეზარებოდა, რის შემდეგაც ხალხში დაიწყო ერთგვარი შიში იმაზე, რომ ქვეყანაში არსებული საფუარი არის კანცეროგენული თვისებების მქონე და ის ძალიან საშიშია.

საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ამ დარგის ერთ-ერთ სერიოზულ სპეციალისტს, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ მალხაზ დოლიძეს.

— ბატონო მალხაზ, რევიონებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თბილისის ქუჩები გადატვირთულია პურის საცხობებით, ნებისმიერ ადგილზე შეგვიძლია ვიყიდოთ პური, თუმცა, მის ხარისხზე არავინ არ აგებს პასუხს, სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი პურის ქარხნები აღარ არსებობს, მოკლედ, მწარმოებლის კეთილხინდისიერებაზეა დამოკიდებული ჩვენი ჯანმრთელობა, რას გვეტყვი ამ პრობლემაზე?

— დღეისათვის დედაქალაქს დღეში სჭირდება და მოიხმარს 350-400 ტონა პური. ერთი ადამიანის ფიზიოლოგიური ნორმა ასევე დღეში გახლავთ 300 გრამი. წელიწადში ქვეყანას ამ მხრივ სჭირდება 800-900 ათასი ტონა პროდუქტი. ამდენი ხორბალი კი ჩვენთან არ მოდის. ძირითადად დამოკიდებული ვართ შემოტანილ ანუ იმპორტულ ხორბალსა და ფქვილზე. ამ მხრივ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ გასული, 9-წლიანი ნაციონალების „მოღვაწეობის“ პერიოდი, როდესაც მათ შემოჰქონდათ იმპორტული ხორბალი, აქ ფქვავდნენ და მწარმეებს ამ დროს არჩევანის საშუალება არ ჰქონდა, იძულებული იყო ის ფქვილი ეყიდა, რომელიც კონკრეტულ მომენტში არსებობდა და ამან ძალიან ცუდი შედეგები მოგვცა. ჯერ ერთი, უსაშველოდ გამკვირდა ფქვილი, მეორეც, ის მოხდა, რომ ბევრი მეწარმე გაკოტრდა. დღესაც ხშირად ამბობენ, რომ სურთ მეწარმეებს შეუწყონ ხელი, მაგრამ ვერ ახერხებენ, იმიტომ, რომ პურის წარმოების თვითღირებულება ძალიან მაღალია.

წყლისა და გაზის ტარიფი მეწარმისთვის ორმაგია, ვიდრე მოსახლეობისთვის — ეს რაღაც ხელის შეწყობაა? იმას, რასაც დეკლარირებენ, არის მხოლოდ ქაღალდზე, რეალურად მეწარმეთათვის ხელშეწყობა ამ დარგში არ არსებობს. რაც სააკაშვილი აღარ არის, ერთადერთი

კარგი ის მოხდა, რომ ფქვილის ფასმა ცოტა დაიწია. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ქვეყანაში გაიყიდა წისქვილები, ძირითადად, უცხოელებზე, ყველაზე დიდი წარმოება ამ მხრივ ხელში უპყრიათ აზერბაიჯანელებს. ეს ყველაფერი ნაცების დროინდელი უგუნური პოლიტიკის ბრალია.

— რამდენად ხარისხიანი ხორბალი შემოდის დღეს ქვეყანაში?



— ეს არის საშუალო ხარისხის ხორბალი, ფაქტობრივად, ყველა წისქვილს საქართველოში ერთნაირი ფქვილი აქვს.

— დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ ამბობენ, პურმა დაკარგა გემო, სურნელი. სად გაქრა ეს ყოველივე?

— გეთანხმებით, ასეა, მაგრამ მინდა იცოდეთ, ეს მსოფლიო პროცესია, ვინაიდან მოხდა ამ დარგის მოდერნიზაცია, კერძოდ, მოხდა როგორც ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, ასევე ტექნიკური მოდერნიზაცია. ინტენსიური ტექნოლოგიები შემოვიდა, აი, ქვის პურს რომ ეძახიან, ის სწრაფი ტექნოლოგიით ცხვება, ამიტომაც იაფი ჯდება მისი წარმოება.

ასეთმა ტექნოლოგიებმა უფრო და უფრო მოიკიდა ფეხი პურის წარმოებაში, მასიურად, ყველა ქვეყანაში მოხდა მისი დანერგვა, რამაც განდევნა კლასიკური ტექნოლოგიები.

პურის სწრაფმა ცხობამ დაუკარგა მას სურნელიც და ხარისხიც. პურს არ უყვარს სისწრაფე, მას სჭირდება სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესის გავლა — ეს კი უკვე აღარ ხდება. ამიტომაც მივიღეთ ის, რაც მივიღეთ — უხარისხო პური.

— რამდენად საშიშია ასეთი პური ჯანმრთელობისთვის?

— საშიში ნამდვილად არ არის, იმიტომ, რომ პური ცხვება 230 გრადუსზე, ხოლო ყველა მიკრობი 80 გრადუსზე კვდება. სურსათის უვნებლობის მიმართულებით პური არ ითვლება რისკზონად — ეს დაუშვებელია — 230 გრადუსს ვერც ერთი მიკრობი ვერ უძლებს! თუმცა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, აუცილებლად მიმანია ყველა პურის სახობის მუდმივი შემოწმება, თუ რამდენად ხარისხიან წყალს და საფუარს ხმარობენ. ასევე, სანიტარიული შემოწმება უნდა ჰქონდეთ გაკლილი მუშახელს და ა. შ. ეს აუცილებელია. ბევრმა არაპროფესიონალმა მიჰყო ხელი პურის ცხობას, რაც დაუშვებელია. რა დონით ხმარობენ საფუარს ან ზოგიერთები კვებით დანამატებს — ეს არავინ არ იცის.

— აუცილებელია ეს კვებით დანამატები? რა როლს ასრულებენ ისინი?

— კვებით დანამატები არის მარტივად რომ ვთქვათ, ტექნიკური ხარვეზების გამოსასწორებლად, რომელიც ზოგიერთ პურს წარმოებისას ემატება, საშიში არ არის, ვინაიდან ის ფერმენტია, ტექნოლოგიურ პროცესს უწყობს ხელს. ცხადია, მას თავისი მინუსები აქვს, ასეთი გზით გამოცხვარი პური მალე ხმება, მაგრამ იაფია.

— ხორბლის პურის გარდა, ძალიან აქტიურად იყიდება ჭვავ-

ლოში იყო საფუარის ქარხანა, რომლის ხელმძღვანელი იყო სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და საუკეთესო სპეციალისტი — ვიტალი კვინიშიძე, ბოლო წლებში ის თავგამოდებით თხოულობდა სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას, რომელიც იმ მძიმე წლებში უგულებელყვეს და ქარხანა გაჩერდა, ვინაიდან მას ნელეული აღარ მიეწოდებოდა. საფუარის ნელეული არის ჭარხლის მელასა. ამის შემდეგ საქართველოში შემოიტანეს თურქული საფუარი. სპეციალისტები დავინტერესდით საკითხით, თუ როგორი იყო ეს თურქული საფუარი. ჩავედით თურქეთის ქალაქ ამასიაში. ეს გახლავთ ძველი ბიზანტიური ქალაქი და ვნახეთ ჭარხლის ფართობები, სადაც მისი გადამამუშავება ხდება. თურქულ საფუარს აწარმოებენ ფრანგები ჩვენთან ეტებდნენ გზებს, ასეთი წარმოების შესაქმნელად, აქედან ვერ მიიღეს შესაბამისი პასუხი და დაერჩია ასე. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ დღესდღეობ-

რი, რომ თერმოფილური საფუარი ჯანმრთელობისთვის საშიშია, აქ იგულისხმება ის, რომ თითქოსდა ის უძლებს მაღალ ტემპერატურას. ეს დაუშვებელია, ვიმეორებ, 80 გრადუს ტემპერატურაზე ყველა მიკრობი კვდება. ერთადერთი მიკრობი, რომელიც პურში შეიძლება იშვიათად, მაგრამ იყოს, ეს არის კარტოფილის ჩხირი — ამას ეძახიან ზაფხულის დაავადებას, მაგრამ ეს ჩხირიც 4 გრადუს სიმჟავეს ვერ უძლებს. ამიტომ რეკომენდებულია ზაფხულში პური არ შეიფუთოს, ასევე არ მოხვედეს ტენიან გარემოში.

— მინდა ისევ საფუარის საკითხს დაგვბრუნდეთ, რატომ მოხდა მსოფლიოში თერმოფილური საფუარის შესახებ ასეთი აჟიოტაჟი, ცხადია, მას ჰქონდა მიზეზები...

— მოგახსენებთ, ბოლო ხანებში გავრცელდა ე. წ. „ზღებცი“, რომელიც ყველა ქვეყანაში იყიდება, ის პურთან შედარებით ძვირია. ამიტომ მათმა მწარმოებლებმა მოიფიქრეს, რომ ეს ძვირიანი პროდუქტი, რომელიც უმარტივესი ტექნოლოგიით კეთდება, გაიყიდოს რაც შეიძლება მეტი. ფაქტობრივად, მიღის კონკურენცია პურსა და ამ პროდუქტს შორის. ეს გახლავთ კომერციული ბრძოლა მსოფლიოში და არა მხოლოდ ჩვენთან, ამიტომ როცა არაპროფესიონალები ამბობენ, რომ საფუარი აჩენს სიმსივნეს — ეს, უბრალოდ, უცოდინარობაა და პროვინციალიზმი — მეტი არაფერ-



ვის პური, ადრე ასე არ იყო, რატომ?

— ჭვავის პური სასარგებლოა, კვებითი ღირებულებაც დიდია, მაგრამ ჩვენში მისი ტრადიცია არ იყო ადრე.

— არ შეიძლება არ გკითხოთ საფუარის შესახებ, ბოლო ხანებში გავრცელებული ჭორით თუ სიმართლით ის ძალიან საშიში პროდუქტია, რომელიც იწვევს სიმსივნურ დაავადებებს, პირდაპირ მიუთითებდნენ კიდევ, რომ ჩვენში დღეს არსებული თურქული საფუარის გამოყენება სარისკოა, ამაზე რას იტყვით?

— 1992 წლამდე საქართვე-

ბით საფუარის ქარხანა სასოფლისეობის აქმს და აზერბაიჯანსაც, მართლმაც არაა გზავს, ჩვენ ვყიდულობთ.

ახლა რა არის თავად საფუარი, მინდა განვმარტო, რომ ყველამ იცოდეს და ჭორებზე არ იყვნენ დამოკიდებულნი.

საფუარი გახლავთ ერთუჯრედიანი მიკრობი, რომლისთვისაც ჭარხლის მელასა არის ის გარემო, სადაც ის მრავლდება. თვითონ ფქვილშიც კი არის მიკრობი, რომელიც დიდი ხნის წინ დაადგინა პასტერმა — დიდმა მეცნიერმა.

ბოლო ხანს გავრცელდა აზ-

რი. საქართველოში არანაირი თერმოფილური საფუარი არ არსებობს — ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. ამიტომ მოსახლეობა არ უნდა დაეყრდნოს ინტერნეტში გავრცელებულ ჭორებს, რომელთაც არანაირი საფუძველი არ აქვს — უბრალოდ, ამაზე ლაპარაკი არასერიოზულია.

ისე ვიტყვით, რომ ალაღვინონ საფუარის ქარხანა საქართველოში, რომლის შექმნასაც 8-9 მილიონი სჭირდება დაახლოებით და ყველა მშვიდად იქნება.

თეიმურაზი პასარელიძე
599 110 200

„დაბლანსებული“ სამძიმარი

„რაც არ უნდა შეგეძლებოდეს, კაცობა არ უნდა დაკარგო, იმიტომ, რომ ბოლო ერთია – კაცი საფლავზე დადებული ქვით კი არ ფასობს, არამედ აქ დატოვებული სახელითა და სულით...“ ნოდარ დუმბაძე.

„აი, მე რომ მოგვედები, რას დაწერენ ჩემზე, რაში მანაღვლებს? ეს მნიშვნელოვანია სანამ ცოცხალი ვარ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია რას ვაკეთებ.“ კახაბერ ბენდუქიძე. („თავისუფალი უნივერსიტეტის“ ბლოგი. 2014 წელი. იანვარი)

აღესრულა კახაბერ ბენდუქიძე, ვისთვის დიდი რეფორმატორი, ვისთვის – საქართველოს ერთ-ერთი დამაქცევარი.

მიხეილ სააკაშვილი: –

„კახა აღარ ჰყავს საქართველოს... ქვეყნიდან ამ რამდენიმე თვის წინ, სისხლის სამართლის საქმეების აღძვრის შემდეგ წავიდა. თვლიდა, რომ ან დააპატიმრებდნენ ან მინიმუმ პასპორტს ჩამოართმევდნენ. ბოლო თვეებში ძალიან განიცდიდა, რომ თავისი სიმწირით ნაშენები უნივერსიტეტების მიტოვება მოუხდა. ლონდონში ჩამოაყალიბა იურისტების ჯგუფი და ასევე ცალკე ორგანიზაცია ივანიშვილის რეჟიმთან საბრძოლველად. ძალიან ჩქარობდა და ბოლო სატელეფონო საუბარში კიდევ ერთხელ მითხრა – ბევრი დრო არ გვაქვს, და უახლოეს თვეებში უნდა დავისხნათ საქართველო...“

სანდრო ბრეზაძე: –


„სააკაშვილის სამძიმარი სრულიად არაადეკვატური იყო. მან თავის განცხადებაში, ფაქტობრივად, პირდაპირ განაცხადა, რომ ამზადებენ სახელმწიფო გადატრიალებას და მიზნად აქვთ არსებული ხელისუფლება რამდენიმე თვეში დააპატიმრონ. ასეთი არაადეკვატური სამძიმარის ღებუშა არ მინახავს...“

რობერტ სტურუა: –

„გააგორეს... ბევრი იცოდა... ვინც ბევრი იცის, მითუმეტეს პოლიტიკაში (და კრიმინალში) ადრე თუ გვიან, გააგორებენ... სიკვდილის ფორმა კი მეგობრების თათბირზე წყდება. გააგორეს რევოლუციის წინ. 15 ნოემბრის შეშინდა – ისევ ნგრევა, ისევ გაცემა ფულის და გააგორეს...“

დავწერე, რომ საეჭვოდ მეჩვენება ბენდუქიძის სიკვდილი. ალბათ, მაქვს უფლება ასე ვიფიქრო და ვწერო... რატომღაც იმდენად გადაიზიარებენ, რომ ეჭვი გამძიდიერდა. ექს-პრეზიდენტის სიტყვამაც ჩამაფიქრა, 15 ნოემბ-

რისთვის ისეთ ფულებს ხარჯავდაო, ისე ელოდებოდაო ამ თარიღს, ეხლა კი (ვაი, ვუი) ხელიდან გამოგვეცალაო! სტენტი ჩასმა დღეს, სასაცილო ოპერაციაა (მე მაქვს თბილისში გაკეთებული ბრწყინვალედ). ლონდონი... პატარაკაციშვილი... ლონდონი-თბილისი... Éóáî âî é!



„აი, მე რომ მოვკვდები, რას დაწერენ ჩემზე, რაში მანაღვლებს, რაში მალაღვლებს?“

მიაუ...“

დავით საყვარელიძე: –

„არც კი ვიცი რა დაწერო ისეთი დამძიმებელი ვარ... კახა ბენდუქიძის სახით თანამედროვე საქართველომ დიდი ადამიანი დაკარგა! სულით და გულით მეტროპოლი თანამედროვე და ძლიერი საქართველოსთვის... ბედნიერი ვარ რომ ამ ადამიანთან მეგობრობის და თუნდაც მასთან ერთად ამ ქვეყნისთვის ბრძოლის საშუალება მქონდა...“

ეკა ხმარაშვილი: –

„უნიტარო მარგველაშვილს მინდა ვუთხრა – არაფრის მაქნისო შემთხვევითობა, კახა ბენდუქიძე მაშინ მოკალით, როდესაც მის შექმნილ უნივერსიტეტს ლიცენზია გაუქმეთ, მერე ვიდაც უსაქმურები პროკურატურაში უსირცხვილოდ იბარებდნენ და ბოლოს ქვეყნიდან გააძევეთ! გააგდეს ქვეყნიდან, ადგილი არ დაუტოვებს ამ მხეცებმა. რამხელა დანაკლისია ჩვენი ქვეყნისთვის.“

„საქართველოში სოფლის მეურნეობა არაა კონკურენტუნარიანი, ამიტომ, ფეხზე დავიკ-

დოთ, თუ გადარჩენა უწერია, თავისით გადარჩეს, თუ არადა, დაიღუპოს, არაა პრობლემა... სოფელში მცხოვრები მამაკაცები სხვაგან წავიდნენ შავ მუშებად, ქალები კი შეძახებდნენ. ეს არაა ჩემი პრობლემა... მეჩაივება და მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს ეკონომიკას მძიმე

დეს მითქვამს. ვაკრიტიკებდი, რა თქმა უნდა, მის ეკონომიკურ შეხედულებებს. ახლა, როცა ჩვენს გვერდით აღარაა, სამინისტროს განვიცდი. მან ღრმა კვალი დაამჩნია საქართველოს, მისი საქმიანობა, სამწუხაროდ, დადებითად ვერ შეფასდება. მეცოდება.“

გიორგი ბოლქვაძე: –

„ბენდუქიძე კი არა, უამრავი ყმაწვილი ქართველი ჩაიღო მის წაშლით – ახლა ბენდუქიძეზე რომ არ ვინერვიულო... ერთი მტრით ნაკლები ჰყავს ქართულ ჯიგარს! დავამთავრე მე ყველას შეცოდება, ვინც ქართველობას ებრძვის!“

მარიამ საჯანია: –

„გული ჩამწყდა. ძალიან, ძალიან ვწუხვარ უდიდესი, უჭკვიანესი ადამიანის და ამასთანავე უბრალო „ბენდუს“ გამო.“

თამარა ღონღაძე: –

„რეზო ინანიშვილი ისე გარდაიცვალა, ორი სიტყვა ზედმეტად არ უხსენებიათ და ამან რით დაიმსახურა, იმიტომ, რომ გადაძოვა ქვეყანა, მისათვისებელი მიითვისა, გასანიავებელი – განაიავა, მორჩენილი კიდევ რუსეთს მიაჩნება?“

სულიკო კვციანი: –

„დროზე დამარხეთ, თორემ ეგ თუ გაფუჭდა, ეკოლოგიური კატასტროფა არ აცდება ვეროპას!“

ირაკლი ვაჭარაძე: –

„გარდაიცვალა ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი ქართველი, ბატონი კახა ბენდუქიძე. ლონდონში, სასტუმროში. გულის ოპერაცია გაიკეთა ლონდონში. ალბათ, ვერ გადაიტანდა.“

ნინო ბაქრაძე: –

„ჰო, ნო ელის 40 დღის მერე?! ეგ რომ წვას დაიწყებს, ცხიმი წალეკავს ჯოჯოხეთს.“

ნათია კობახიძე: –

„ვაიმე, ძალიან ცუდად ვარ!“

„გალიან ალრეინილი“: –

„ბენდუქიძესაც გამოაყოფინონ ხელები სასახლიდან, რათა კარ-

გად დაინახონ დანარჩენებმა, რომ იმ ქვეყნად ვერაფერი მიიქნეს... ხალხის სიყვარულსა და სახელზე ხომ ლაპარაკი აღარაა... ამდენი ლანძღვა, რაც მის გარდაცვალებას მოჰყვა, არავისზე მსმენია...“

აწ გარდაცვლილ კახაბერ ბენდუქიძეს სრულებით არ აღეგებება სიცოცხლეში რას დაწერდნენ მასზე გარდაცვალების შემდეგ, ამდენად, ვინ – აქებს, ვინ – ლანძღავს, მაგრამ ის, რაც მარი იაკობიძემ დაწერა, ყველა და ყველანაირი ლანძღვა გადაფარა და ადამიანები ერთმანეთსა და ეკითხებოდნენ, ვინ არის ეს ვოგოლო?

მარი იაკობიძე: –

„გიოლოცავთ, ხალხო! ძალიან დიდი და მავნე პარაზიტი მოშორდა საზოგადოებას. ზუსტად მაგის ინიციატივით გაუქმდა შრომის ინსპექცია; გადაეკეტა საარსებო გზები სოფლის მეურნეობას; დაიწყო მასობრივი და უპრაოდონო პრივატიზაცია; მთელი თაობები ჩარეცხეს, ჩემი და თქვენი მშობლების თაობა, ადამიანები, რომლებსაც წლების გამოცდილება ჰქონდათ და თავიანთი საქმის პროფესიონალები იყვნენ, მაგრამ ბაზრის ახალ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდნენ (მენეჯერული და ქომფიუტერ სქილები არ ჰქონდათ), ამიტომ, „ბენდუს“ აიღო და ნაგავსაყრელზე მიიხროლა ისინი მათ ოჯახებთან ერთად. ეგ, მაგის შექმნილი უნივერსიტეტი კიდევ არის ბაზარზე მორგებული, ყველაზე იდეოლოგიზირებული (ოღონდ, გათვითცნობიერებული რომ არ არიან), ფსევდოპოპულარული, ინდივიდუალისტი, კონფორმისტი და „სქილებიანი“ ტვიგამორეცხილი კონსერვის ბანკების გამოშვები ჩვეულებრივი ქარხანა. ამ სტუდენტებს არანაირი ემპათიის განცდა არ აქვთ ადამიანის მიმართ, რომლებიც სწორედ „ბენდუს“ ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად გაუბედურდნენ და მართლა სჯერათ იმის, რომ მათი უმუშევრობისა და შიმშილის მიზეზი მათივე სიზარმავე და „ქართული მენტალიტეტი“აა. ეს არის არსებული სოციოპოლიტიკური რეალობისადმი ბრმა და ყრუ ხალხი, საკუთარი პირადი ინტერესების და ამბიციების იქით რომ ვერ იხედება და დღეს ქვეყნის მთავარი პრობლემა გვერის მჩაგვრელი ეკლესია ჰგონია. მოკლედ, ძალიან მიაკვდა მაგ ღორ სულში!“

გიორგი ჩხეიძე



რაულ ხაჯიბა: შეთანხმებაში აფხაზეთის სუვერენიტეტის შემცირებაზე საუბარი არ არის

აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიბა აცხადებს, რომ რუსეთსა და აფხაზეთს შორის გასაფორმებელ შეთანხმებაში აფხაზეთის სუვერენიტეტის შემცირებაზე საუბარი არ არის. „რია ნოვოსტის“ ცნობით, ამის შესახებ რაულ ხაჯიბამ აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის უნივერსიტეტის სტუდენტებთან და ახალგაზრდა დიპლომატებთან შეხვედრისას განაცხადა. „რუსეთთან ურთიერთობები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რუსეთი უზრუნველყოფს ჩვენს უსაფრთხოებას, შეთანხმების გაუმჯობესება კი შინაარსობრივად ჩვენზეა დამოკიდებული“, - აღნიშნა რაულ ხაჯიბამ. აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის ლიდრის განცხადებით, შეთანხმება ასევე არ ითვალისწინებს საერთაშორისო საზღვრის გაუქმებას. „შეთანხმება ასევე გადაწყვეტს აფხაზურ-ქართული საზღვრის გამაგრების საკითხებს და ისეთი სატრანსპორტო კომუნიკაციის შექმნას, რომ შესაძლებელი გახდეს ერთი გადასასვლელის მოწყობა და არა უმეტეს ორი საკონტროლო-გამშვები პუნქტის არსებობა. სხვა დანარჩენი კი უნდა დაიხუროს“, - განაცხადა რაულ ხაჯიბამ.



დავით ბაგნიძე

თბილისის პროკურორის მიხეილ ჯურდამის აკვლავლობის საქმე

გაგრძელებთ ინტერვიუების ციკლს პოლიციის ვიცე-პოლიკოვნიკ დავით ბაგნიძისთან, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარ განხორციელებულ მკვლელობებს, მათ შორის თბილისის პროკურორ მიხეილ ჯურდამის მკვლელობას იხსენებს. ოფიციალური ვერსიით, მიხეილ ჯურდამის მკვლელობა გაიხსნა და მკვლელობა დასაჯეს, თუმცა ჩვენი რესპოდენტის აზრით, ეს მკვლელობა ფაქტობრივად არ გახსნილა და არც რეალური მკვლელობა დაუფიქსირებია. მამინდელი სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელობა არც ყოფილა დაინტერესებული, რომ ეს საქმე რეალურად გახსნილიყო, რადგან მათაც გარკვეული „წვლილი“ მიუძღვოდათ ამ ტრაგედიაში.

მიხეილ ჯურდამე 1993 წლის 10 მარტს, გვიან საღამოს საკუთარი სახლის სადარბაზოს შესასვლელთან (საბურთალოს რაიონის „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. თვითმხილველთა განმარტებით, დანაშაული ჩაიდინა მალაშვილმა, სპორტული აღნაგობის მქონე პირმა, რომელსაც მოშავო ფერის ტანსაცმელი ეცვა და ნაქსოვი მოშავო ფერის თეთრზოლებიანი ქუდი ეხურა. მათივე განმარტებით, ბოროტმოქმედი შემთხვევის ადგილიდან წითელი ან შინდისფერი ვაზ-2107 მარკის დაბურულ მინებიანი ავტომანქანით მიიმალა. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ახლოდებულ იქნა შვიდი ცალის „მაკაროვის“ პისტოლექტიდან გასროლილი ტყვიის მასრა და სამი ცალი ტყვიის გულა. გარდაცვლილის გემის გამოკვლევისას, ტანსაცმელიდან ამოღებული იქნა ხსენებული სისტემის პისტოლექტის ტყვიის ერთი გულა, გარდაცვლილის თავისა და გულმკერდის არედან ამავე იარაღის ორი ტყვიის გულა. მოგვიანებით ბალისტიკური ექსპერტიზით დადგინდა, რომ მიხეილ ჯურდამის მკვლელობის დროს გამოყენებული „მაკაროვის“ პისტოლექტი ეროვნული გვარდის თანამშრომლის აკაკი შანიძის ტაბელური იარაღი იყო. რამდენიმე დღით ადრე ამავე იარაღით იქნენ მოკლული ვაჟა-ფშაველას გამზირზე უცნობი პირის მიერ თავად შანიძე და მისი ახლობელი ზურაბ ნათიძე, ამ უკანასკნელის კუთვნილი ვაზ-2109 მარკის ავტომანქანაში. ხსენებული ავტომანქანა გატაცებული იქნა დაუდგენელი მისამართით. 1994 წლის 30 იანვარს ხსენებული პისტოლექტი იქნა მოკლული „მხედრიონელი“ ნურკი რურუა. ამავე წლის სექტემბერში არნიშული პისტოლექტი ერთ-ერთმა პიროვნებამ ნეპაფოფლობით ჩააბარა მუხიანის პოლიციის განყოფილებას. 1994 წლის 14 მაისს, გატაცებული ოპერატიულ-სამპერო ღონისძიებების შედეგად დაკავებული იქნა პირი, რომელმაც აღიარა რურუას მკვლელობა. 2001 წლის 5 ოქტომბერს მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შედეგად

შედეგად დაკავებული იქნა თბილისის მცხოვრები, ადრე ნასამართლევი კობა გურგენიძე, რომელმაც ჩაიდინა მიხეილ ჯურდამის მკვლელობა. გურგენიძე აფხაზეთის ომის მონაწილეა, მან სამხედრო პოლიციაში დაიწყო მუშაობა გენერალ უჩავას ამ უწყებაში გადასვლის შემდეგ, თუმცა უჩავას წასვლისთანავე, მანაც დატოვა სამსახური. მიუხედავად გატაცებული საგამოძიებო ღონისძიებებისა, დადგინილი ვერ იქნა მიხეილ ჯურდამის მკვლელობის დამკვეთთა ვინაობა, თავის მხრივ გურგენიძე კატეგორიულად უარყოფდა აღნიშნულ ფაქტს და ბოლომდე გამოიყენა დუმილის უფლება, თუმცა სასამართლომ მოწმეებზე დაყრდნობით იგი დამნაშავედ სცნო და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. კობა გურგენიძე ამოიწრო მკვლელობის მოწმე კანდიდატმა, ასევე იყო მოწმე, რომელიმაც გურგენიძემ წაიტარაბახა, რომ პროკურორ ჯურდამის მკვლელობაში მას 10.000 აშშ დოლარი გადაუხადეს. ეს, რაც შეეხება საქმეების ოფიციალურ მასალებს.

აღნიშნულ მკვლელობებთან დაკავშირებით ოპერატიულ მოკვლევას ჩვენი რესპოდენტი აწარმოებდა და ბუნებრივია, იგი სრულად არის საქმის კურსში. დავით ბაგნიძის თხოვნით, ამ დანაშაულობებში მონაწილე პირთა ვინაობა შეცვლილია, მიხეილ ჯურდამის საგარეო მკვლელობის ვინაობის გარდა. რესპოდენტი მიიჩნევს, რომ არც გურგენიძეა მიხეილ ჯურდამის მკვლელობის და არც იმ დაკავებულ პიროვნებას მოუკლავს ნუკრი რურუა, თუ რატომ ფიქრობს ასე, ამას მისი მონათხრობიდან შევითვით.

დავით ბაგნიძე: ზურაბ ნათიძისა და აკაკი შანიძის მკვლელობა 1993 წლის მარტს, საღამოს საათებში მოხდა. ვაჟა-ფშაველას გამზირზე ერთ-ერთი კორპუსის „არკაში“ განჩერებული იყო ვაზ-2109, მას უქნიდან მიადგა ვაზ-2107, რომელსაც გელა ნიგუნიანი მართავდა, მან რამდენჯერმე დაასიგნალა, რომ წინა ავტომანქანის მძღოლს გზა დაეთმო, თუმცა უშედეგოდ. ნიგუნიანი მარტო არ ყოფილა, მეგობრებიც ახლდნენ, იქვე მცხოვრები ახლობლის დახმარების დღეზე მიეჩქარებოდათ. ნიგუნიანმა და მისმა თანმხლებებმა შენიშნეს, რომ მის წინ განჩერებული ავტომანქანა მოძრაობდა, როგორც ჩანს იქ მსხლდომი ჩხუბობდნენ, მათ მალევე ვერ ერთი გასროლის ხმა მოესმათ, შემდეგ ზედიზედ სამის. უცებ ვაზ-2109-ის უკანა მარცხენა კარიდან დაბალი ტანის, ქერათმანი ახალგაზრდა ქალი გადმოხტა კივილით, ეს რა ქენი, მოკალით, მგორე მხრიდან ახალგაზრდა დაბალი ტანის კაციც გადმოხტა, ბოლოს გადმოვიდა ისეთივე აღნაგობის მამაკაცი, როგორსაც მიხეილ ჯურდამის მკვლელობის თვითმხილველნი აღწერდნენ, რომელსაც მომარჯვებული იარაღი (პისტოლექტი) ეჭირა, მან თანმხლებთ ანიშნა წავიდეთო და ჩქარი ნაბიჯით გაცვალნენ იქაურობას. ეს პისტოლექტი იყო შანიძის ტაბელური იარაღი, რომელიც თავდამსხმელმა წაართვა და ორივეს ესროლა, რომელიც შემდეგ კიდევ ორი მკვლელობა მოხდა. ნიგუნიანი მიხვდა, რომ „09“-ში რაღაც მოხდა, მივიდა ავტომანქანასთან, რომლის წინა სალონშიც ორი დაჭრილი ახალგაზრდა კაცი დახვდა, რომლებიც შევლას ითხოვდნენ. ნიგუნიანმა მეგობრის დახმარებით მძიმედ დაჭრილი მძღო-

ლი უკანა სალონში გადასვა, თვითონ დაჯდა ავტომანქანის საჯვსთან და დაჭრილები ვაკეში საავადმყოფოში წაიყვანა, მათ რაღაცის თქმა უნდოდათ, მაგრამ ვერ მოასწრეს, საავადმყოფოში მიყვანილანვე გარდაიცვალნენ, რადგან სისხლიდან დაიკარგნენ. ნიგუნიანმა ნათიძის ავტომანქანა იქვე ვაკის ავტოსადგომზე გაჩერა, რადგან იქ არანაირი საბუთი არ იყო, რამდენიმე დღის მერე რომ მიაკითხა, ავტომანქანა ისევ იქ იდგა, არავინ ეძებდა, ამიტომაც წაიყვანა და თელავში ვინმე „მინუკი-ჩას“ მიყიდა. ეს ავტომანქანა შემდეგ სხვაზე გაიყიდა, ამიტომ ვერაფრით შევძელით მისი ამოღება ექსპერტიზა რომ ჩავატარებინა, ეჭვი არსებობდა, რომ სრულია ავტომანქანის სალონში არ მომხდარა.

- ბატონო დავით, ოფიციალური ვერსიით ვინმე ბუთურიშვილმა ნებაყოფლობით ჩააბარა ოთხ მკვლელობაში „მონაწილე“ პისტოლექტი მუხიანის პოლიციას. ვინ იყო ბუთურიშვილი და საიდან აღმოჩნდა მის ხელში ხსენებული პისტოლექტი?

- ბუთურიშვილი შსს-ს ერთ-ერთი სამსახურის თანამშრომელი იყო, შენაშაბისი მოწმობაც ჰქონდა, ვიღაცისგან იყიდა ეს იარაღი, მაგრამ ვისგან, ეს არაფრით გაამხილა და საერთოდაც, საქმე სულ სხვაგვარად

მალაჩინოსის აგენტი იყო, ისევე, როგორც მისი ძმა, ისიც „შავი სამყაროს“ წარმომადგენელი იყო. დღეს არცერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის. დარწმუნებული ვარ პოლიციამ პროკურატურაც გაეცა სწორ კვალზე, მაგრამ ამ საქმის ჩაფარცხვა ამჯობინეს, რადგან იცოდნენ, რომ ხსენებული მალაჩინოსის პოლიციელის ორგანიზებული იყო მიხეილ ჯურდამის მკვლელობა, რომელიც მართლაც იყო სამართალდამცავი სტრუქტურების სინდისი და ღირსება. ავ ენებს თუ დაუფუჯრებთ, მაშინდელმა პროკურატურამ ბუთურიშვილი 30.000 დოლარის სანაცვლოდ გაათავისუფლა. მოვიხსენიებ იდიოტური ვერსია, რომ თითქოს ბუთურიშვილი წყნეთიდან მოდიოდა და ავტოავარიას შეეწვრო, „ვოლგა“ იყო გადაბრუნებული და იქ ეგლო ხსენებული პისტოლექტი, რომელიც ბუთურიშვილმა თანმხლებ მეგობარსაც არ აჩვენა, ისე ჩაიღო ვიბეში. ეს ავტოავარია მართლაც იყო მომხდარი, იმ პერიოდისთვის, როცა ამ საქმეზე ვმუშაობდით, „ვოლგის“ მფლობელი უკვე ამერიკაში იყო გადასული საცხოვრებლად მს მამინდელი მინისტრის მზადდელი თემურ მურდულია მას იქ დაუკავშირდა, მაგრამ მან კატეგორიულად უარყო ამ იარაღის ფლობა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ბუფი



იყო. ბუთურიშვილი ამ იარაღით თავისი ახლობლის დაბადების დღეზე წავიდა მუხიანში, იქ თანამეზობლებთან შელაპარაკება მოუვიდა და რამდენჯერმე გაისროლა, ოღონდ არავინ დაზიანებულა. ეს ფაქტი მუხიანის პოლიციამ შეიტყო. ბუთურიშვილის ქმედება კვალთმომიხილებოდა, როგორც ბოროტი ხულიგნობა და მაშინდელი კანონმდებლობით შვიდ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა. ბუთურიშვილს მისმა ადვოკატმა მაშინ ჩააბარებინა ხსენებული პისტოლექტი, პოლიციამ ბუნებრივია, გარკვეული „გასამრჯელოც“ მიიღო და საქმე ჩაფარცხეს. პისტოლექტი ბალისტიკურ ექსპერტიზაზე გაგზავნეს და გაირკვა, რომ ამ იარაღით ოთხი კაცი იყო მოკლული (ეს ამბები 1994 წლის ოქტომბერში ხდება), ცხადია, საქმე ხელახლა აღძრეს, ბუთურიშვილი დაიჭირეს და დაიწყეს მისი „დაბრუნება“. მაშინდელ შს მინისტრ შოთა კვიციანიას საკუთარ კაბინეტში ჰყავს ნაცემი ბუთურიშვილი, მაგრამ მისივე ვერ ათქმევინ ვისგან იყიდა ეს იარაღი, ისეთი ვიღაცისგან ჰქონდა ნაყიდი, ვინაობა რომ გაეჩინა, იცოდა ცოცხალს არ დატოვებდნენ. მან არ გაამხილა, მაგრამ გამოცხადდა „პერატივიკება“ ვიცოდით, რომ ერთ-ერთი ე.წ. კანონიერი ქურდისგან იყიდა, რომელიც სინამდვილეში პოლიციის მაშინდელი

გააპერინეს, ალბათ ხვდებით რატომაც. ჩემს ხელმძღვანელობას ასეთი რეაქცია არ ჰქონია, არც ზეწოლა მიგვრძნია, მაგრამ ყველას უკვირდა ბუთურიშვილი როგორ დაიჭირეთ. ბუთურიშვილი მარტო ჩასვეს საკანში, ასე რომ, „კამერნიკს“ ვეღარ ვამუშავებდი, მაგრამ ფარ-ხმალი არ დამიფრია, მისი დამუშავების სხვა მეთოდები არსებობდა, ყოველ დღე ჩავდიოდი მასთან, მიმჩინდა პრესა, რომელსაც ერთად ვკითხულობდით, კოსმოსრულებსაც ერთად ვხსნიდით, საქმეზე კი არაფერს ვეკითხებოდი. ბუთურიშვილი შინაგანად წესიერი ახალგაზრდა იყო, მისთვის ყველაზე დიდი სასჯელი ეს იყო, ასეთ კულტურულ მოქცევას არ ელოდა, 3-4 დღეში ისე მომწვივდა სიტუაცია, რომ იგი ყველაფრის მოქმედი იყო, მკითხა კიდევ რა გავაკეთოთ, მხოლოდ სიმართლე მითხარი, თუ გინდა ნუ დაწერ-თქო, აუცილებლად დაეფიქრებოდა. უცებ ერთ-ერთ წამყვან გაზეთში იბეჭდებოდა სტატია, რომ შსს-ს დაკავებული ჰყავს ბუთურიშვილი და მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებენო. დაკვირვებული ვარ, მიხეილ ჯურდამის მკვლელობასთან დაკავშირებით მასალები, რატომღაც ყოველთვის ამ გაზეთში იბეჭდებოდა და ჩვენი ინტერვიუს მერეც ვფიქრობ, რაიმე დაიბეჭდებოდა (ამ გაზეთის დასახელებას შეგნებულად მოვერიდები - მ.ს.). თურმე პრესის ერთად გაცნობა ზეწოლა ყოფილა. ამ სტატიაში ერთი სიტყვით არ იყო მოხსენიებული პროკურატურა, რა შუაში იყო შსს, როცა ამ საქმეს პროკურატურა იძიებდა და ამ უწყების მითითებით იყო დაკავებული ბუთურიშვილი. შსს-ზე ზედამხედველობა პროკურორმა დაიბარა და ბუთურიშვილის გათავისუფლება მოითხოვეს. ჩემს უშუალო უფროსის დავით კეკუას ვუთხარი, ვისაც გინდათ გაათავისუფლებინეთ, მე ამას არ გავაკეთებ-თქო. ამ დროს კეკუასთან მოვიდნენ გამოძიებელი ზირაქიშვილი და მისი უშუალო ხელმძღვანელი მირზა ლომიძე (გენპროკურორის მოადგილე), უპატიოსნესი პიროვნება, რაო, გავაჭირდით პოლიციელებო, კეკუამ პირდაპირ უთხრა, ჩვენ რა ვქნათ, როცა პროკურატურამ უკან დაიხილა. ბატონმა მირზამ მოხოვა ბუთურიშვილის გათავისუფლება, იქნებ რაიმე ვითხრასო, უარი ვეღარ ვუთხარი, ბუთურიშვილს რომ გავესაუბრე, ტირილი დაიწყო, მივხვდი სიმართლეს ვერ იტყოდა. მერე ის თქვა, რომ თითქოს 1994 წლის 29 იანვარს ვიღაცას ათხოვა ეს იარაღი (30 იანვარს რურუას მკვლელობა მოხდა) და მერე დაბრუნდა. არ დაუფუჯრე, არადა მას სინამდვილეში 1994 წლის სექტემბერში ჰქონდა ნაყიდი ხსენებული პისტოლექტი.

- ბატონო დავით, შსს-ს ოფიციალური ცნობაში მითითებულია, რომ მხედრიონელ რურუას მკვლელობის საქმე გაიხსნა, 1996 წლის მაისში დააკავეს მისი მკვლელობაში მამუკა დვალისძე, რომელმაც ჩადენილი დანაშაული აღიარა, თუმცა თვენე ეჭვი გეპარებათ, რომ ის არის მკვლეელი, როგორ „გახვედით“ დვალისძეზე და რატომ განჩნდა ეს ეჭვი?

- როგორც წინა ინტერვიუში ვითხარით, მიხეილ უჩავასთან და მისი ძმის გატაცებასა და თანხის გამოძალავაში ეჭვიმტანილი ილო გასვიანი და გიორგი მამუკაშვილი თბილისში დაბრუნდნენ, მათი ფოტოებიც მოვიპოვეთ, რომელიც სხვა პირთა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ნინა ნოზიძე

ს ა ნ რ მ ო ს გ ა ლ ა ნ ს ი

2013 წლის

საფინანსო სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, პ.მელიქიშვილის ქ.1
დარბი (საქმიანობის სხე): საქველმოქმედო საქმიანობა
ჯომის ერთეული: ლარი

მოგება-ზარალის წლიური ანგარიში

2013 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ხარჯების კლასიფიკაცია ფუნქციების მიხედვით)

საფინანსო სახელმწიფო - „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
იურიდიული მისამართი - ქ.თბილისი, მელიქიშვილის ქ.1
დარბი (საქმიანობის სხე) - საქველმოქმედო საქმიანობა

მნიშვნელობის დასახელება	კოდი (სტრიქონი)	შემოსავალი	ხარჯები
ამონაგები	010		X
რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღირებულება	020	X	
საერთო მოგება (ზარალი)	030		
კომერციული ხარჯები	040	X	
ადმინისტრაციული ხარჯები	050	X	(2 976,96)
შემოსავლები შემოსულობიდან	060	0,00	X
სხვა ხარჯები	070	X	(35 029,92)
ფინანსური დანახარჯები	080	X	
შესოსავლები ფინანსური დაბანდებებიდან და პროცენტებიდან	090	52276,81	X
მოგება (ზარალი)		14269,93	
საქმიანობიდან	100	48628,56	X
გაუთვალისწინებელი შემოსავლები	110	62898,49	-
მოგება (ზარალი)	130		
საგადასახადო მოგების გადასახადი	140	X	25499,44
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება	150	37399,05	
ხარჯები (წინა წლების ზარალის გამოქვითვა)	120	X	-
დაგროვილი საერთო ფონდი		37 399,05	X

თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი 2013 წლის საქმიანობის პროგრამული და ფინანსური ანგარიში

„თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი“ რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 18 სექტემბერს, ს/კ 204517086. ფონდის ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქ.№1. 2008 წლის „22“ „ოქტომბერს“ ფონდს მიენიჭა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

ფონდი წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს.

ფონდის ძირითადი მიზანია „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის“, როგორც ძველის გადარჩენაში, განვითარებასა და ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებაში ხელშეწყობა; საკონცერტო დარბაზის თანამედროვე ხმოვან-გასანათებელი მოწყობილობითა და აპარატურით აღჭურვის უზრუნველყოფა, კულტურულ საქმიანობაში ხელშეწყობა და სხვა.

ფონდის 2013 წლის შემოსულობების და ხარჯების შესახებ ანგარიში (ფინანსური ანგარიში) წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი

№	დასახელება	შემოსულობები (ლარი)	ხარჯები (ლარი)
1	სესხის დაბრუნება	334000	
2	ფონდის მიზნობრივი ხარჯი		305000
3	თჯარა		5132,43
4	საგადასახადო ვალდებულებები		23020
5	აუდიტის მომსახურება		360
6	ფინანსური ანგარიშის გამოქვეყნება		600
7	საბანკო მომსახურების ხარჯი		17,91

2013 წლის ბალანსი. აქტივი	კოდი (სტრიქ)	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული საღარიბოში	1100	010	
ფული საბანკო ანგარიშებზე	1200	020	571,27
მოკლევადიანი ინვესტიციები	1300	030	
მოთხოვნები მოსახურებელი და მომსახურებელი	1410	040	
მოთხოვნები მუკავშირე საწარმოების მიმართ	1420	041	
მოთხოვნები მეწარმეების მიმართ	1415	050	
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1470	060	
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	1460	070	
გადახდილი დღგ	3310	071	
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	1480	080	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1490	090	
სულ მიმდინარე აქტივები		571,27	440,93
სასაქონლო მატერიალური მარაგი			
საკონკრეტო	1610	110	
ნედლეული და მასალები	1620	120	
დაუმთავრებელი წარმოება	1630	130	
მზა პროდუქცია	1640	140	
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1690	150	
წინასწარ გაწეული ხარჯები	1700	160	
დარიცხული მოთხოვნა	1800	161	378005,45
სხვა მიმდინარე აქტივები	1900	170	5952,57
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		383958,02	454174,59
გრძელვადიანი აქტივები			
მიწის ნაკვეთები	2110	190	
დაუმთავრებელი მშენებლობა	2120	200	
შენობა-ნაგებობები	2130	210	
მანქანა-დახანგრები	2150	220	
ოფისის აღჭურვილობა	2160	230	
სატრანსპორტო საშუალებები	2180	240	
სხვა ძირითადი საშუალებები	2190	250	
გრძელვადიანი მოთხოვნები	2300	260	897309,76
გადავადებული საგადასახადო აქტივი	2340	270	
გრძელვადიანი ინვესტიციები	2400	280	
არამატერიალური აქტივები	2500	290	
სულ გრძელვადიანი აქტივები		897309,76	591519,12
სულ აქტივები		1281839,05	1046134,64

პასივი	კოდი (სტრიქ)	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე ვალდებულებები			
მოწოდებელი და მომსახურებელი წარმოქმნილი ვალდებულება	3110	310	5132,43
მიღებული ავანსები	3120	320	
გადასახდელი ხელუცხები	3130	330	
ვალდებულებები მუკავშირე საწარმოების წინაშე ხესხი	3170	331	
მოკლევადიანი ხესხები	3210	340	
გრძელვადიანი ხესხების მიმდინარე ხაზი	3230	350	
გადასახდელი მოგების გადასახადი	3310	360	
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3320	370	
გადასახდელი სოციალური	3330	380	
გადასახდელი ქონება	3350	390	
სოციალური გადასახადი	3370	400	
სხვა საგადასახადო ვალდებულებები ფიქსირებული	3390	410	
გადასახდელი საგზაო	3410	420	
გადასახდელი გადასახდელი დივიდენდები	3420	430	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190	440	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		450	5132,43
1999,05			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სახესო ვალდებულებები	4100	460	
გადავადებული მოგების გადასახადი	4210	470	
ანრიცხები	4300	480	
გადავადებული შემოსავალი	4410	481	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4220	490	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		500	0,00
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	5100	510	3000,00
დაგროვილი საერთო ფონდი	5110	520	265998,52
დაგროვილი დევიციტი	5120	530	
პროექტების მხარდაჭერის ფონდი	5240	531	1007708,10
გაუნაწილებელი მოგება	5310	540	
დაუკარავი ზარალი *	5320	550	
სულ საკუთარი კაპიტალი		560	1276706,62
1044135,59			
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		570	1281839,05
1046134,64			

21 გვ.

თბილისის პროკურორის მიხედვით ქურდაკის მკვლელობის საქმე

ფოტოებთან ერთად მიხედვით გულბანთან გადავამოწმეთ და მან ორივე ამოიცნო. გადავწვიტე აღარ დამეფოვნებინა და ორივე სასწრაფოდ „აგვეყვანა“, რაშიც დიდუბის რაიონის პოლიციაც უნდა დაგვეხმარებოდა...



ვანო, თუ ვინმემ დაგირეკა, უთხარი, რომ ისინი მართლაც გყავდა პოლიციაში, გაესაუბრე და გაუშვი, ოღონდ არ იცი ახლა სად არიან...

ნამუხადღეს იყო გასვიანი ჩემს სამუშაო ოთახში ივდა, მასთან ორი თანამშრომელი დავტოვე და ხელმძღვანელობასთან წავედი...

კოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი. Includes an image of a stone building and contact information: 0 901 500 540.

ასტროლოგიური პროგნოზი

- მემპი - თქვენს ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებებია მოსლოდნელი. წარმატება გელოთ ფინანსურ ოპერაციებში. შეგიძლიათ თავს დასვენების უფლებაც მისცეთ.
კუმო - ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ, რადგან კონფლიქტური სიტუაციების აღბათობა იზრდება...

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა). ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. Includes a photo of Irma Sikharulidze and contact info: 557 358 900.

ISSN 2233-3983. Includes a barcode and the number 9 772233 398001.